

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა
(სტრატეგია)
2021-2030



2021

წინასიტყვაობა

სახელმწიფო ენის სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ენების (ქართულისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად აფხაზურის) 2021-2030 წლების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც ძირითადი მიზნისა და მასთან ასოცირებული ამოცანებისა და ქვეამოცანების გარშემო აერთიანებს მთელ რიგ მიმართულებებსა და აქტივობებს. სტრატეგია განხორციელდება ეტაპობრივად, სახელმწიფო უწყებათა ინტენსიური ჩართულობით, შედეგების მუდმივი დაკვირვებისა და ანალიზის ფონზე.

სახელმწიფო ენა, როგორც ქართული კულტურის, თვითგამოხატვის, თვითგანვითარების, სახელმწიფოებრიობის ინსტრუმენტი საჭიროებს დაცვას და სწორ განვითარებას მომავალში.

სახელმწიფო ენის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეთა თანამეგობრობის მდგრადი განვითარების მიზნებით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებების დაცვა და ხელი შეუწყოს ინდივიდისა და ქვეყნის წინსვლისკენ მიმართული პროცესების სრულყოფას.

ამავე დროს, სტრატეგიამ ოკუპაციის პირობებშიც უნდა დაიცვას აფხაზური ენის, როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე პარალელურად აღიარებული სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი, უზრუნველყოს აფხაზური ენის სწავლების, კვლევის, დოკუმენტირებისათვის საჭირო ღონისძიებები და შექმნას მომავალში მისი არსებობის გარანტიები.

ენობრივი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია ქვეყნის ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი სურათის ადეკვატური აღწერა, შეფასება და ენათა და დიალექტების ადგილისა და სტატუსის განსაზღვრა, აგრეთვე მათი დაცვისა და შესწავლის მექანიზმების შემუშავება და სწორი ადმინისტრირება.

დღემდე ენასთან დაკავშირებული ასეთი თანმიმდევრული მიდგომა ქვეყანას არ ჰქონია. არ არის განსაზღვრული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური მონაცემის – ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების (ქართველური ენებისა და მათი დიალექტების), აგრეთვე ისტორიულად ქართული კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებად ქცეული უდიური და ბაცური (წოვათუშური) ენების სტატუსი და მათი დაცვისა და მომავალში არსებობის მექანიზმები.

სახელმწიფო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის ენის სიწმინდის დაცვის სფეროს ემსახურება. ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროში ქართული ენის სწავლების საკითხში არსებული ხარვეზების გამო დაბალია სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნის დონე.

უკანასკნელი ათწლეულები ახალი, ინოვაციური ტენდენციების დამკვიდრების წლებია მრავალ დარგში. ამ ტენდენციებს თან ახლავს დარგობრივი მეტაენისა და ტერმინოლოგიის დიდი ნაკადი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის ჩარჩო ხელშეკრულებებისა და სხვა უამრავი სპეციფიკური შინაარსის დოკუმენტის თარგმნის აუცილებლობა, რაც უსწრაფეს რეაგირებას მოითხოვს სათანადო ეროვნული ტერმინოლოგიის შესაქმნელად.

სახელმწიფო ენის ცოდნა არა მხოლოდ მისი სწორად და სრულფასოვნად ფუნქციონირების გარანტიაა, არამედ ის არის პიროვნების რეალიზების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის საფუძველი. სახელმწიფო ენის სწავლება და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების დაძლევა სტრატეგიის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

სახელმწიფო ენის სწავლება და სწორი გამოყენება, ენობრივი კონტაქტების, ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება და კვლევა ქართველოლოგიური ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შედეგებზეა დამოკიდებული. საენათმეცნიერო ქართველოლოგიური კვლევების განვითარება და მათი ინტერნაციონალიზაცია სტრატეგიის ერთი მთავარი მიმართულებაა.

21-ე საუკუნე „ციფრული კვდომის“ საუკუნედ არის მიჩნეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების არსი სცილდება მხოლოდ რეალურ სივრცეში ენის სტატუსის დაცვას. ენის ნამდვილი გადარჩენა და მისი მომავალში არსებობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სრულფასოვანი იქნება ამ ენის ფუნქციონირება ინტერნეტში, რამდენად იქნება განვითარებული ენობრივი ტექნოლოგიები.

ყველა ჩამოთვლილი პრობლემა მოითხოვს ახალ მიდგომებსა და მეთოდოლოგიას, ენის საკითხებზე ორიენტირებული, განსაკუთრებით კი ქართველოლოგიური მიმართულების ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების თანამედროვე დონის შესაბამისად წარმართვას, ამ კვლევების სწორ ინტერნაციონალიზაციასა და პოპულარიზაციას, სწორ საკადრო დაგეგმარებას და მეცნიერული თაობების ჯანსაღი ცვლისა და მემკვიდრეობითობის ხელშეწყობას.

გიორგი ალიბეგაშვილი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე

აბრევიატურები და შემოკლებები

გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ეუთო – ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იუნესკო – გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

საქპატენტი – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უსდ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

AR – გამოყენებითი კვლევები

BRG – საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

CARYS – გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსი

CEFR – ენის ფლობის დონეების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ ჩარჩო

CRRC – კავკასიის კვლევის ცენტრი

DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

EMT – ევროპის თარგმანთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამათა კომპეტენციების ჩარჩო

EUGSP შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი

FR – ფუნდამენტურ კვლევები

FCNM – ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენცია

IPA - საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი

MG მობილობის გრანტები

META-NET – მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიების ალიანსის კავშირი

OCR – ვიზუალური ნიშნის ამომცნობი

OECD – ეკონომიკის კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაცია

OTG – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი

PHDF დოქტორანტების კვლევითი გრანტების კონკურსი

PISA – მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა

POS – მეტყველების ნაწილების მიხედვით ტეგირება

SJR – სამეცნიერო ჟურნალების რანჟირების პორტალი

STT – მეტყველების ამომცნობი ინსტრუმენტი

TTS – მეტყველების სინთეზის ინსტრუმენტი

UO GSP – ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ფონდის „საქართველოს შემსწავლელი
მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამა
YS – ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო კონკურსი

1. შესავალი -----	8
1.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და საჯარო კონსულტაციები -----	9
1.2. სამართლებრივი ჩარჩო -----	11
1.3. ენობრივი დაგეგმვის გამოცდილება -----	13
1.4. მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტები და სახელმწიფო ენის სტრატეგია -----	14
2. სიტუაციის ანალიზი -----	17
2.1. მეთოდოლოგია -----	17
2.2. ძირითადი პრობლემები, მათი გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები -----	19
2.2.1 ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირება და პოპულარიზაცია --	21
2.2.2. სახელმწიფო ენის ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია -----	33
2.2.3. სახელმწიფო ენის ფლობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა საფეხურზე -----	40
2.2.4. ქართველური ენებისა და აფხაზური ენის მეცნიერული კვლევა -----	49
2.2.5. ეთნიკური უმცირესობების ენები საქართველოში -----	63
3. სახელმწიფო ენის სტრატეგიის ხედვა -----	67
4. სახელმწიფო ენის სტრატეგიის მიზანი და ამოცანები -----	68
ამოცანა 1.1. ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა -----	70
ამოცანა 1.2. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა -----	74
ამოცანა 1.3. ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარება -----	77
ამოცანა 1.4. ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე -----	79
ამოცანა 1.5. აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა -----	84
ამოცანა 1.6. ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა -----	85
ამოცანა 1.7. საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერა -----	89
5. სახელმწიფო ენის სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო -----	90
6. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება -----	101
7. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო -----	103
8. ბიბლიოგრაფია -----	105
დანართი №1: SWOT-ანალიზი -----	109

1. შესავალი

ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს უმთავრესი მიზანია. სტაბილურ და უსაფრთხო ევროპულ თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად ქვეყანამ საკუთარ საუკუნოვან ფასეულობებსა და თანამედროვე დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ღირებულებებზე უნდა ააგოს თავისი მომავალი.

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) (შემდგომში: სახელმწიფო ენის სტრატეგია; სტრატეგია) უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართულის, ხოლო აფხაზეთში ქართულთან ერთად აფხაზურის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებას, სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; მისი, როგორც საქართველოს მოსახლეობის გამაერთიანებლის როლის გაზრდას, საქართველოში გავრცელებული ენების დაცვასა და განვითარებას. სტრატეგიით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ემსახურება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ერთობის მთავარი ფაქტორის განვითარებას, ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ცოცხალი კულტურის დაცვას, კვლევასა და შენარჩუნებას; საქართველოს უმცირესობათა ენების დაცვას, მათი ინტეგრაციისა და ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის მისაღწევად სახელმწიფო ენის სრულფასოვანი დაუფლებისათვის პირობების შექმნას. დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 629-ე დადგენილების – „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

სახელმწიფო ენის სტრატეგია 2021-2030 ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, ასევე, საქართველოს იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც მიემართება ენობრივ საკითხებს, განათლების თანასწორ პირობებსა და სხვა საზოგადოებრივი სიკეთეების თანასწორ გამოყენებას, სამოქალაქო ინტეგრაციასა და ადამიანის უფლებებს.

საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება ავალდებულებს დეპარტამენტსა და სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას, შექმნას სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა. თუმცა, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის დეკემბრის 629-ე დადგენილების შესაბამისად, იმის გამო, რომ ამ დადგენილების სახელმძღვანელო პრინციპებით საქართველოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა პოლიტიკის დოკუმენტებად განსაზღვრავს მხოლოდ სტრატეგიას, სამოქმედო გეგმასა და კონცეფციას, დოკუმენტის სახელწოდებად განისაზღვრა: სახელმწიფო

ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია). საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მიერ განხილულ პოლიტიკის დოკუმენტს – სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამას (სტრატეგიას) დეპარტამენტი დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც ამტკიცებს მას და უზრუნველყოფს მის წარმატებით განხორციელებას.

სიტუაციური ანალიზის შეფასების შედეგად გამოიკვეთა სტრატეგიის ძირითადი მიზანი შესაბამისი ამოცანებით. სტრატეგიის განხორციელების ვადად განისაზღვრა 10 წელი.

სტრატეგია მოიცავს: სიტუაციურ ანალიზს, გავლენისა და ამოცანების შედეგების ინდიკატორებს ლოგიკურ ჩარჩოსთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მიღწეულ შედეგებს, სტრატეგიის განხორციელების გეგმას, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს.

1.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და საჯარო კონსულტაციები

სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა დეპარტამენტმა დაიწყო 2018 წელს. პრობლემური ველის კვლევისათვის ჩატარდა შეხვედრები აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა სახელმწიფო ენის პროგრამის პროექტი (2018 წ.) და სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამუშაო კონცეფცია (2019). 2020 წლის იანვარში დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობას წარუდგინა განაცხადი სახელმწიფო ენის სტრატეგიის მომზადების შესახებ. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 სექტემბრის 553-ე დადგენილებით შეიქმნა „2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამისა (სტრატეგიის)“ და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო (შემდგომში უწყებათაშორისი საბჭო) და დამტკიცდა მისი დებულება.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კოორდინაციით შემუშავდა 2021 – 2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგია. დოკუმენტის მუშაობაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო სექტორის, სასწავლო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები.

სტრატეგიის დაინტერესებული მხარეა საქართველოს მთელი მოსახლეობა, რადგან ის ეხმიანება და უპასუხებს ამ მოსახლეობის თითოეული წარმომადგენლის ენობრივ ინტერესებს. დაინტერესებულ მხარეებად ითვლება ყველა, ვინც საქმიანობით უკავშირდება სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს და მნიშვნელოვან მონაწილეობას მიიღებს მათ განხორციელებაში და ვინც ამ სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შედეგები უნდა მიიღოს საზოგადოებრივი სიკეთის სახით.

სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების გამოკვეთაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის თანამშრომლებმა, მათ შორის, ქართული ენის სწავლების პროგრამების ხელმძღვანელებმა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის წარმომადგენლებმა და პედაგოგებმა, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების აკადემიურმა პერსონალმა. ამ შეხვედრების შედეგები აისახა სტრატეგიის შემუშავების ყველა ეტაპზე, როგორც პრობლემების ხის შემუშავებისას, ისე მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისას.

სტრატეგიის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა და კონსულტაციები მიმდინარეობდა 2021 წლის 30 აგვისტოდან 20 ოქტომბრის ჩათვლით. კონსულტაციებისათვის გამოყენებული იყო სხვადასხვა ელექტრონული ფორმატი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე: ა) დოკუმენტი დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომელთაც მიეცათ ლოგიკური დრო რეკომენდაციებისა და შენიშვნების მომზადებისათვის; ბ) დოკუმენტი გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში; გ) დოკუმენტის შესახებ წინადადებები მიიღებოდა ელფოსტის, სატელეფონო ზარების, სოციალური ქსელში შეტყობინებების საშუალებით; დ) დაიგეგმა და გაიმართა დოკუმენტის საჯარო განხილვა ზუმის პლატფორმაზე სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის გაფართოებული სხდომის ფორმატით; ე) დაიგეგმა და გაიმართა დოკუმენტის საჯარო განხილვა ზუმის პლატფორმაზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, მოქალაქეებთან, რომლებმაც გამოთქვეს ინტერესი სტრატეგიის შესახებ. საჯარო კონსულტაციებისას მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები აისახა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ვრცლად საჯარო კონსულტაციების ფორმატისა და შედეგების შესახებ იხ. დანართი 2.

1.2. სამართლებრივი ჩარჩო

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი ემყარება და ითვალისწინებს ეროვნულ და საერთაშორისო საკანონმდებლო ვალდებულებებს, რეკომენდაციებსა და სტანდარტებს ენობრივი პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით.

სტრატეგია ემყარება სახელმწიფო კანონმდებლობას, უპირველესად:

1) საქართველოს კონსტიტუციას;

2) სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონს, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოში ენის პოლიტიკის მართვისა და ზედამხედველობის ინსტიტუციური დასაყრდენის – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნა (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015).

ამასთან, სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია ყველა მოქმედი კანონი და საკანონმდებლო აქტი, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივ საჭიროებებსა და უფლებებთან საქართველოში.

სახელმწიფო ენის სტრატეგია ითვალისწინებს იმ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებით, დეკლარაციებით, ვალდებულებებითა და რეკომენდაციებით:

- ევროპის კულტურული კონვენცია;
- რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია;
- კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ;
- კულტურული მრავალფეროვნების შესახებ იუნესკოს საყოველთაო დეკლარაცია;
- საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.

აგრეთვე, ევროკავშირის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია სტრატეგიის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის:

- ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;
- ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების შესახებ;
- ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციების საერთო ევროპული ჩარჩო (მას ეფუძნება რეკომენდაციები სახელმწიფო და რეგიონული ენების დონეთა აღწერილობის თაობაზე და ენის ევროპული პორტფოლიო);

● მრავალენოვნება როგორც ღირებულება და საერთო ვალდებულება ევროპისთვის: ევროპარლამენტის 2009 წლის 24 მარტის რეზოლუცია მრავალენოვნების თაობაზე;

● რეკომენდაცია R (98) 6 პროექტის CDCC ენის სწავლება ევროპის მოქალაქეობისათვის;

● რეკომენდაცია 1740 (2006) სასკოლო განათლებაში მშობლიური ენის ადგილისათვის;

● რეკომენდაცია 1598 (2003) ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ჟესტური ენების დაცვის შესახებ.

სტრატეგია ითვალისწინებს მდიდარ საერთაშორისო გამოცდილებას. ამ მიზნით ნაკვლევია სრულიად განსხვავებული ისტორიული წარსულისა და გამოცდილების ქვეყნების ენობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო დოკუმენტები, მათ შორის:

- ფინეთის ეროვნული ენის სტრატეგია;
- ესტონური ენის განვითარების სტრატეგია 2004-2010;
- ესტონური ენის განვითარების გეგმა 2011-2017;
- ესტონური ენობრივი ტექნოლოგიები 2006-2010;
- ესტონური ენობრივი ტექნოლოგიები 2013-2017;
- ესტონური ენობრივი ტექნოლოგიები 2018-2027;
- ესტონურენოვანი ტერმინოლოგიის მხარდაჭერა 2008-2012;
- ესტონურენოვანი ტერმინოლოგიის მხარდაჭერა 2013-2017;
- ესტონურენოვანი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა 2008-2012;
- ესტონური ენის განვითარების გეგმა;
- ესტონეთის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების პროგრამა;
- ლიეტუვის სახელმწიფო (ოფიციალური) ენის პოლიტიკის პროგრამა 2006-2010;
- ლიეტუვის სახელმწიფო (ოფიციალური) ენის პოლიტიკის გზამკვლევი 2005-2014;
- ლიეტუვის სახელმწიფო (ოფიციალური) ენის პოლიტიკის გზამკვლევი 2015-2020;
- ლიეტუვის სახელმწიფო ენის სტანდარტიზაციის, გამოყენების, განვითარებისა და გავრცელების პროგრამა 2006-2015;
- სტანდარტული ლიეტუვურის, ლიეტუვური დიალექტებისა და სხვა ენობრივი ვარიანტების ფუნქციონირებისა და ცვალებადობის კვლევითი პროგრამა (2011-2020);
- ლიეტუვის სახელმწიფო ენის პოლიტიკის გზამკვლევი 2018-2022;

- ლატვიის სახელმწიფო (ოფიციალური) ენის პოლიტიკის პროგრამა 2006-2010;
- ლატვიის სახელმწიფო (ოფიციალური) ენის პოლიტიკის გზამკვლევი 2005-2014;
- ლატვიის სახელმწიფო (ოფიციალური) ენის პოლიტიკის გზამკვლევი 2015-2020;
- ლატვიის ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის სტრატეგია;
- უელსური ენის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- ირლანდიური ენის ოცწლიანი სტრატეგია;
- კანადის ოფიციალური ენის განვითარების სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო ენის სტრატეგია არის სახელმწიფო ენის პოლიტიკის პირველი დოკუმენტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში და ის არ ეყრდნობა წინა პერიოდის რომელიმე განხორციელებულ პოლიტიკის დოკუმენტს, თუმცა მისი შექმნის აუცილებლობა განპირობებულია ორი საუკუნის მიჯნაზე შეცვლილი პოლიტიკური კონტექსტით, დაგროვებული პრობლემებით, გამოცდილებითა და საჭიროებებით და განმტკიცებულია კანონმდებლობით.

წარმოდგენილი დოკუმენტი სრულყოფილად აღწერს და აანალიზებს სფეროში არსებულ ყველა პრობლემასა და საჭიროებას, მათ გამომწვევ მიზეზებს, გადაჭრის გზებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ის აყალიბებს სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და განვითარების ზოგად ხედვას, განსაზღვრავს სტრატეგიის მიზანსა და ამოცანებს.

1.3. ენობრივი დაგეგმვის გამოცდილება

დოკუმენტზე მუშაობისას გათვალისწინებული იქნა ქართული ენის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის უახლოესი წარსულის გამოცდილება. შესწავლილია პროფ. ბესარიონ ჯორბენაძის ინიციატივით შემუშავებული და 1989 წელს დამტკიცებული „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა“ (პროგრამის პროექტი გამოქვეყნდა 1988 წლის 3 ნოემბერს, დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს. პროგრამა ისე გაუქმდა, მისი განხორციელებისათვის რეალური ნაბიჯების გადადგმა ვერ მოესწრო). ასევე, გაანალიზდა 2013 წელს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შემუშავებული „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი, რათა დარგში ჩამოყალიბებული პრობლემების უახლოესი შეფასებებიც ყოფილიყო გათვალისწინებული.

სტრატეგიაზე მუშაობისას შესწავლილ იქნა ქართული ენის ფუნქციონირების მართვისა და ზედამხედველობისათვის შექმნილი აკადემიური და სახელმწიფო

სტრუქტურების – ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიების, ქართული ენის უნიფიკაციის კომისიის, სახელმწიფო ენის პალატისა და განათლების სამინისტროს სახელმწიფო ენის სამმართველოს, შემდგომ კი ქართული ენის სამმართველოს საქმიანობა (გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე). ამასთან, გათვალისწინებული იქნა როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში შექმნილი საქართველოს ისტორიული, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების სოციოლინგვისტური კვლევები.

1.4. მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტები და სახელმწიფო ენის სტრატეგია

სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“

2021–2024 წლების სამთავრობო პროგრამის – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ძირითადი მიზანია პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა. გამოყოფილია ოთხი საკვანძო მიმართულება: 1. საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები, 2. ეკონომიკური განვითარება, 3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება, 4. სახელმწიფო მმართველობა.

პროგრამის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის საჭიროებების გათვალისწინებით, უფრო მრავალფეროვანი გახდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ერთიან საინფორმაციო სივრცეში მონაწილეობას; ხელი შეეწყობა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და დაცვას; გაუმჯობესდება სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა; გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების გაძლიერებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამები.

სამთავრობო პროგრამაში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს ქართული დიასპორის გაძლიერებას სხვადასხვა საგრანტო პროგრამისა და პროექტის გაგრძელებით. ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა (სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 2020).

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021–2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია

დღეს მოქმედი სტრატეგიებიდან სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია სახელმწიფო ენა, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტი. ამ მიმართულებით სტრატეგიის მიზნებია:

1. სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და 2. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენების ზედამხედველობა. თითოეული მიზანი და შესაბამისი ამოცანა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გაძლიერებას ემსახურება, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შესასრულებელი აქტივობების განხორციელების გზით.

სტრატეგიის სამიზნე ჯგუფია ეთნიკური უმცირესობები. საქართველოს მოქალაქეების ამ ნაწილის ინტეგრაცია ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნამდვილად არის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი გამოწვევა. სახელმწიფო ენის სტრატეგია კონცენტრირებულია საქართველოს თითოეული მოქალაქის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვაზე და, შესაბამისად, მისი მიზანი იკვეთება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ამ ნაწილთან.

გარდა ამისა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი – კულტურათაშორისი დიალოგი – გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას, კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობას; მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამოცანები, ძირითადად, მიმართულია ეთნოკულტურული ინტეგრაციის, დიალოგის გაძლიერებაზე. ღონისძიებების განხორციელებით დაგეგმილია ცნობიერების ამაღლება „ეთნიკური უმცირესობის თვითმყოფადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: ეთნიკური ჯგუფების ენის, კულტურის, რელიგიის, ტრადიციების შესახებ“ (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია, 2021). სახელმწიფო ენის სტრატეგია წინ წამოსწევს ეთნიკურ უმცირესობათა ენების, როგორც მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხებს, ეს კი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტს პირდაპირ ეხმიანება.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის, რაც ეხმარება თავად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პოლიტიკის ხედვას – „კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების სფეროებში საქართველოს მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად და დასაცავად, აგრეთვე საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბება“ (საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025).

ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება, რომელსაც ერთ-ერთ პრიორიტეტად სახავს სახელმწიფო ენის სტრატეგია, არის ციფრული ტრანსფორმაციის საფუძველი, ეს საკითხი პირდაპირ ეხმარება ზემოაღნიშნულ სტრატეგიაში ნახსენებ ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებას.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია 2020-2023

სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია მომხმარებლის საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება, რომელიც მიიღწევა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებით. თავის მხრივ, თითოეული ამოცანა რამდენიმე მიმართულებით სტატისტიკის არეალის გაფართოებასა და გაუმჯობესებას უკავშირდება. გარდა ამისა, დაგეგმილია ოფიციალური სტატისტიკის წარმოება საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. სტატისტიკის განვითარების სტრატეგიის წარმატებით განხორციელება არის პირობა ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვისა და შესრულებისათვის სარწმუნო მონაცემებზე დაყრდნობისა, მათ შორის, მოსახლეობის აღწერა ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით ენობრივი მრავალფეროვნებისა და მოქალაქეთა ენობრივი უფლებების დაცვის გარანტიების შექმნას შეუწყობს ხელს (საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია 2020-2023).

2. სიტუაციის ანალიზი

ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე, აფხაზურისა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართულთან ერთად განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით. ასევე კონსტიტუციითაა განსაზღვრული, რომ სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით (საქართველოს კონსტიტუცია, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის სრულფასოვანი დაცვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „ქართული ენა არის საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობა. იგი საქართველოს ყველა მოქალაქის საერთო სახელმწიფოებრივი კუთვნილებაა. საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას, ამავე დროს, იცავს და განამტკიცებს ქვეყანაში ენათა და კულტურათა თანაარსებობისა და ჰარმონიული განვითარების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015).

სტრატეგია უპირველესად ეხება ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობას, დოკუმენტში ასევე ასახულია აფხაზურის, როგორც სახელმწიფო ენის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდგომარეობა. გარდა ამისა, სტრატეგია მოიცავს ქართული ენის დიალექტების, ქართველური და სხვა ენების შენარჩუნებისა და განვითარების საკითხებს, რადგანაც ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მიზანია.

2.1. მეთოდოლოგია

სტრატეგია ეფუძნება საერთაშორისო რეკომენდაციებსა და კონვენციებს, რომლებიც მოუწოდებენ ქვეყნებს თითოეული მოქალაქის უფლებების, მათ შორის, ენობრივი უფლებების დაცვისაკენ. შესაბამისად, თითოეული პრობლემისა და ამ პრობლემის გამომწვევი ფაქტორების გამოყოფა ნაკარნახევია საერთაშორისო გამოცდილებით, რეკომენდაციებით, ლინგვისტური და სოციოლინგვისტური სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზით, ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიით.

სახელმწიფო ენის სტრატეგია შემუშავებულია სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით, უწყებათაშორისი საბჭოს მონაწილეობითა და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის სიტუაციის ანალიზის ეტაპზე გაიმართა უწყებათაშორისი საბჭოსა და სამუშაო ჯგუფის (როგორც საერთო, ასევე ცალ-ცალკე უწყებრივი) შეხვედრები პირისპირ და დისტანციური ფორმატით; გარდა ამისა, ჩატარდა ექსპერტთა კომისიის სხდომები, გაიმართა შეხვედრები აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

სიტუაციური ანალიზის შემუშავების პირველ ეტაპზე გაიმართა შეხვედრა უწყებათაშორისი საბჭოს წევრებთან, რომლებსაც ეცნობათ სტრატეგიის შემუშავების ძირითადი პრინციპების შესახებ. გამოიკვეთა სტრატეგიის (სიტუაციური ანალიზის) შემუშავების პრინციპები, პროცესი და ვადები; ასევე განისაზღვრა სტრატეგიის სამდინო, რომლის ფუნქციებიც დაეკისრა სახელმწიფო ენის დეპარტამენტს.

უწყებათაშორისი საბჭომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა გააცნო სტრატეგიის შემუშავების წესი და სახელმძღვანელო პრინციპები. სამუშაო ჯგუფის წევრებს ეთხოვათ, რომ გარკვეული ვადების დაცვით წარმოედგინათ თავიანთ უწყებებში სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემები და გამომწვევი ფაქტორები. იდენტიფიცირებული პრობლემებისა და გამომწვევი ფაქტორების სტრუქტურირებულად ჩამოყალიბებისათვის გამოყენებული იქნა **პრობლემის ხის** მეთოდი.

პრობლემის ხეზე მუშაობამ გამოავლინა ისეთი საკითხები, რის გამოც შეიცვალა სტრატეგიის თავდაპირველი სტრუქტურა. კერძოდ, სიტუაციის ანალიზის პირველ ეტაპზე განიხილებოდა ორი პრიორიტეტული მიმართულება ქართული და აფხაზური ენებისათვის. პრობლემებისა და მისი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენის შედეგად კი აფხაზური ენის მიმართულების პრობლემები და გამომწვევი ფაქტორები, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პრობლემები და ფაქტორები ერთი და იმავე შინაარსის იყო, გაერთიანდა ერთ დიდ პრობლემურ საკითხად – **„ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირება და პოპულარიზაცია“**.

საწყის ეტაპზე სიტუაციური ანალიზის შემუშავებისას მონაწილეობა ასევე მიიღეს: აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა. სულ 20-მდე ასეთი შეხვედრა გაიმართა. გაანალიზდა და შეჯამდა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შედეგები, რომლებიც საფუძვლად დაედო **SWOT-ანალიზის** შექმნას (იხ. დანართი №1: SWOT-ანალიზი).

სიტუაციური ანალიზის შემუშავებისას სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო თემატური ღონისძიება, რომლებზეც განიხილებოდა სახელმწიფო ენის სტრატეგიის ძირითადი პრობლემები. სტრატეგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართა შეხვედრები უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისისგან სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა მიიღო რეკომენდაციები სტრატეგიის ძირითად მიმართულებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სტრატეგიაში.

სიტუაციის ანალიზის ეტაპზე ჩატარდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომები, ექსპერტთა მოსაზრებები გათვალისწინებულია სტრატეგიაში.

სიტუაციის ანალიზის შემუშავების მეორე ეტაპზე **პრობლემის ხისა** და **SWOT-ანალიზის** შედეგების შეჯამების შედეგად, სამუშაო ჯგუფმა მუშაობა დაიწყო ლოგიკური ჩარჩოს მომზადებაზე. სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს შესავსებად გაეგზავნათ ლოგიკური ჩარჩო თავისი ყველა მახასიათებლით, სამუშაო ვადების მითითებით. მესამე ეტაპზე დამუშავდა ლოგიკური ჩარჩო და შეიქმნა სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით.

არსებული პანდემიური რეგულაციებიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, ძირითადად, მიმდინარეობდა დისტანციურად, ონლაინპლატფორმების მეშვეობით. სამუშაო ჯგუფებთან შეხვედრები იყო ხანგრძლივი და მრავლისმომცველი. სულ 50-მდე სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

სტრატეგიის სამუშაო ვერსია განსახილველად გამოქვეყნდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე, გაეგზავნა უწყებათაშორისი საბჭოს წევრებს, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრებსა და სფეროთი დაინტერესებულ ყველა მხარესა და პირს.

სიტუაციის ანალიზის შეფასების შედეგად გამოიკვეთა სტრატეგიის ერთი მიზანი შესაბამისი ამოცანებით. სტრატეგიის განხორციელების ვადად კი განისაზღვრა 10 წელი.

2.2. ძირითადი პრობლემები, მათი გამომწვევი ფაქტორები და უარყოფითი შედეგები

სახელმწიფო ენის არასრულფასოვანი ფუნქციონირება არის მთავარი პრობლემა, რომელიც იკვეთება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მისი გამოყენების ხარისხისა და პირობების ანალიზის საფუძველზე.

ქართული ენა იცის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ. ის არის ოფიციალური საქმისწარმოების, საჯარო ინფორმაციის გავრცელების, მეცნიერების,

საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებების ენა; ქართულია ძირითადი ინსტრუქციის ენა განათლების ყველა საფეხურზე, ქართულად იქმნება და ითარგმნება მხატვრული და სპეციალური ლიტერატურა, ქართულს იყენებენ ინტერნეტსივრცეში, როგორც ურთიერთობის ენას ქვეყნის დონეზე.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქართულ ენაზე საუბრობს მოსახლეობის დაახლოებით 90%, მათ შორის არიან ეთნიკურად არაქართველებიც, თუმცა შედარებით მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებში ქართულის ცოდნის დონე დაბალია, რის გამოც მათი სამოქალაქო ინტეგრაცია გაძნელებულია. სახელმწიფო ენის უცოდინარობა ხელს უშლის მათ სხვადასხვა მომსახურებით სრულფასოვან სარგებლობაში, განათლების მიღებაში, კარიერულ ზრდასა და პიროვნული კეთილდღეობის მიღწევაში (მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014).

განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრობლემად გამოკვეთილი იყო არაქართულენოვან სკოლამდელ დაწესებულებებში ქართული ენის კომპონენტის არარსებობა. რის გამომწვევ ფაქტორადაც სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტების უქონლობა სახელდებოდა. 2017 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები, რომლის შემადგენელი ხარისხის სტანდარტი ითვალისწინებს, ინკლუზიური განათლების ფარგლებში, ქართული ენის სწავლების ხელშეწყობას (განათლებისა და მეცნიერების 2017-2021 წლების სტრატეგია, 2017).

მიუხედავად სახელმწიფოს კომპლექსური ღონისძიებებისა, სახელმწიფო ენის განვითარებისა და მოსახლეობის ენობრივი უფლებების დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფის არსებობისა, კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის ფლობა ეთნიკურ უმცირესობებში. საყურადღებოა სხვადასხვა კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვითაც ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს ინტეგრაციის შეფერხების უმთავრეს ფაქტორად ენის უცოდინარობა მიაჩნია.

ის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქეებისათვის, დასტურდება 2021 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის „საქართველოს მომავლის“ თანახმად, გამოკითხულთა სრულ უმრავლესობას ენა ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვან ატრიბუტად მიაჩნია. გამოკითხულთა 92% მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეები ქართულად უნდა საუბრობდნენ, ხოლო გამოკითხულთა 94%-ის აზრით, უმცირესობების წარმომადგენლებს, რომელთაც საჯარო სამსახურში დასაქმება სურთ, ქართული ენის ცოდნა უნდა მოეთხოვებოდეთ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველები, ისე ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლები (საქართველოს მომავალი - კვლევის ანგარიში, CRRC საქართველო, 2021).

ქართულს ისევე, როგორც სხვა, ნებისმიერ ენას, განსაკუთრებით კი, სახელმწიფო ენის სტატუსის მქონეს, სჭირდება სახელმწიფოებრივი ზრუნვა გასავითარებლად, რათა ენამ საზოგადოების ცვლილებებთან დაკავშირებულ მზარდ მოთხოვნებს უპასუხოს.

საქართველოს ევროკავშირისკენ სწრაფვა ქართულ ენას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს, კერძოდ, ელექტრონული მთავრობის, ევროკავშირის ტერმინოლოგიური ბაზების, ციფრული თანასწორობის ევროპული პრიორიტეტების კონტექსტის შესაბამისად, ქართული ენა მიზანმიმართულად უნდა ვითარდებოდეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამოკვეთს მთავარ პრობლემას – სახელმწიფო ენის არასრულფასოვან ფუნქციონირებას. პრობლემის ხარისხის შესაფასებლად საჭიროა კომპლექსური მიდგომა და სიღრმისეული კვლევები, რომლებიც გამოავლენს სხვადასხვა სფეროში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ხარისხსა და ხარვეზებს. სტრატეგიის ფარგლებში იგეგმება შეფასებითი ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც ერთნაირად მოერგება ქართული (და აფხაზური) ენის ფუნქციონირების თავისებურებებს, გაითვალისწინებს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ კონტექსტს. ამავე დროს დაეფუძნება ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის სამეცნიერო კვლევების თანამედროვე მიღწევებს. ინსტრუმენტის შექმნით ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი ნაბიჯები მეტად რეალისტური და შედეგზე ორიენტირებული გახდება.

2.2.1 ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირება და პოპულარიზაცია

საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა

სახელმწიფო ენის ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ორგანოები და მუნიციპალიტეტები სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და მისი სიწმინდის დაცვისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნას“. ენობრივ საკითხებს ეხება სხვა კანონებიც: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონი; ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვ. (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015).

მიუხედავად წლების განმავლობაში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, სიტუაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის აღსრულებისა და ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის არასრულყოფილი და დასახვეწია.

სიტუაციურმა ანალიზმა გამოავლინა ბევრი სხვა პრობლემა, რომელთა მოგვარება საკანონმდებლო ან ადმინისტრაციულ ნორმატიულ უზრუნველყოფას საჭიროებს.

გარე აბრები

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონითა და რეკლამის შესახებ საქართველოს კანონით რეგულირდება გარე აბრების სახელმწიფო ენაზე განთავსება, თუმცა, როგორც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ თბილისის, ახალციხის, ახალქალაქის, ბათუმის, გორის, ქუთაისის, ზუგდიდის ქუჩების გარე აბრების შესწავლის მაგალითზე ჩატარებულმა მოკვლევამ აჩვენა, ხშირია აღნიშნული კანონების დარღვევის შემთხვევები (სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები, 2018, 2019). სანქცირებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური, თუმცა რეაგირების მექანიზმები სუსტია. მოქმედი კანონების მიხედვით, ენობრივი დარღვევები აბრებზე მხოლოდ მათი განთავსების შემდეგ არის იდენტიფიცირებული, რადგანაც არ არსებობს საკანონმდებლო ვალდებულება წარწერის ნებართვის ან თუნდაც რეკომენდაციის აუცილებლობის შესახებ. გამოიკვეთა შეუსაბამობა რეკლამის შესახებ კანონსა და სახელმწიფო ენის კანონს შორის, რაც აგრეთვე ზღუდავს ხელს უშლის ზედამხედველობის ეფექტიანად წარმართვას.

გარდა ამისა, ცვლილებები აუცილებელია თავად რეკლამის შესახებ კანონშიც. რეკლამის შესახებ კანონში მითითებულია, რომ მხოლოდ საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე (მუხლი 4.2.). ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების დაცვის მიუხედავად, ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა ფორმალურად კი შეესაბამება კანონის მოთხოვნას, თუმცა ის რეალურად ვერ იცავს ქართულ ენას. ხშირად ირღვევა ქართული ორთოგრაფიის წესები და სალიტერატურო ენის ნორმები, ხოლო მოქალაქისათვის გაუგებარი რჩება, რა დანიშნულებისაა ესა თუ ის ობიექტი (საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, 2017)

საკუთარი სახელების მართვა

საკუთარი სახელების მართვა ენის ფუნქციონირების სწორი ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმია. საკუთარი სახელების მართვა სახელების შესახებ (პიროვნების, გეოგრაფიული, სასაქონლო ნიშნები და სხვ.) საკანონმდებლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი განხორციელების მექანიზმების შემუშავება-დანერგვას გულისხმობს.

მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო რეალურად ვერ უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ქართული და უცხოური გეოგრაფიული სახელების, საკუთართან გაიგივებული სახელების (ბრენდის, პროდუქციის, ორგანიზაციის სახელები, აბრევიატურები და სხვ.) დაწერილობის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების (ტრანსლიტერაციის წესების, ორთოგრაფიული ნორმების) დაცვით წარმოდგენას ყველა სახის ოფიციალურ დოკუმენტში, აგრეთვე, ყველა ტიპის საცნობარო და სარეკლამო ინფორმაციაში.

სიტუაციის ანალიზისას, აგრეთვე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პრაქტიკული საქმიანობისას, გამოიკვეთა ის სირთულეები, რომლებიც ახლავს ამ კუთხით გაცემული რეკომენდაციების გაზიარებასა და დამკვიდრებას შესაბამისი უწყებების მიერ. სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა, ექსპერტ-მკვლევართა მონაწილეობით, მოამზადა რეკომენდაცია სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ტოპონიმის სწორი დაწერილობის შესახებ. ეს რეკომენდაციები შემუშავდა სახელმწიფო სერვისების სააგენტოსთვის, თუმცა მექანიზმი ასეთი ცვლილებების სწრაფად და ეფექტურად დასაწერად, კერძოდ, სათანადო მუნიციპალიტეტებში მათი ასახვისა და დამკვიდრებისათვის, არის მოუქნელი და არაეფექტური. 2015 წელს გამოიცა საქართველოს მთავრობის 239-ე დადგენილება „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“. წესის თანახმად, „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ შესაბამისი ინიციატივა წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ და საკრებულოსთან არსებული კომისიის დასკვნის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, 2015). აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის არ არსებობდა სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, შესაბამისად, ამ წესში დეპარტამენტის, როგორც რეკომენდატორისა და ზედამხედველი ორგანოს როლი არ არის განსაზღვრული. რის გამოც ვერ ხერხდება დარღვევებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება. ხშირად ეს დარღვევები ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტოპონიმისკაცას ეხება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის საკუთარი სახელების მართებული დაწერილობის საკითხი – არ არსებობს ქართული საკუთარი სახელების (სახელისა

და გვარის) სწორად გამოყენების ვალდებულების სრულყოფილი საკანონმდებლო მხარდაჭერა. ამის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია ის, რომ იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 66-ე ბრძანებაში აღარ არის ჩანაწერი თანხმობის საკუთარ სახელთა მართლწერის შესახებ, რამაც წარმოშვა მასობრივი ორთოგრაფიული ხარვეზი საკუთარ სახელთა დაწერილობაში. გარდა ნორმატიულისა, ამ მოვლენას აქვს სერიოზული უარყოფითი პრაქტიკული შედეგები – სხვადასხვა დოკუმენტში პიროვნების სახელის სხვადასხვაგვარი ჩანაწერი (სახელობითი ბრუნვის ნიშნითა და მის გარეშე) იწვევს იდენტიფიკაციის პრობლემას, რაც ხშირად სასამართლო დავის ან სხვა ტიპის საყოფაცხოვრებო გართულების სახით შეიძლება განვითარდეს (თ.ბოლქვაძე, მ.თეთრაძე, ნ.ქელბაქიანი, 2019-2020)

საკუთარი სახელების (პიროვნების გვარ-სახელები და გეოგრაფიული სახელები) იურიდიული და ნორმატიული ლეგიტიმაციის მქონე ერთიანი, დოკუმენტირებული, კარტოგრაფიული ინფორმაციით აღჭურვილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სარეკომენდაციო ორთოგრაფიული ბაზის არარსებობის გამო შეუძლებელია ამ პრობლემის გადაჭრა.

აფხაზური ენის კონსტიტუციური სტატუსი ოკუპაციის პირობებში

საქართველოს კონსტიტუციით აფხაზური ენა არის სახელმწიფო ენა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულთან ერთად. საქართველოს კონსტიტუციის მეორე მუხლის აღსრულება რუსული ოკუპაციის გამო ვერ ხერხდება. იუნესკოს კლასიფიკაციით აფხაზური არის „უმეტესად საფრთხეში მყოფი ენა“ (საფრთხეში მყოფი ენების ატლასი, იუნესკო, 2010). საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალურ სტრუქტურათა ნაწილს და დევნილობის პირობებში მომუშავე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებს შექმნილი აქვთ საგანგებო ვებგვერდები აფხაზურ ენაზე, თუმცა ყველას არ აქვს ასეთი საინფორმაციო პლატფორმები. შესაბამისად, სრულფასოვნად ვერ ვრცელდება საჯარო ინფორმაცია აფხაზურ ენაზე.

აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ ქართულიდან აფხაზურად და აფხაზურიდან ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა საკანონმდებლო, მხატვრული, ფოლკლორული, საცნობარო და სხვა სახის ლიტერატურა, ასევე მუშავდება აფხაზურ ენის ეროვნული კორპუსიც, მაინც არარეგულარულია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ინფორმაციის გავრცელება აფხაზურ ენაზე, ასევე არასაკმარისია აფხაზურენოვანი ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში. აფხაზური ენის ფუნქციონირების დონის ასამაღლებლად განსაკუთრებით აქტუალურია აფხაზური ენისა და კულტურის სწავლებისა და პოპულარიზაციისადმი მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება

ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ენების ერთობა ქართველი ერის ეროვნული იდენტობის ისტორიული და კულტურული ფუნდამენტია.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ქართველური ენების საკითხს სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ მე-4 მუხლში განიხილავს: „სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენათა და კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე“

ეს ჩანაწერი მიუთითებს ქართველური ენების განსაკუთრებულ ადგილზე სახელმწიფო ენასთან მიმართებით, ყურადღება გამახვილებულია ქართველური ენების შესწავლისა და შენარჩუნების საკითხზეც, თუმცა კანონში არ არის განსაზღვრული ქართველური ენების, როგორც სამართლებრივი სტატუსი, ისე ამ სტატუსის დაცვის, ხელშეუხებლობისა და განმტკიცების მექანიზმები. კანონში გამოყენებულ ტერმინოლოგიურ ჩარჩოში არ არის გამოკვეთილი და ასახული ქართველური ენების ადგილი შესაბამისი ტერმინებით. კანონი ათანაბრებს ქართველურ ენებს საქართველოში გავრცელებულ ყველა სხვა ენასთან ტერმინით „არასახელმწიფო ენები“. სახელმწიფო ენის შესახებ ორგანულ კანონში ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების თაობაზე არ არის სპეციალური მუხლები და არც სხვა კანონი არსებობს, რომელიც განსაზღვრავდა ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების, კვლევისა და დოკუმენტირების აუცილებლობას (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015).

დგება ინტერნეტში ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების ასახვის, სხვადასხვა სახის რესურსის (ლექსიკონები, ტექსტური ბაზები, კორპუსები, სასწავლო და კვლევითი პროგრამები და სხვ.) შექმნის აუცილებლობა.

ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების დაცვას უკავშირდება ციფრულ სამყაროში ამ ენებზე ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა. გერმანელი ქართველოლოგის, იოსტ გიპერტის ინიციატივით საერთაშორისო პროექტ „არმაზის“ ფარგლებში ქართული ენისათვის შექმნილი უნიკოდი განივრცო რამდენიმე გრაფემითა და დიაკრიტიკული ნიშნით, რამაც შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ქართულის, არამედ ქართველური ენებისა და წოვათუშურის ნორმალიზაცია უნიკოდში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობა მეგრულისა და სვანური კლავიატურის შექმნისა „ანდროიდის“ სისტემისათვის, სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებში ქართულის გარდა სხვა ქართველური ენებისათვის შექმნილი უნიკოდები არ არის ხარისხიანად შესული, რის გამოც

ფერხდება ამ ენების ციფრული ასახვა ინტერნეტში. პრობლემას წარმოადგენს ასევე ქართული კლავიატურისა და ქართველურ ენათა, ასევე, საქართველოს სხვა ენათა ბგერითი სისტემის უნიკოდში წარმოდგენის სტანდარტის არარსებობა.

2016 წელს უნიკოდის სტანდარტში მთავრული ასოების დამატებამ გამოიწვია ის, რომ სხვადასხვა მოწყობილობაში (მაგალითად, ანდროიდის სისტემის მქონე მოწყობილობებში) ტექსტის აკრეფისას ავტომატურად ხდება საწყისი ასოების დიდი ასოებით ჩანაცვლება, რაც ეწინააღმდეგება ქართულ ორთოგრაფიას და ქმნის დამატებით დისკომფორტს.

ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ამ უნიკალური მონაცემის – ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების (ქართველური ენებისა და მათი დიალექტების), აგრეთვე, ისტორიულად ქართული კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებად ქცეული ბაცბური (წოვათუშური) ენის სტატუსი და მათი დაცვისა და მომავალში არსებობის მყარი მექანიზმები არ არსებობს.

ინტერნეტსივრცე

2018 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „ენათა თანასწორობა ციფრულ ეპოქაში“, რომელიც ხაზს უსვამს დღეს გლობალურად არსებულ პრობლემებს ენათა ინტერნეტსივრცეში წარმოდგენის თვალსაზრისით და იმ საფრთხეს, რომელსაც ციფრული კვდომა ეწოდება. რეზოლუცია ითვალისწინებს ყველა გამოწვევასა და პრობლემას და ევროკავშირის ქვეყნებს სთავაზობს ენათა ტექნოლოგიური განვითარების გზებს (ენათა თანასწორობა ციფრულ ეპოქაში, 2018).

ქართული ენაც ამ საერთო გამოწვევების წინაშე დგას, რადგანაც ითვლება, რომ ის ციფრულ სამყაროში ნაკლებად არის წარმოდგენილი და დაცული: ინტერნეტსივრცეში ხარისხიანი ქართულენოვანი ინფორმაცია ძალზე მცირეა, ენობრივი (ნორმალიზაციის თვალსაზრისით) ზედამხედველობა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული (საჯარო დაწესებულებების ვებგვერდები, საინფორმაციო პლატფორმები, განაცხადები, საჯარო ორგანიზაციათა სოციალური ქსელის გვერდები და ა. შ.).

სოციალური ქსელებისა და სხვა არაფორმალური მიმოქცევის ინფორმაცია, მასზე ზედამხედველობის თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების არასათანადო განვითარების გამო, არანორმატიულია, გაჯერებულია ჟარგონითა და ბარბარიზმებით და უარყოფით გავლენას ახდენს ინტერნეტმომხმარებელზე.

ენის ტექნოლოგიური განვითარება, როგორც ენის ზედამხედველობის, პოპულარიზაციის ეფექტური მექანიზმების შექმნის საფუძველი, არ არის სათანადოდ მხარდაჭერილი. ინტერნეტში ენობრივი ნორმების დაცვა,

სალიტერატურო ქართულით წერა და ინფორმაციის გავრცელება არ არის წახალისებული.

ამ მიმართულებით უკვე არსებობს მრავალი ენისათვის ტექნოლოგიური ანალოგი, მაგალითად, მართლწერის შემმოწმებელი გაფართოებები, ჩანართები, რომლებიც ინტერნეტბრაუზერებსა თუ მობილურ აპლიკაციებში წერისას ავტომატურად ან მექანიკურად სთავაზობს მომხმარებელს სწორ ფორმებს. ამასთან, შექმნილია დიდ ტექსტურ მონაცემებზე და გამართულ მართლმწერ სისტემაზე დაფუძნებული სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც ენაში ახალი სიტყვების შემოდინებას უწევენ კონტროლს და შესაბამისად, ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და ახალი ტერმინოლოგიის შემოსვლის პროცესის ეფექტურად მართვის საშუალებას იძლევიან. ამგვარი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების არსებობა ინტერნეტში ქართული ენის განვითარებასა და გამლიერებას შეუწყობდა ხელს.

ინტერნეტში ქართული ენის სრულფასოვანი მიმოქცევისთვის არ არსებობს ამ სივრცის ინფორმაციული შინაარსის გამდიდრებისა და მისი ენობრივი სტანდარტის ამაღლების ერთიანი კონცეფცია. არ არსებობს ქართულენოვანი „ვიკიპედიისა“ და სხვა საცნობარო-ენციკლოპედიური რესურსების შინაარსობრივი გამდიდრების მხარდაჭერა.

ყოველივე ეს დიდ საფრთხეს უქმნის ქართულ ენას, რადგან ინტერნეტი უსწრაფესად ანაცვლებს ყველა სხვა საინფორმაციო არხს, მისი ენობრივი ზედამხედველობის შესამღებლობების დეფიციტი უარყოფითად აისახება რეალურ სივრცეში ენობრივი ტენდენციების განვითარებაზეც.


საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის, ევროპარლამენტის რეზოლუციის გათვალისწინების საფუძველზე გამოიკვეთა ქართული ენის წინაშე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აკადემიური ზედამხედველობა

სიტუაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სალიტერატურო ენის ნორმებს არ იცავენ საჯარო და კერძო სექტორში: წერითი მეტყველება თითქმის არსად არ მოწმდება ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით, უშუალოდ საგამომცემლო-მთარგმნელობითი სექტორის გარდა.

საჯარო სამსახურებში არ არის ცალკე რედაქტორის, კორექტორის, დარგობრივი მთარგმნელის თანამდებობები (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შიდა სტრუქტურულ ერთეულს, რომელთა სამუშაოც გაცილებით მეტია, ვიდრე ამ საქმიანობით დაკავებული არსებული ადამიანური რესურსი – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო...), ხშირად, საჭიროების შემთხვევაში, სარედაქციო სამუშაო სრულდება ხელშეკრულების საფუძველზე.

დიაგრამა №1. სამინისტროებსა და მათდამი დაქვემდებარებულ სსიპ-ებში სამტატო და ხელშეკრულებით დასაქმებულ რედაქტორთა, რედაქტორ-სტილისტთა და კორექტორთა რაოდენობა



წყარო: სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ უწყებებიდან ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაცია

ეს საკითხი მჭიდროდ ებმის მთარგმნელისა და თარჯიმნის პროფესიის განვითარებას. ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესს განსაზღვრავს „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, ასოცირების შეთანხმების პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ყველა ამ ეტაპზე ევროკავშირის კანონების თარგმნა სამართლებრივი დაახლოების შემადგენელი ნაწილია (იხ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“). ამ პროცესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნა და ტერმინოლოგიის უნიფიცირება.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, აგრეთვე, საქართველოს სწრაფვა, გახდეს რეგიონული ლიდერი და ინტეგრირდეს ევროკავშირსა და ნატოში, წარმოშობს კვალიფიციური თარჯიმნებისა და მთარგმნელების საჭიროებას, რომლებიც შეძლებდნენ სინქრონულ და თანამიმდევრულ ზეპირ თარგმანს სხვადასხვა ენაზე.

სიტუაციურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ არ არის განსაზღვრული და სათანადოდ შეფასებული თარგმანის როლი ენის სწორ ფუნქციონირებაში, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არ არის შექმნილი მთარგმნელისა და

თარჯიმნის, როგორც ცალკე პროფესიის საკადრო მომზადების სრული ციკლი; არ არის სინქრონული თარგმანის საკმარისი საუნივერსიტეტო აკადემიური პროგრამები; არ არის მთარგმნელის პროფესიის საკვალიფიკაციო დადასტურების საგამოცდო და სასერტიფიკატო სისტემა.

ევროპის თარგმანთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამათა ქსელმა 2009 წლის იანვარში გამოსცა თავისი კომპეტენციების ჩარჩო, მათ შორის EMT-ის „კომპეტენციათა ბორბალი“. დღეისათვის ევროპის უნივერსიტეტების უმეტესობა შეესაბამება აღნიშნული ჩარჩოთი განსაზღვრულ კომპეტენციებს და ჩართულია თარგმანთმცოდნეობითი პროგრამების სწრაფად მზარდ ქსელში. საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები კი აღნიშნულ ქსელში წარმოდგენილი არ არის. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული არც ერთი პროგრამა არ შეესაბამება EMT-ის სტანდარტს (ევროპის თარგმანთმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამათა კომპეტენციების ჩარჩო, 2017).

პრობლემის უარყოფითი შედეგია ის, რომ მოზღვავეებული სათარგმნი მასალა ხშირად არაკვალიფიციური მთარგმნელის ხელში ხვდება. ინფორმაციული ხარვეზების გარდა, ასეთი თარგმანი ამკვიდრებს უმართებულო ფორმებს, ბარბარიზმებს, გაუმართავ ტერმინოლოგიას.

გამართული და ჰარმონიზებული ტერმინოლოგია კი სახელმწიფო ენის სწორი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი გარანტია.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია **ქართულენოვანი ტერმინოლოგიის დამკვიდრებაზე უწყებრივი პასუხისმგებლობა**, რაც დღეისათვის თითქმის არ არსებობს ან არადაამაკმაყოფილებელია.

ეროვნული ტერმინოლოგიის სამეცნიერო და პრაქტიკული განვითარებისა და დანერგვისათვის გამოწვევად რჩება დარგის განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყებების მონაწილეობის კანონმდებლობით განსაზღვრა. იმ საჯარო სამსახურებში, რომელთა უფლებამოსილების ფარგლებში უწევთ ახალი დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენება და დანერგვა, ძირითადად, არ არსებობს ტერმინოლოგიური სამსახურები (ან ტერმინოლოგიაზე პასუხისმგებელი სამტატო ერთეული), რომლებიც ენათმეცნიერებთან თანამშრომლობით მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნისა და დანერგვის ციკლის გამართულ მუშაობას და დარგში გაჩენილი ტერმინოლოგიური სიახლეების ოპერატიულად სტანდარტიზაციას. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე დეპარტამენტი სახელმწიფო უწყებებში, რომლებიც ვიწრო დარგობრივი მიმართულებით მუშაობენ. საერთაშორისო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობების გათვალისწინებით, არ არის საკმარისი ის ტერმინოლოგიური პროდუქტი (ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სიტყვარები, შიდა ბაზები), რომელსაც ეს დეპარტამენტები შეიმუშავენ (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

კანონმდებლობით გათვალისწინებული ეროვნული ტერმინოლოგიური სტანდარტი არ არის შექმნილი და დამტკიცებული დადგენილი წესით. ამის გამომწვევი ფაქტორია დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი კოორდინაცია და არასათანადო ფინანსური მხარდაჭერა. სტანდარტიზაციის ციკლის შესახებ საკანონმდებლო ჩანაწერი მოითხოვს დაზუსტებას, სახელდობრ, განსაზღვრულია სტანდარტისა და ნორმის წარდგენისა და დამტკიცების წესი და არ არის გამოკვეთილი სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიაზე მათი წარდგენის უფლებები და უწყებრივი ვალდებულებები. შესაბამისად, არ არსებობს ამ პროცესზე ზედამხედველობის სათანადო მექანიზმი.

სახელმწიფო ენის ფლობის ვალდებულება

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გამოყენების ვალდებულება საჯარო სამსახურისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გარკვეულ სფეროებში კანონმდებლობითაა განსაზღვრული (კანონები საჯარო სამსახურის, ზოგადი განათლების და სხვ.), სახელმწიფო ენის კანონით განსაზღვრულია, რომ საჯარო მოსამსახურე ვალდებულია იცოდეს სახელმწიფო ენა (მუხლი 6.4), თუმცა კანონმდებლობით ვერ რეგულირდება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის შემოწმება, რაკი არ არსებობს ერთიანი საგამოცდო სისტემა ქართულ ენაში. აგრეთვე, არაეფექტურია სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებულ მოთხოვნასთან პირის შესაბამისობის რეგულაციები. სახელმწიფო ენის კანონში ჩანაწერით სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებულ მოთხოვნასთან პირის შესაბამისობა დასტურდება:

ა) სახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტით;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი არასახელმწიფოენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტით;

გ) სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარების მოწმობით (მუხლი 33).

სახელმწიფო ენის ფაქტობრივი ცოდნის პრობლემა ეროვნული სტატისტიკური მონაცემებით აშკარაა: 2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, შედარებით მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობების (სომხები და აზერბაიჯანელები) დიდი ნაწილი ვერ ფლობდა თავისუფლად ქართულს: აზერბაიჯანელების 85%-მა და სომხების 67%-მა არ იცოდა ქართული (საქართველოს

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2002). 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებით, გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი. თუმცა იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა, მაინც დიდია – სომხების 44% და აზერბაიჯანელების 74% ისევ ვერ ფლობს ქართულს სრულფასოვნად (მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014).

სახელმწიფომ წლების განმავლობაში არაერთი საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა სახის პროგრამა განახორციელა ამ მიმართულებით. მასწავლებლის ყველა პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს ქართული ენის ცოდნის ვალდებულებას. წარმატებით აგრძელებს მუშაობას ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომლის სასწავლო კურსები მიმართულია ზრდასრულ მოსახლეობაზე. მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლამდელ განათლებაში ქართული ენის სეგმენტის ჩართვა.

სხვადასხვა კომპლექსური საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, ასამოქმედებელია სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ის მუხლები, რომელიც სახელმწიფო ენის ფლობის დადასტურებასა და სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარების წესს განსაზღვრავს (საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015).

კანონი ავალდებულებს საჯარო მოსამსახურეს, იცოდეს სახელმწიფო ენა (მუხლი 6.4) და შესაბამისად, ითხოვს გამოცდის ჩაბარების მოწმობას, თუმცა თუ პირს აქვს სახელმწიფოენოვანი, ან საქართველოს ტერიტორიაზე არასახელმწიფოენოვანი სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი, ის თავისუფლდება ამგვარი გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან.

სახელმწიფო ენის კანონი სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებად განსაზღვრავს ქართული ენის გამოცდის წესის შემუშავების პროცესის წარმართვას:

„1. სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარების წესს სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

3. სახელმწიფო ენის გამოცდის შედეგის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებულ მოთხოვნასთან პირის შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მოწმობას) გასცემს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (მუხლი 34)“.

იმის გამო, რომ იმავე კანონში მითითებულია ენის ცოდნასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობა (იხ. ზემოთ), პრობლემური გახდა სახელმწიფო

ენაში გამოცდის ჩატარების წესის შემუშავება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრთან, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან სიტუაციური ანალიზის მომზადების ეტაპზე ჩატარებულ შეხვედრებზე გამოიკვეთა საგამოცდო სისტემის გაუმართაობის საკითხთა მთელი წყება:

არ არის კანონმდებლობით მკვეთრად განსაზღვრული სახელმწიფო ენის ფლობის ვალდებულების მქონე პირთათვის ენის ფლობის დონე და ენის ფლობის შემოწმების ან დადასტურების საფუძველი.

საჯარო მოხელეთა მიერ ენის ფლობის ვალდებულების საკანონმდებლო ჩანაწერი და ენის ცოდნასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დადგენის საფუძველი არარეალისტურია. 1+4 მოქმედი პროგრამების ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს შორის ჩატარებულმა მოკვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ არასახელმწიფოენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დოკუმენტი არ არის ენის რეალურად ცოდნის დამადასტურებელი საბუთი. ეს კი ქმნის კანონით განსაზღვრული მოთხოვნის (მუხლი 6.4) აღსრულების პრობლემას.

სახელმწიფო ენის ერთიანი საგამოცდო სისტემის გაუმართაობის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია ისიც, რომ არ არსებობს საკანონმდებლო უზრუნველყოფა საქართველოს მოქალაქეობის მსურველთათვის სახელმწიფო ენის ფლობის დონის განსაზღვრისთვის. დღეს საქართველოში რამდენიმე უწყება გასცემს ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს საქართველოს მოქალაქეობის მსურველებზე, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო ენის შესახებ კანონს. შეფასების კრიტერიუმები განსხვავებულია. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ხშირად ეს არის ფორმალური გამოცდა და გამოცდაჩაბარებულთა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს ენის ცოდნის მინიმალურ დონეს. ეს ხელს უშლის საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას და რაც მთავარია, ქმნის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შეზღუდვის დამატებით საფუძველს.

ის, რომ არ არსებობს სახელმწიფო ენის ფლობის დონეების განმსაზღვრელი ეროვნული სტანდარტი (რომელიც უნდა შეიქმნას ენის ფლობის დონეების ახლახან დამტკიცებული ზოგადი სტანდარტის მიხედვით), კიდევ უფრო აღრმავებს ამ პრობლემას. საკანონმდებლო ჩარჩოს მოუწესრიგებლობის გარდა, რაც აფერხებს გამოცდის ადმინისტრირების წესის შემუშავებას, არ არის დაწყებული პროცესი გამოცდის მეთოდოლოგიური და აკადემიური კომპონენტების მოსამზადებლად, სახელმწიფო ენის ფლობის დონის შესამოწმებლად.

2.2.2. სახელმწიფო ენის ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია

სახელმწიფო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია სალიტერატურო ენაში მიმდინარე ლექსიკურ-გრამატიკული და ორთოგრაფიული ცვლილებების, აგრეთვე ახალი ტერმინების შექმნისა და დამკვიდრების აკადემიური საფუძვლის შექმნასა და სახელმწიფოებრივ მართვას გულისხმობს.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის მიზნით საქართველოში 1921 წლიდან ფუნქციონირებდა სხვადასხვა სამთავრობო ორგანო. 1953 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაარსდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის სამუშაო ბაზას წარმოადგენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კერძოდ, სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილება. ეს უკანასკნელი 1966 წელს გარდაიქმნა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებად, რომელსაც ევალეზოდა ენის განვითარების პროცესში გამოვლენილი სადავო საკითხების შესწავლა და ნორმათა პროექტების მომზადება. სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები შემუშავდა არნოლდ ჩიქობავას მოხსენების საფუძველზე.

1936 წელს გამოქვეყნდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმები I“; 1970 წელს გამოიცა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები I“; დამტკიცებული პროექტები მოგვიანებით იბეჭდებოდა სპეციალურ ბიულეტენებში (NN1-2, 1985; N3, 1987); 1968 წელს გამოქვეყნდა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელსაც წინ უსწრებდა ამავე ავტორთა სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონები (1941, 1946, 1949); 1998 წელს მომზადდა „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შევსებული ვარიანტი. ქართულ (საბჭოთა) ენციკლოპედიასთან თანამშრომლობით გამოქვეყნებულია აგრეთვე საკუთარ სახელთა ხუთი ორთოგრაფიული ლექსიკონი.

ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ბოლო გამოცემის (1998 წელი) შემდეგ ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში შეიქმნა ცხრა სხვადასხვა სახის (მედიის, პარონიმთა, სასკოლო, საჯარო მოხელის, სიტყვათშემოკლებათა და ა. შ.) ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი. ამათგან „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ და „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ელექტრონული ლექსიკონი“ პირველი ამ სახის გამოცემებია ქართულ სინამდვილეში. დასახელებული ბეჭდური პროდუქციის საფუძველზე მომზადდა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ვებგვერდზე განთავსდა მათი

ელექტრონული ვერსიები, რის შედეგადაც უფრო გაიზარდა ამ ლექსიკონებზე ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის.

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში შეიქმნა ორთოგრაფიული ბაზა, რომელშიც აისახა ზემოაღნიშნულ ლექსიკონთა ყველა ორთოგრაფიკული მონაცემები კლასიფიცირებულია სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით. ამ ბაზის გათვალისწინებით მზადდება სანორმე პროექტები სახელმწიფო ენის დეპარტამენტში წარსადგენად.

1966 წლიდან განყოფილებას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. დღემდე გამოქვეყნებულია 20 წიგნი; 2013 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა კრებული. მასში წარმოდგენილი ასობით სამეცნიერო კვლევისა თუ სტატიის საფუძველზე მზადდება სანორმე პროექტები.

2020 წელს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაფუძნდა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია „სალიტერატურო ენის საკითხები“.

სალიტერატურო ენის ნორმათა დანერგვა-პოპულარიზაციის მიზნით ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომელთა ავტორობითა თუ მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი პროექტები: 1. „ჩვენი ენა ქართული“ – საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი (1998-1999); 2. „საშინაო სკოლა“ – სილკნეტის ვიდეოგაკვეთილები ქართულ ენაში (2011-2012); 3. „სიტყვა ქართული“ – „რადიო 1“ (2014-2015); 4. „სიტყვების თამაში“ – საზოგადოებრივი მაუწყებელი (2014-2015); 5. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“ – ტელეარხი „ერთსულოვნება“ (2014-2016); 6. „მზენაობა“ – სოციალური ქსელით გამართული სათოთხმეტაპრილო ვიქტორინა მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის (2018); 7. „მეტყველების კულტურის საკითხები“ – ტელეარხი „ერთსულოვნება“ (2017 წლიდან დღემდე) (თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2021).

სახელმწიფო ენის დეპარტამენტსა და თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის 2019 წლის 4 ივლისს ოფიციალურად გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ინსტიტუტი კვლავ რჩება *სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და სპეციალურ ტერმინთა დადგენა-დამკვიდრების სფეროებში დეპარტამენტის ძირითად, საბაზო ინსტიტუციად.*

ქართული ენის ნორმალიზაციის საკითხებზე ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს საქართველოს სხვა კვლევით ცენტრებში, როგორებიცაა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

გლობალიზაციამ, ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და ინფორმაციის გავრცელების ახალმა საშუალებებმა, მათ შორის, საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში სოციალური ქსელის როლის გაზრდამ და ამით ზეპირი მეტყველების წერილობითი ფორმის სწრაფმა დამკვიდრებამ წარმოშვა ახალი გამოწვევები, რომლებსაც ნორმალიზაციის არსებული ტემპი ფეხს ვერ უწყობს.

ევროპის ქვეყნების უმეტესობა ენობრივ ნორმასა და სტანდარტს ამკვიდრებს ენის კორპუსების სიხშირული და თვისებრივი მონაცემების კვლევით, გასაახლებელი ან განსამტკიცებელი ნორმების გამოვლენის შემდეგ დაუყოვნებლივ დგამს ნორმალიზაციის ციკლით განსაზღვრულ შესაბამის ნაბიჯებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქართული და აფხაზური ენის კორპუსები და მათი სიხშირული და თვისებრივი მონაცემების კვლევის გარკვეული გამოცდილება, თანამედროვე კორპუსები და კორპუსზე დაფუძნებული და კორპუსით განპირობებული კვლევები ამ მიმართულებით არ არის საკმარისად განვითარებული და კონსოლიდირებული ტრადიციულ ლინგვისტიკასთან. ამიტომ ნორმათა კვლევისა და განახლების პროცესი ახალი გამოწვევის წინაშე დგას.

სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ნორმალიზაციის პროცესს განსაზღვრავს, მაგრამ არ არსებობს ეფექტური მექანიზმი, რომელიც ნორმალიზაციის პროცესს უწყვეტსა და თანმიმდევრულს გახდიდა. სახელმწიფო ენის ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციისთვის წინა საუკუნეში შექმნილი ერთიანი აკადემიურ-ადმინისტრაციული სისტემა XX საუკუნის ბოლოსთვის მოიშალა. როგორც ითქვა, საბჭოთა პერიოდში მთავრობა კონკრეტულ სამეცნიერო ჯგუფსა და ინსტიტუციას (ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტყველების კულტურის განყოფილებას) უკვეთდა ნორმათა შემუშავებას, შემდგომ კი ამტკიცებდა მათ მიერ მიღებულ ნორმებს (ლეჟავა, 2004).

ამჟამად კანონის მიხედვით განსაზღვრულია ნორმებისა და სტანდარტების დამტკიცების ვალდებულება და წესი, მაგრამ არ არის განსაზღვრული დასამტკიცებელ ნორმათა მომზადებელი და დასამტკიცებლად / განსახილველად წარმომდგენი უწყებები ან პირები. არ არსებობს რაიმე ვალდებულება ამ მხრივ და არც აკრძალვა. თსუ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი კვლავ არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მთავარი დასაყრდენი ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციისთვის აკადემიური საფუძვლის მომზადების საქმეში, თუმცა სათანადო ადმინისტრაციული და ფინანსური საფუძვლის არარსებობის გამო ნორმათა განახლება ჯერჯერობით ისევ არასისტემურ ხასიათს ატარებს და მთლიანად ვერ ასახავს ნორმალიზაციის თანამედროვე პრიორიტეტებს.

ორთოგრაფიული ლექსიკონების არსებული (გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი) ელექტრონული ბიბლიოთეკები აერთიანებს ბეჭდური

ლექსიკონების არასტრუქტურირებულ ანალოგებს, რაც არ იძლევა სიახლეების ასახვის შესაძლებლობას (თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ელექტრონული ლექსიკონები, 2021). რასაკვირველია, ეს არის კარგი საშუალება აქამდე მხოლოდ ბეჭდური სახით არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და ამ ლექსიკონების ცნობადობის გასაზრდელად, თუმცა ასეთი ბიბლიოთეკა ვერ ასახავს ნორმალიზაციის მიმართულებით მიმდინარე სრულ სურათს.

განახლებულ და ხელმისაწვდომ ორთოგრაფიულ რესურსზე სამომხმარებლო მოთხოვნა დიდია.

ორთოგრაფიულ მონაცემთა დასამუშავებელი პროგრამული ინსტრუმენტის არარსებობა აფერხებს მონაცემთა დამუშავებისა და ნორმათა განახლების პროცესს, აგვიანებს ახალი ნორმების დამტკიცებას, მათ დანერგვას, პოპულარიზაციას, რაც საბოლოოდ აბრკოლებს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სწორად წარმართვას.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნის შემდეგ ახალი კანონმდებლობის შესაბამისად განახლდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მხოლოდ მცირე ნაწილი.

2018 წლიდან ასევე განახლებულია ან შექმნილია სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემის ქართული ბგერითი სისტემით გადმოცემის (ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის) წესები: ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური, სპარსულის, იაპონური, ჩინური და არაბული ენების ბგერითი სისტემების ქართული ბგერითი სისტემით გადმოცემის წესები ასევე განახლდა და დამტკიცდა ქართულ გეოგრაფიულ და ანთროპონიმულ სახელთა ლათინურად დაწერილობის სახელმძღვანელო წესები (სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი II, 2019-2020).

საკუთარი სახელების მართლწერის დადგენა-დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ გამოცემამ. ენციკლოპედიის სიტყვანი (ცნებათა სახელები, პერსონალია, ტოპონიმიკური ერთეულები, ზომა-წონის საზომი ერთეულები და სხვ.) ნორმატიული ხასიათისაა. ენციკლოპედიაზე დაყრდნობით მომზადდა რამდენიმე ნორმატიული ლექსიკონიც, თუმცა ეს ლექსიკონებიც უახლოეს ხანში გასაახლებელია.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, რომელიც, აგრეთვე, მომხმარებლის ძირითადი და საიმედო დასაყრდენია ნორმატიული ლექსიკონისა და, ზოგადად, სალიტერატურო ენის ნორმების შესამოწმებლად, შეიქმნა და გამოიცა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1950-1964 წლებში. მიმდინარეობს მუშაობა მის განახლებულ რედაქციაზე. ამ სამუშაოს ფარგლებში გამოცემულია ოთხი ტომი სავარაუდო თორმეტიდან (შედარებისათვის, ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი (Oxford English Dictionary) ყოველწლიურად ახლდება, რადგან იგი არის ინგლისური სალიტერატურო ენის დადგენის უმთავრესი ინსტრუმენტი. უკანასკნელად ის 2021

წლის ოქტომბერში განახლდა) (ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2021). განმარტებითი ლექსიკონი სახელმწიფო ენის ნორმალიზაციის უმნიშვნელოვანესი რგოლია. საჭიროა, მისი მუდმივი განახლების მექანიზმის შექმნა. განახლება უნდა წარიმართოს ისეთი ტემპით, რომ ერთდროულად შესაძლებელი იყოს რამდენიმე ტომის ახალ რედაქციაზე პარალელური მუშაობა. ასეთი მუშაობა შესაძლებელს გახდიდა განახლების ერთგვარ „ტალღურ“ პროცესს და არ დაუშვებდა პირველ და ბოლო ტომებს შორის ქრონოლოგიურ დაშორებას. პრობლემის გამომწვევი ფაქტორია განმარტებითი ლექსიკონის განახლების არასათანადო მიზნობრივი მხარდაჭერა: მწირი ადამიანური რესურსი, მუდმივი განახლების ფინანსური, ადმინისტრაციული და მეთოდოლოგიური კონცეფციის არარსებობა, თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებისა და რესურსების არასათანადო ჩართვა სამუშაოში.

რედაქტორისა და კორექტორის პროფესიებზე დაბალი საბაზრო მოთხოვნის გამო არ არსებობს საკადრო განვითარების სრულფასოვანი და უწყვეტი ციკლი: არ არსებობს (ან ფორმალურად არსებობს) რედაქტორების (სტილისტების) მოსამზადებელი მიზნობრივი აკადემიური პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებში, გადასამზადებელი კურსები, სხვა სახის საკვალიფიკაციო ცენტრები.

გლობალიზაციის პროცესის კვალდაკვალ შემოსული ახალი დარგებისა და ტექნოლოგიების მზარდი ნაკადის ტერმინოლოგიური მომსახურებისთვის ქვეყანა მოუმზადებელი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია ინგლისურიდან შემოსული ბარბარიზმების მყარად დამკვიდრება სხვადასხვა დარგში. უცხოენოვანი ტერმინოლოგიის თითქმის 30-წლიანი უკონტროლო შემოდინება ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად იქცა ქართული ენისათვის.

ტერმინოლოგიის შექმნა, დადგენა და დამკვიდრება ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის ერთი მთავარი სფეროა. ამ მიმართულებასაც, ისევე, როგორც ნორმალიზაციის საკითხებს აკადემიურ საფუძველს უქმნიდა თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ინსტიტუტის ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკოგრაფიის განყოფილება დღესაც აგრძელებს ამ ტრადიციას და წარმოადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს დარგობრივი ტერმინოლოგიის განვითარების კუთხით.

ნაყოფიერად მუშაობდნენ და მუშაობენ ამ მიმართულებით სხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და საჯარო უწყებებში (თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი, ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვ.).

ტერმინოლოგიური მოწყობის (ინფრასტრუქტურის) ტრადიციული მოდელი ასეთია: სამეცნიერო კვლევაზე დამყარებული ტერმინოლოგიის შექმნა აკადემიურ ინსტიტუციაში და მისი დანერგვა სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი ამ პროცესის განხორციელებას სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ავალებს (მუხლი 36, პუნქტი დ).

ახალი ტერმინოლოგიური სტანდარტების (სტანდარტზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა და სიტყვარების) შემუშავება კოორდინაციის სათანადო მექანიზმების არარსებობის გამო შეფერხებულია.

დღემდე საქართველოში არ არსებობს ეროვნული ტერმინოლოგიის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ფინანსურად და ადმინისტრაციულად უზრუნველყოფდა აკადემიური ტერმინოლოგიური ცენტრების, ტერმინოლოგიის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო ჯგუფებისა და დარგის განვითარებაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა უწყებების (სამინისტროების, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებების) კოორდინირებულ თანამშრომლობას, ერთენოვანი და მრავალენოვანი, საერთაშორისო სტანდარტზე დამყარებული ტერმინოლოგიური ლექსიკონების მომზადებას, ამ ლექსიკონების ექსპერტიზისა და ლეგიტიმაციის პროცესს, პროფესიონალ ტერმინოლოგთა მომზადებასა და გადამზადებას, სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ტერმინოლოგიური უნიფიცირების პროცესს და ა. შ. ასეთი მხარდამჭერი პროგრამები, სტრატეგიები და ზოგჯერ სპეციალური კანონებიც კი შეიქმნა პოსტსაბჭოთა სივრცის ევროპული ორიენტაციის ქვეყნებში.

ტერმინოლოგიური საქმის ერთიანი მხარდამჭერისა და კოორდინაციის საჭიროებაზე არაერთხელ გამოითქვა აზრი თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და საქართველოს ტერმინოლოგთა ასოციაციის მიერ გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე გაკეთებულ სპეციალურ მოხსენებაში ხაზი გაესვა ასეთი კოორდინაციის აუცილებლობას (ქაროსანიძე, 2019).

მიუხედავად გასულ საუკუნეში ან უახლოეს წარსულში გამოქვეყნებული ტერმინოლოგიური ლექსიკონების შთამბეჭდავი ჩამონათვალისა, ტერმინოლოგიური ნორმატიული ლექსიკოგრაფია დღევანდელი მზარდი გამოწვევების წინაშე დგას. ინტენსიურად მიმდინარეობს ტერმინოლოგიური მემკვიდრეობის გაციფრულებისა და მათ საფუძველზე სხვადასხვა ელექტრონული რესურსის შექმნის სამუშაოები, მაგრამ არასათანადო ტემპითა და ინტენსივობით იქმნება სტანდარტზე დაფუძნებული ახალი ტერმინოლოგიური ლექსიკონები. ამ ლექსიკონების რეცენზირებისა და ნორმატიულ რესურსად ქცევის პროცესი არ არის გამართული (ტერმინთბანკი, 2021), (საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ლექსიკონები, 2021).

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისა და ჰარმონიზაციისათვის თანამედროვე მსოფლიო ქმნის მძლავრ მრავალდარგოვან მთარგმნელობით პარალელურ კორპუსებსა და მათზე დაფუძნებულ ტერმინოლოგიურ ბაზებს, აგრეთვე, ტერმინთბანკებს.

ტერმინთბანკი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-სამეცნიერო და პოლიტიკური ატრიბუტია. ასეთი ბანკების შესაქმნელად დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსია ხოლმე მოხილვადი. ტერმინთბანკების შექმნა სტრატეგიულ ამოცანად განიხილება, ზოგჯერ მისი შექმნისა და განკარგვის საკითხები სამართლებრივადაც არის განსაზღვრული, მაგალითად, ლიეტუვაში მოქმედებს სპეციალური კანონი ტერმინთბანკის შესახებ (ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი ტერმინთბანკის შესახებ, 2003).

ქართული ტერმინთბანკის იდეა გაჩნდა და მის განხორციელებაზე მუშაობა მიმდინარეობს თსუ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული ტერმინოლოგიის ერთ სივრცეში გაერთიანებისა და სტანდარტიზაციისათვის. სათანადო სამთავრობო კოორდინაციისა და მართვის გარეშე ეს მნიშვნელოვანი პროექტი მხოლოდ ინსტიტუციური ფინანსური პროგრამის ფარგლებში ვითარდება. რესურსი ჯერ არ არის გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის.

ტერმინოლოგიური პოლიტიკის არაეფექტურობის თვალსაჩინო მაგალითია ქართულენოვანი სასკოლო და უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოთა ტერმინოლოგიური სიჭრელე. ერთი და იმავე დარგის სამეცნიერო ნაშრომები და სასწავლო სახელმძღვანელოები განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებენ, ეს ხელს უშლის ამ სფეროში ტერმინთა უნიფიცირებას, რაც გამართული ტერმინოლოგიის უმთავრესი საფუძველია.

ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ტერმინოლოგიაში დასაქმებული კადრების პროფესიული ზრდისა და სწავლების ციკლი არ არის გამართული. ნაკლებად იცავენ დისერტაციებს ტერმინოლოგიის საკითხებზე, ხოლო ამ მიმართულებით აკადემიური ხარისხის მქონე პირები ხშირად არ არიან დასაქმებულნი უშუალოდ ტერმინოლოგიის მიმართულებით. ტერმინოლოგთა აღზრდა უფრო სამუშაო ადგილზე, კონკრეტული ლექსიკონების შექმნის, პირადი გამოცდილების გაზიარებით ხდება. ეს განაპირობებს ტერმინოლოგიური სამუშაოებისთვის კვალიფიციური კადრების სიმცირეს, არაკონკურენტუნარიან გარემოსა და არაჯანსაღ პირობებს დარგის განვითარებისათვის.

ყოველივე ეს იწვევს ტერმინოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან შეფერხებას, ენაში ახალი არამართებული ტერმინოლოგიისა და ბარბარიზმების დამკვიდრებას.

2.2.3. სახელმწიფო ენის ფლობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა საფეხურზე

ქართული ენის სწავლება

სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელია სახელმწიფო ენის ცოდნის არასაკმარისი დონე. განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილში, რომლისთვისაც ქართული მეორე ენაა.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების 53,3%, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეების 74,4% ვერ ფლობს სახელმწიფო ენას (მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014).

2014 წლის საყოველთაო აღწერა გვაწვდის ძირითად ცნობებს საქართველოს მოსახლეობის მშობლიური ენების შესახებ, თუმცა სხვა, დამატებითი მონაცემები, როგორებიცაა – მეორე ენის ფლობის დონე, სახელმწიფო ენის ფლობის დონე, სხვა მცირერიცხოვანი ენების ცოდნის და გავრცელების დონე – არ არის ხელმისაწვდომი. მონაცემთა სიმწირეზე მიანიშნებს „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩველთა კომიტეტის ანგარიში, რომლის მიხედვითაც, პრობლემურია მოსახლეობის აღწერის მონაცემების ოფიციალური მოპოვების მექანიზმი. 2023 წლის აღწერის მონაცემებით, არ არის დაგეგმილი აღწერის ფორმის ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ აღწერის ფორმას თვითიდენტიფიკაციის ან შერეული წარმომავლობის თვალსაზრისით ხარვეზები ჰქონდა 2014 წლის აღწერის დროს (ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მესამე რეზოლუცია, 2020). გადასაწყვეტ საკითხებს შორისაა ის, რომ შემდეგი საყოველთაო აღწერა უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობისა და განსახლების აღწერის პროგრამის პრინციპებს, რომლებიც გულისხმობს თვითიდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციის აღნიშვნას აღწერის დროს. თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი კრიტერიუმი კი არის ენობრივი მიკუთვნებულობისა და ენების ფლობის დონის აღნიშვნა (პრინციპები და რეკომენდაციები მოსახლეობისა და განსახლების აღწერის შესახებ, 2017).

ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთა ურთიერთობა წლების განმავლობაში სახელმწიფოსთან რუსული ენით იყო გაშუალებული, ბუნებრივია, რომ დაუდგათ სამოქალაქო ინტეგრაციის მწვავე კრიზისი.

სახელმწიფო წლების განმავლობაში ახორციელებს თანამიმდევრულ ენობრივ პოლიტიკას ამ პრობლემის მოსაგვარებლად:

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით რეფორმატორული იყო მულტილინგვურ (ბილინგვურ) მოდელზე გადასვლა. ჯერ

კიდევ 2006 წლიდან ევროპის საბჭოს, ეუთოს, ევროკავშირის, ამერიკის განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდებოდა საპილოტე პროექტები სხვადასხვა სკოლასა და რეგიონში მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების დასაწესებლად. 2010 წლიდან მოქმედებს მულტილინგვური განათლების პროგრამა, რომელიც არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლის გაძლიერებას და ამით ეთნიკურ უმცირესობათათვის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად (მულტილინგვური განათლების პროგრამის დებულება, 2010); დაიწერა სახელმძღვანელოები და გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ბილინგვური განათლების დანერგვის მიმართულებით. გარდამტეხი ეტაპი იყო 2019 წელი, როცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც აქტიურად დაიწყო მუშაობა პროექტზე, რომელიც 30 არაქართულენოვან სკოლაში ბილინგვური მოდელის განხორციელებას ისახავს მიზნად. პროექტის უპირველესი მიზანია სახელმწიფო ენის არეალის გაფართოება (სახელმწიფო ენის სწავლების ენად გამოყენება საგნობრივ გაკვეთილებზე); ამ რეფორმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში აქტიურად იყო გამოყენებული ბალტიისპირეთისა და სხვა ისეთი ქვეყნების გამოცდილება, რომელთა სკოლების უმრავლესობაც მულტილინგვური განათლების მოდელზეა აწყობილი.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, დადგინდა სტუდენტთა კვოტა, რომლებსაც უნდა გაევლით ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ე.წ. 1+4 პროგრამა). ამ მასშტაბური და კომპლექსური ძალისხმევის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ენის შესწავლაზე. აღსანიშნავია, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით **ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ** ქართული ენის შემსწავლელი კურსები გახსნა ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების სასულიერო პირებისთვის; ქართული ენის შემსწავლელი კურსი უწყვეტად მოქმედებს შეიარაღებულ ძალებში (1000-ზე მეტი ბენეფიციარი), ასევე პენიტენციურ სისტემაში სავალდებულო გახდა სახელმწიფო ენის შესწავლა; არაქართულენოვანი საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის პროგრამას დაემატა საკომუნიკაციო უნარების განვითარება ქართულ ენაზე, პროფესიულ სასწავლებლებში დაინერგა ქართულენოვანი პროფესიული ტერმინოლოგიის სწავლება („სკოლამდელთა განათლების კანონი“).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს პროგრამებს „ასწავლე საქართველოსთვის“ და „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის პროგრამას“. ამ პროგრამებში დიდი ადგილი უჭირავს ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მხარდაჭერას.

მიუხედავად იმისა, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის ქართული ენის სწავლების საკითხს დიდი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა აქვს და ამ მიმართულებით გატარდა მასშტაბური ღონისძიებები, მიღწეული შედეგები არასაკმარისია და არაქართულენოვან მოქალაქეთა დიდი ნაწილისათვის ქართული ენის გამოყენება პრობლემად რჩება, რის გამოც იზღუდება მათი შესაძლებლობები, მიიღონ შესაბამისი განათლება, ხელი ეშვებათ პროფესიულ განვითარებაში, აქვთ ინფორმაციული იზოლაციის განცდა.

ამას მოწმობს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევის ანგარიში, რომლის თანახმადაც, „გამოკითხულთა 82.5% მიიჩნევს, რომ ქართული ენის არასათანადო ფლობა ბარიერია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმებისას, ხოლო ეთნიკურ ქართველებთან ინტეგრაციისათვის არასაკმარისი მზაობა გამოკითხულთა 65%-ზე მეტს მიაჩნია ბარიერად“ (ნ.გორგაძე, შ.ტაბატაძე, 2017).

ეს პრობლემა კი განსაკუთრებით გამოვლინდა კორონავირუსის პანდემიის დროს. ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „ეთნიკური უმცირესობები ენის უცოდინარობის გამო მოწყვლადები აღმოჩნდნენ პანდემიის პირობებში“ (ქავთარაძე, 2020).

მოსწავლეებში სახელმწიფო ენის ფლობის მიმართულებით მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის „სახელმწიფო შეფასება – ქართული როგორც მეორე ენა (VII კლასი)“, რომელიც 2018 წელს ჩატარდა აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მხარდაჭერით. შეფასება ეყრდნობა არაქართულენოვანი მეშვიდე კლასელი მოსწავლეების კვლევას და მიზნად ისახავს როგორც მათი ქართული ენის ცოდნის დონის განსაზღვრას, ასევე – გამომწვევი მიზეზებისა და საგანმანათლებლო სისტემებში არსებული პრაქტიკის ზეგავლენას მოსწავლეთა მოსწრებაზე. აღნიშნული შეფასების მიხედვით, მეშვიდეკლასელ მოსწავლეთა 64% ვერ ახერხებს ზღვრის გადალახვას ქართულში, როგორც მეორე ენაში.

კვლევაში ასევე აღნიშნულია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 90%-ს ენის შესწავლის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ არასასურველი შედეგი წინ წამოსწევს მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხს (სახელმწიფო შეფასება - ქართული, როგორც მეორე ენა (VII კლასი), 2018).

ის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქალაქეებისათვის, დასტურდება 2021 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის – „საქართველოს მომავლის“ – საფუძველზეც გამოკითხულთა სრულ უმრავლესობას ენა ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვან ატრიბუტად მიაჩნია. გამოკითხულთა 92% მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეები ქართულად უნდა საუბრობდნენ, ხოლო გამოკითხულთა 94%-ის აზრით, უმცირესობების წარმომადგენლებს, რომელთაც საჯარო სამსახურში

დასაქმება სურთ, ქართული ენის ცოდნა უნდა მოეთხოვებოდეთ. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (კვლევის ანგარიში - საქართველოს მომავალი, 2021).

სახელმწიფო ენის ფლობის დაბალი დონის გამომწვევი ფაქტორებიდან დასახელებულია საკანონმდებლო ხარვეზებიც. ამასთან, კანონმდებლობასა და ადმინისტრირებასთან არის დაკავშირებული სახელმწიფო ენის ცოდნის დონის შეფასება-შემოწმების სისტემის გაუმართაობა. კერძოდ, სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე ქართული ენის ცოდნის დონის შემოწმების საკითხი – ქართული ენის საგამოცდო ვალდებულება დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში მხოლოდ ეროვნულ გამოცდებზე ჩნდება. ქართული ენის ფლობის დაბალ დონეს, როგორც სახელმწიფო ენის ხარვეზიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ მიზეზს, მნიშვნელოვნად განაპირობებს ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ქართული ენის ფლობის შემოწმების მექანიზმის (გამოცდის ან თუნდაც ტესტირების) არარსებობა.

სახელმწიფო ენაში ერთიანი, საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებზე დაყრდნობილი გამოცდის არარსებობა თავს იჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში და მნიშვნელოვნად აფერხებს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სრულფასოვან ფუნქციონირებას, აქვეითებს ქართული ენის პრესტიჟს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული ენის ცოდნა არ არის მნიშვნელოვანი პიროვნული და კარიერული წინსვლისთვის, რომ მისი ფლობის მინიმალური დონე საკმარისია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

დღეს ქართული, როგორც მშობლიური ენა, ისწავლება ყველა ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ქართული ენის სწავლებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფოს მიერ. დაინერგა სახელმძღვანელოების გრიფირების წესი, რაც ხელს უწყობს ავტორთა შორის ჯანსაღ კონკურენციასა და სახელმძღვანელოების ხარისხის ამაღლებას, წლების განმავლობაში იხვეწებოდა ეროვნული სასწავლო გეგმა და იცვლებოდა გრიფირების წესიც. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რისი ნათელი მაგალითიც არის „ახალი სკოლის“ მოდელი, რომლის მიხედვითაც, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კვალდაკვალ ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები.

მიუხედავად წლების განმავლობაში გატარებული მასშტაბური ღონისძიებებისა, ქართული ენის ცოდნის დონე მოსწავლეებში საკმაოდ დაბალია. აღნიშნულს ადასტურებს საერთაშორისო კვლევებიც.

პიზის (PISA) კვლევების 2018 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს 79 მონაწილე ქვეყანას შორის 280 ქულა აქვს, რაც ძალიან დაბალი შედეგია (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018, 2020).

პიზის კვლევები აფასებს ინდივიდის მიერ ტექსტის გაგების, გამოყენებისა და გაზიარების უნარებს. ბუნებრივია, რომ ენის ცოდნა მჭიდრო კავშირშია წაკითხულის გააზრებასთან, ტექსტის გამოყენებასთან.

ცხრილი 1: PISA 2018 – ფინანსურ წიგნიერებაში მონაწილე 20 ქვეყნის მოსწავლეთა მიღწევების მაჩვენებლები (საშუალო ქულები).¹

მიღწევის საშუალო (ქულა)	ქვეყანა /ადმინისტრაციული ერთეული	ქვეყნები, რომელთა მიღწევის საშუალო სტატისტიკურად
547	ესტონეთი	
537	ფინეთი	კანადის 7 პროვინცია.
532	კანადის 7 პროვინცია	ფინეთი.
520	პოლონეთი	
511	ავსტრალია	ა.შ.შ., პორტუგალია.
506	ა.შ.შ.	ავსტრალია, პორტუგალია, ლატვია, ლიეტუვა
505	პორტუგალია	ავსტრალია, ა.შ.შ., ლატვია
501	ლატვია	ა.შ.შ., პორტუგალია, ლიეტუვა, რუსეთის ფედერაცია
498	ლიეტუვა	ა.შ.შ., ლატვია, რუსეთის ფედერაცია.
495	რუსეთი	ლატვია, ლიეტუვა, ესპანეთი.
492	ესპანეთი	რუსეთის ფედერაცია.
481	სლოვაკეთის რესპუბლიკა	იტალია.
476	იტალია	სლოვაკეთის რესპუბლიკა.
451	ჩილე	სერბეთი.
444	სერბეთი	ჩილე.
432	ბულგარეთი	
420	ბრაზილია	
411	პერუ	საქართველო.
403	საქართველო	პერუ.
388	ინდონეზია	

ფერების მნიშვნელობა:

- OECD-ის საშუალოზე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი.
- OECD-ის საშუალოსგან განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.
- OECD-ის საშუალოზე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი.

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ანგარიში (PISA 2018, ანგარიში)

¹ PISA-ში გამოიყენება წიგნიერების ინოვაციური კონცეფცია, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების უნარს, რომ ძირითად საგნებში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში - სხვადასხვა სიტუაციაში განსაზღვრონ და გადაჭრან პრობლემები, ცოდნის საფუძველზე გააანალიზონ ინფორმაცია, იმსჯელონ და შეძლონ ეფექტური კომუნიკაცია.

სახელმწიფო ენის ცოდნის საბაზრო მოთხოვნილება დაბალია. სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო დამსაქმებლების მიერ ენობრივი კომპეტენციის დონის შეუმოწმებლობა სამსახურში მიღებისას ერთ-ერთი ფაქტორია ენის არაპრესტიჟულობისა. 2017 წელს ჩატარდა კვლევა „ეთნიკური უმცირესობის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლისა და დასაქმების შესაძლებლობები და პერსპექტივები“. კვლევის ავტორებმა ვაკანსიების ვებგვერდ „jobs.ge-ზე“ 190 გამოქვეყნებული განაცხადი სიღრმისეულად შეისწავლეს. განაცხადების მიხედვით, ენის ფლობის მოთხოვნები კი ასე გადანაწილდა: ქართული ენის მაღალი კომპეტენციები მოთხოვნილია ვაკანსიების 23,8%-ში, ინგლისურისა კი - 49,8%-ში. რუსული ენის კომპეტენციების მოთხოვნა გაწერილია სამუშაო აღწერილობების 42,1%-ში, ხოლო სხვა ენებისა (თურქული, გერმანული, ფრანგული, არაბული, სხვ.), 4,3%-ის შემთხვევაში“ (ნ.გორგაძე, შ.ტაბატაძე, 2017).

ქართული ენის სწავლების ხარისხი არ არის უზრუნველყოფილი ენის ფლობის სტანდარტზე დაფუძნებული შემოწმების სისტემით. ერთადერთი გამოცდა, რომელიც ქართულის, როგორც დედაენის ფლობის დონეს ამოწმებს და ადასტურებს, არის ერთიანი ეროვნული გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. წიგნიერების დაბალი დონე და ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის პრაქტიკული კურსების არარსებობა (გარდა პროფილური ფაკულტეტებისა) უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტებში ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტობის დროს შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და განვითარებას. სტრატეგიაზე მუშაობისას გაანალიზებული იქნა რუსთაველის საზოგადოების მიერ ჩატარებული ზედაპირული მოკვლევის მასალები, რომლებიც ცხადად აჩვენებენ საუნივერსიტეტო საფეხურზე ქართული ენის ფლობისა და წიგნიერების დაბალ დონეს (გოგოლაშვილი, ინტელიგენციის ქართული, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2021).

დღესდღეობით უნივერსიტეტების თითქმის ყველა ფაკულტეტზე ისწავლება საგანი „აკადემიური წერა“, რომელიც სავალდებულო საფაკულტეტო საგანია, თუმცა აღნიშნული საგანი ძირითადად მიმართულია კვლევის სტრუქტურაზე და ნაკლებად მოიცავს აკადემიური წერის ენობრივ საკითხებს.

ქართული დიასპორების წარმომადგენლების კულტურული და ენობრივი ინტეგრაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ენა. ქართული ენის ფლობა მათთვის სამშობლოსთან სულიერი კავშირის შენარჩუნების სიმბოლოა. სწორედ ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიასპორის წარმომადგენლებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქართული ენის სწავლების საკითხებს. საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყანაში ქართული დიასპორის წარმომადგენლების ინიციატივით გახსნილია ქართული საკვირაო სკოლები და

ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რომელთა რიცხვი 2021 წლის აგვისტოს მონაცემებით, 139-ს შეადგენს. მათი უმეტესობა ქართული დიასპორული ორგანიზაციების, ნაწილი დამოუკიდებლად და ნაწილი კი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელშეწყობით ფუნქციონირებს.

2018 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც ქართული ენის სწავლებასთან ერთად მოიცავს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების შესწავლას. ამ ინტეგრირებული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოების კომპლექტი (მოსწავლის სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის გზამკვლევი). აღნიშნული სახელმძღვანელოები განკუთვნილია საკვირაო სკოლის 6-14 წლის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოები აგებულია თანამედროვე სწავლების პრინციპებზე და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისთვის სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისებას და მათ ეხმარება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადაეცემათ საზღვარგარეთ მოქმედ საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, საკვირაო სკოლების წინაშე ჯერ კიდევ არსებობს პრობლემის გამომწვევი შემდეგი ფაქტორები: არასაკმარისია სწავლების თანამედროვე მეთოდებზე მორგებული სასწავლო რესურსები, საკვირაო სკოლის მასწავლებლებისთვის მიზნობრივი მეთოდოლოგიური ტრენინგები, რომლებიც ხელს შეუწყობდა საკვირაო სკოლებში სწავლების დონის ამაღლებასა და დიასპორაში ენის სწავლების საერთო მიდგომების დანერგვას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად გეგმავს საკვირაო სკოლების პედაგოგთა გადამზადებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამას „ირბახი“, რომელიც შემუშავდა სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ და რომელიც ქართულის, როგორც უცხო ენის სასწავლო-მეთოდურ, თუ დამხმარე მასალას სთავაზობს ენის სწავლის მსურველებს. პროგრამა ემსახურება ქართული ენის სწავლებასა და პოპულარიზაციას უცხოეთში. პროგრამის ფარგლებში შექმნილი რესურსები ხელმისაწვდომია ინტერნეტში და აქტიურად არის

გამოყენებული დიასპორებში ქართული ენის შესასწავლად (ქართული როგორც უცხო ენა, 2021).

ასევე აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი „ქართული ენის დისტანციური კურსი“, რომლის მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია. სასწავლო კურსის სამიზნე აუდიტორიაა 5-დან 15 წლამდე მოზარდები.

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომლის თანახმადაც, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უნდა უზრუნველყო სურდო თარჯიმნების სერტიფიცირების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება 2021 წლის 1-ელ იანვრამდე (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020). დღეისთვის შექმნილია სკოლის დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოების ქესტური ენის ლექსიკური ფონდი. გაწეული სამუშაო არ არის საკმარისი და სპეციალურ საჭიროებათა პირებისთვის ენობრივი რესურსების შექმნა და განვითარება მოითხოვს მეტ მხარდაჭერას.

აფხაზური ენის სწავლება

აფხაზური ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები, პირველ ყოვლისა, განპირობებულია აფხაზეთის ოკუპაციით, რის გამოც ვერ ხერხდება რეალური ზრუნვა აფხაზური ენის სწავლების ყველა საფეხურზე. აფხაზური ენის სწავლების საკითხი უნდა შეფასდეს ამ პირობების გათვალისწინებით.

დღეს აფხაზურ ენას ასწავლიან: თსუ-ს კავკასიოლოგიის ინსტიტუტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ 5 სკოლაში, რომლებიც მოქმედებს თბილისში (2 სკოლა), ზუგდიდში (2 სკოლა) და სენაკში (1 სკოლა), ასევე ბათუმის მე-14 საჯარო სკოლასა და სოფელ ფერიის საჯარო სკოლაში. სამწუხაროდ, აღარ მოქმედებს ბათუმის აფხაზური საკვირაო სკოლა, ხოლო კავკასიური სახლისა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა კვლევითი ცენტრის კურსები პერიოდულია არასტაბილური დაფინანსების გამო.

ცხრილი №2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სკოლების ჩამონათვალი და მოსწავლეთა რაოდენობა

სკოლა	მისამართი	მოსწავლეთა რაოდენობა	აფხაზური ენის ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა
სსიპ -აფხაზეთის N1 საჯარო სკოლა	ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. N222	81	21
სსიპ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლა	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N4	32	7
სსიპ ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის N3 საჯარო სკოლა	ქ. თბილისი, უცნობ გამირთა ქუჩა N61	38	10
სსიპ თემურ ზოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა	ქ. სენაკი, სამხედრო დასახლება N3	69	15
სსიპ-ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 საჯარო სკოლა	ქ. ზუგდიდი, თბილისის ქ. N43	53	14

წყარო: ცხრილი შედგენილია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე.

ცოტაა, ნაკლებად ხელმისაწვდომი ან სრულებით არ არსებობს ძირითადი და დამხმარე სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, სასაუბროები, თვითმასწავლებლები, აუდიო- და ვიდეოლექციები, ელექტრონული რესურსები. აფხაზური ენის სხვადასხვა საფეხურის რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელიც ბოლო წლებში შეიქმნა, არ არის საკმარისი პრობლემის გადასაჭრელად. აფხაზური ენის სასწავლო რესურსების შექმნა არასათანადოდაა მხარდაჭერილი.

აფხაზური ენის სიღრმისეული შესწავლის რეალური პრაქტიკა სამეცნიერო სფეროს ვერ სცდება, თუმცა, როგორც პროფესიულ სამეცნიერო და პედაგოგიურ წრეებში მოკვლევამ ცხადყო, არსებობენ აფხაზურის შესწავლის მსურველები. სახელდობრ, ესენი არიან პირები, რომლებსაც თავისი სამომავლო საქმიანობისათვის სურთ აფხაზური ენის პრაქტიკულად შესწავლა. ისინი არიან, ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (მათ საკომუნიკაციო დონეზე ენის ცოდნა სჭირდებათ საგრანტო პროექტების

მოსაპოვებლად და განსახორციელებლად), მეორე მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმების მსურველნი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ამ ენის ცოდნა მათ დაეხმარება კარიერის აწყობაში. იმის გამო, რომ არ არის სათანადოდ მხარდაჭერილი აფხაზური ენის ფორმალური და არაფორმალური სწავლება, დასახელებულ პირებს ხელი ეშლებათ მიზნის მიღწევაში.

არ არსებობს ეფექტური დისტანციური კურსები აფხაზურის შესასწავლად, ენის იმ სპეციალისტთა რაოდენობაც შეზღუდულია, რომლებიც გაუძღვებოდა აფხაზური ენის სწავლებას განათლების სხვადასხვა საფეხურზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებული აქვს აფხაზური ენის სწავლების ეროვნული სტანდარტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, თუმცა არ არის აფხაზური ენის ფლობის დონეების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ ჩარჩოსთან (CEFR) მისადაგებული ზოგადი აღწერილობა. ასევე არ არსებობს, აფხაზურის, როგორც მეორე ენის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის შექმნა და განხორციელებაც მნიშვნელოვნად შეცვლიდა სიტუაციას და გაცილებით ეფექტურს გახდიდა აფხაზური ენის შესწავლას როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურებზე.

ყოველივე ეს აფხაზური ენის სწავლებას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სისტემაში აქცევს ფრაგმენტულ და ზედაპირულ პროცესად. აფხაზური ენის სასწავლო რესურსები არ არის საკმარისი სწავლების არეალის გასაფართოებლად, თუნდაც უცხოელ მოქალაქეთა ჩასართავად სამიზნე ჯგუფში. აფხაზური ენის სწავლების სრულ ციკლზე კონტროლისა და პასუხისმგებლობის გარეშე აფხაზური ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა შეუძლებელია.

2.2.4. ქართველური ენებისა და აფხაზური ენის მეცნიერული კვლევა

ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული მის მეცნიერულ შესწავლასა და ქართველოლოგიის დარგის, კერძოდ, ქართველოლოგიური ენათმეცნიერების განვითარებასთან.

ქართულის მეცნიერულ კვლევაში იგულისხმება როგორც ქართული სალიტერატურო ენის, ასევე მისი დიალექტებისა თუ სოციოლექტების შესწავლა. ქართული ენის შესწავლა სხვა ქართველური ენების – სვანურისა და მეგრულ-ლაზურის – საფუძვლიანი კვლევისა და მათი მონაცემების გათვალისწინების გარეშე არასრულყოფილია. ქართული ენის კვლევა და დოკუმენტირება ქართველოლოგიური ენათმეცნიერების დისციპლინურ ველში ექცევა.

საქართველოს ასეთი კვლევების ხანგრძლივი და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს. არსებობს სპეციალური კვლევითი ინსტიტუტები უნივერსიტეტებში, ასევე, ცალკე,


პროფილური კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა ძირითადი მიმართულება სწორედ ქართველოლოგიური კვლევებია.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარებისათვის სახელმწიფოს მხარდაჭერა. კერძოდ, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ათეულობით საგრანტო კონკურსი ცხადდება მეცნიერების სხვადასხვა დარგის წასახალისებლად და განსავითარებლად; სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები აცხადებენ შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონკურსებს; საერთაშორისო თუ საუნივერსიტეტო გრანტების ფარგლებში ფინანსდება სამეცნიერო ექსპედიციები, კონფერენციები, სხვადასხვა სამეცნიერო პროექტები, პუბლიკაციები და ა.შ.

ამ მხარდაჭერის მიუხედავად, ქართველოლოგიური/ჰუმანიტარული დარგები არ არის პრიორიტეტული და სათანადოდ მხარდაჭერილი, რაც დაფინანსებული პროექტების რაოდენობითაც დასტურდება.

მაგალითად, რუსთაველის ფონდის 2018 წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ, სამეცნიერო საგრანტო პროექტების კონკურსში 80 გამარჯვებული პროექტიდან მხოლოდ 3 არის ლინგვისტური ქართველოლოგიის მიმართულებისა.

დიაგრამა №2: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის მიმართულებით დაფინანსებული პროექტების პროცენტული მაჩვენებელი 2018 წლის მონაცემების მიხედვით:




წყარო: სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოკვლევა.

2019 წელს რუსთაველის ფონდს სულ 19 საგრანტო კონკურსი ჰქონდა გამოცხადებული. ქართველოლოგიური ენათმეცნიერების მიმართულებით შესაძლებელი იყო 16 საგრანტო კონკურსში მონაწილეობა. ამ წელს ფონდმა სულ

დააფინანსა 281 განაცხადი, რომელთაგან მხოლოდ 14 არის ფილოლოგიის მიმართულების. დეტალური ინფორმაცია ჩანს დიაგრამაზე.

დიაგრამა №3: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის მიმართულებით დაფინანსებული პროექტების პროცენტული მაჩვენებელი 2019 წლის მონაცემების მიხედვით.²



წყარო: სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოკვლევა.

ზემოაღნიშნული ორი დიაგრამის მიხედვით, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, მხოლოდ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში 9%-ით ნაკლები პროექტი დაფინანსდა ქართველოლოგიის მიმართულებით.

ქართველოლოგიის დარგის ინტერნაციონალიზაცია

მეცნიერული კვლევების განვითარება ინტერნაციონალიზაციის გარეშე თანამედროვე სამყაროში წარმოდგენილია. იმისათვის, რომ ნამდვილი წინსვლა ჰქონდეს, ქართული მეცნიერება უნდა იყოს მსოფლიო აკადემიური სივრცის ორგანული ნაწილი.

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისა და პოპულარიზაციისათვის.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო კონკურსებს უცხოეთის კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

მიუხედავად ამისა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია გვიჩვენებს მხოლოდ ზოგად ტენდენციებს. ზედაპირული მოკვლევით საერთაშორისო თანამშრომლობას იშვიათად აქვს ინსტიტუციური პრიორიტეტის ხასიათი.

² დიაგრამაზე მითითებულია პროგრამათა აბრევიატურები. საკონკურსო პროექტების სრული სახელწოდება იხ. ბმულზე <https://rustaveli.org.ge/qeo/konkursebi-da-programebi>

რეფერირებადი სამეცნიერო ლიტერატურის თეზისებისა და ციტირებების მსოფლიოს მასშტაბით უდიდეს მონაცემთა ბაზაში, სკოპუსში (Scopus), ქვეყნების რანჟირების სისტემაში ბიბლიომეტრიული მონაცემების მიხედვით, საქართველო 84-ე ადგილზეა. თუმცა, თუ მონაცემებს გავფილტრავთ სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად და მხოლოდ ლინგვისტიკის სფეროს მონაცემებს გავითვალისწინებთ, 79-ე ადგილზე აღმოჩნდება. რანჟირების ეს მაჩვენებელი ვერ ჩაითვლება დადებით შედეგად, რადგანაც, შედარებისთვის აღებულია მხოლოდ აღმოსავლეთი ქვეყნების რანჟირება 2019 წლისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე სამეცნიერო მუშაობაც პასიური გახდა, რაც რანჟირების უახლეს მონაცემებზეც აისახა. 2019 წლის მონაცემებით საქართველო მე-18 ადგილზეა. მას უსწრებს რუმინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, უკრაინა და სხვ. აღნიშნულ ბაზაში 2017 წელს საქართველო მე-17 ადგილს იკავებდა, ხოლო 2018 წელს კი – მე-14-ს.

ამ მონაცემების თანახმად 2017, 2018, 2019 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა (და საქართველოს ადგილი) პროპორციულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ) საგრანტო პროექტების რაოდენობისა.

ცხრილი №3: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რანჟირება ბიბლიომეტრიული მონაცემების მიხედვით.


რიგი	ქვეყანა	ციტირებული დოკუმენტები	ციტირება	თვითციტირება	ციტირება დოკუმენტზე	ჰირშის (h) ინდექსი
14	ლატვია	31	42	26	1.35	10
15	მონტენეგრო	31	3	1	0.10	4
16	ბელარუსი	25	4	0	0.16	6
17	ბოსნია-ჰერცეგოვინა	17	2	2	0.12	5
18	საქართველო	14	6	0	0.43	8
19	სომხეთი	11	1	1	0.09	4
20	ჩრდილოეთი მაკედონია	8	0	0	0.00	5
21	აზერბაიჯანი	6	0	0	0.00	3
22	ალბანეთი	5	0	0	0.00	2
23	მოლდოვა	3	6	2	2.00	4

წყარო: <https://www.scimagojr.com/countryrank.php>

2019 წელს სკოპუსის ბაზაში შესულ 61 ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია ან აბსტრაქტი საქართველოს სახელით ენისა და ლინგვისტიკის მიმართულებით (იხ. სურათი №3).

ჟურნალების თემატიკა გვიჩვენებს, თუ ლინგვისტიკისა და, ზოგადად, ენის შესწავლის რომელი სფეროა მეტად ინტერნაციონალიზებული და რომელი – არა.

სურათი №3: სკოპუსის ჟურნალები და ქართველი მეცნიერების სტატიები




წყარო: <https://www.scimagojr.com/shapeofscience/>

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში წლების მიხედვით მეცნიერის პროდუქტიულობა შევადარეთ ბალტიისპირეთისა და ჩვენი მეზობელი ქვეყნების მონაცემებს: ჩანს, რომ თუ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით პროგრესი შესამჩნევია, ბალტიისპირეთის ქვეყნებს ბიბლიომეტრიული მონაცემებით ჩამოვრჩებით.

სურათი №4: ქვეყნების შედარება წლების მიხედვით.

წყარო: <https://www.scimagojr.com/shapeofscience/>



სკოპუსის ბაზაში 2015-2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან საშუალოდ გამოიცემა 1786 სტატია ყოველწლიურად ყველა დარგში, აქედან მხოლოდ 59 სტატიაა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით (3%), უფრო კონკრეტულად, რამდენი სტატიაა ქართველოლოგიური ენათმეცნიერების საკითხების მომცველი, არ არის ცნობილი. თუ შევადარებთ ფიზიკასა და ასტრონომიას, ამ დარგზე 23% მოდის სტატიათა საერთო რაოდენობის წილი.

უცხოელ მეცნიერებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, შედარებით კარგი მდგომარეობაა: 2015-2018 წლის მონაცემებით, საშუალოდ 38,4% სტატიებისა სწორედ უცხოელ თანაავტორებთან ერთად გამოქვეყნებული სტატიებია.

თუმცა საერთო მონაცემებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში სკოპუსის ბაზის მიხედვით თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების სტატისტიკას, მდგომარეობა არასახარბიელო იქნება:

ცხრილი №1: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში ქვეყანათა პროდუქტიულობა წლების მიხედვით.

წელი	საქართველო	ფინეთი	თურქეთი	რუსეთის ფედერაცია	უკრაინა
2015	37	788	912	3244	164
2016	64	935	971	2578	160
2017	47	908	1020	3548	227
2018	89	945	1103	3946	237
საშუალო	59.25	894	1001.5	3329	197
პროცენტი	3.32%	4.29%	2.20%	3.94%	1.66%

წყარო: <https://www.scimagojr.com/shapeofscience/>

პრობლემაა საქართველოში გამოშვებული ჟურნალების ინტერნაციონალიზაციის საკითხიც. SJR-ის ჟურნალების რანჟირების სისტემაში ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით საქართველო საერთოდ არ ფიგურირებს, ანუ საქართველოდან არც ერთი ჟურნალი არ არის ამ ბაზაში (ელსევიერის ჟურნალების რანჟირების სისტემა, 2021).

საქართველოს ათეულობით უნივერსიტეტსა და კვლევით ცენტრში გამოიცემა არაერთი სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალი ლინგვისტიკის დარგში, მათ შორის გამორჩეულია: თსუ-ის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემები, რომლებსაც ათეულობით წლების ისტორია აქვს; ჟურნალებს ჰყავს საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოც, მაგრამ ეს ჟურნალები ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს Elsevier-ის მიერ მოთხოვნილ ყველა შინაარსობრივ და ტექნიკურ კრიტერიუმს და არ არის შესული ამ ბაზაში. ეს ქართული სამეცნიერო ენის, ეროვნული ტერმინოლოგიის განვითარებისა და ქართველოლოგიური კვლევების შედეგების საერთაშორისო სივრცეში დამკვიდრების ხელშემშლელი ფაქტორია. ბევრი სამეცნიერო ცენტრი ცდილობს პრობლემის დაძლევას და საკუთარი სამეცნიერო გამოცემის საერთაშორისო ბაზებში ასახვას, თუმცა ამ პროცესის მიზნობრივი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისია.

ქართველოლოგიის დარგის ინტერნაციონალიზაცია ასევე გულისხმობს ქართველურ ენათა მონაცემების ტიპოლოგიურ კვლევებში გამოყენების შესაძლებლობის გაზრდას. ქართველურ ენებში წარმოდგენილი სხვა ენებში იშვიათად დადასტურებული ენობრივი მოვლენების რაოდენობა მაღალია (ენათა სტრუქტურის მსოფლიო ონლაინატლასი, 2021). მაგალითად, ოქსფორდის ტიპოლოგიურ სახელმძღვანელოში ბრუნვის შესახებ რამდენიმეჯერ არის

მოხსენიებული მეგრულის მონაცემები, როგორც უნიკალური ნიმუში მსოფლიოს ენათა სინტაქსში (The Oxford Handbook of Case, 2012).

მართალია, ქართველურ ენათა გრამატიკის ცალკეული საკითხების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს და წინა თაობის მკვლევართა მიერ შექმნილია მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომები, თუმცა ნაკლებად არის თანამედროვე მოთხოვნების ახალი მონოგრაფიული კვლევები ქართველურ ენათა სინტაქსისა და მორფოსინტაქსის მიმართულებით, თუ არ ჩავთვლით უცხოელ მკვლევართა მიერ ორი ათეული წლის წინ შესრულებულ მონოგრაფიებს (ტუიტი, 1998), (კერკი, 1997), (ფენრიხი, 2002). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფიები ქართულ ენაზე: „ქართული ზმნა“ (გოგოლაშვილი, ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), 2010), „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ (გ.გოგოლაშვილი, 2016), „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“ (ჭ. ქირია, ლ.ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, 2015), „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, 2010) და სხვ., კვლავ დგას ქართული ენის გრამატიკის აკადემიური კურსის შექმნის, ასევე ქართველური ენების გრამატიკების სრული და სისტემური აღწერის საჭიროება.

ენობრივი კონტაქტების ცალკეული კვლევები ვერ გვაძლევს ისეთ სურათს, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება ექნება თუნდაც ენობრივი დაგეგმვის თვალსაზრისით. თანამედროვე ენობრივი სიტუაციისა და ტენდენციების კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი, სილი (ენათმეცნიერების საზაფხულო ინსტიტუტი SIL) და მისი ყოველწლიური რეფერირებადი ონლაინ- და ბეჭდური გამოცემა ეთნოლოგი: მსოფლიოს ენები (Languages of the World, 2021), რომლის მონაცემებს ეყრდნობა ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ენათა რანგებისა და ენობრივი კოდების მინიჭებისას. საქართველოში გავრცელებული ენების სტატისტიკური მონაცემებისა და ენათა დოკუმენტირების ობიექტურად ასახვისათვის ქვეყანას არ აქვს ღრმა და პროფესიული კავშირი ამ და სხვა ამ ტიპის ორგანიზაციებთან.

ენობრივი ტექნოლოგიები

21-ე საუკუნემ ახალი საფრთხეები წარმოშვა ენათა წინაშე. გარდა იმისა, რომ ის არის „ციფრული კვდომის“ საუკუნე და გაქრობით ემუქრება ყველა ენას, რომელიც თავს არ დაიმკვიდრებს ინტერნეტსივრცეში, ანუ არ შექმნის ვრცელ საინტერნეტო ენობრივ რესურსებს, სხვა მხრივაც ბევრ ამოცანას სვამს ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით. ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება უკვე გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იქცა დიდი ქვეყნების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად.

საქართველოში ენობრივი ტექნოლოგიები მუშავდება გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, არსებობს ამ საკითხზე მომუშავე კვალიფიციური და მოტივირებული ჯგუფები. ამ საქმის წამომწყები იყო მართვის სისტემების ინსტიტუტის ჯგუფი. გამოთვლითი (კომპიუტერული) ლინგვისტიკის საკითხები შეისწავლება თსუ გამოყენებითი ლინგვისტიკისა და ზოგადი ენათმეცნიერების კათედრებზე, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში. ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების საბაზისო პროექტების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. დღეს ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში განხორციელდა ბევრი წარმატებული პროექტი კორპუსლინგვისტიკის, ელექტრონული ლექსიკოგრაფიის, ენობრივი ტექნოლოგიების სხვა კომპონენტების დამუშავების მიმართულებით. არსებული კორპუსები (ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული ენის კორპუსი, ქართული დიალექტური კორპუსი, სტუ მართვის სისტემების ინსტიტუტის კორპუსები, სტუ საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის კორპუსი და სხვ.) არის კარგი რესურსი, მაგრამ სრულყოფილებამდე სხვადასხვა კომპონენტი აკლიათ (რეპრეზენტაციულობის, ანოტირების სისრულის, ტექნოლოგიური ჩარჩოს განახლების, მასალის დეფიციტის, ხელმისაწვდომობისა და სხვ.); არსებობს ქართული ენის მართლწერის შემმოწმებელი სისტემები და პორტალები (spellchecker.ge, on.ge, ice.ge, ena.ge), რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებით ემსახურება მომხმარებლის მოთხოვნას, თუმცა სრულყოფა და განვითარება მათაც სჭირდებათ.

მიუხედავად დარგის თეორიული კომპონენტის უწყვეტი განვითარებისა და წინსვლისა, ჯერჯერობით ძალიან მცირეა ბოლომდე რეალიზებული პროექტებისა და, შესაბამისად, ისეთი ტექნოლოგიური პროდუქტების რიცხვი, რომლებიც ხელმისაწვდომია სასრული მოხმარებისათვის.

ბუნებრივი ენის დამუშავების დაბალი და მაღალი დონეების გადაწყვეტების დიდი ნაწილი ქართული ენისათვის სამომავლო სამუშაოა, კერძოდ, შესაქმნელია ან სრულყოფას საჭიროებს ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებისთვის აუცილებელი საბაზისო ინსტრუმენტები და რესურსები:

ბუნებრივი ენის დამუშავებისათვის დაბალი დონის გადაწყვეტებია: POS ტეგირების, ტოკენიზაციის, მორფოლოგიური ანალიზის, ტექსტისა (OCR) და მეტყველების ამომცნობის (STT), მეტყველების სინთეზის (TTS) ინსტრუმენტები.

შესაბამისად, გასავითარებელია, დასახვეწია და გასამდიდრებელია ანოტირებული მასალა, სხვადასხვა ტიპის კორპუსები და ლექსიკონები, როგორც

რესურსი და ფუნდამენტი ენობრივი ტექნოლოგიების შემდგომი, უფრო მაღალ დონეზე განვითარებისა.

ბუნებრივი ენის დამუშავების უფრო მაღალი დონის გადაწყვეტებია: ტექსტიდან ინფორმაციის ავტომატურად ამოღების, ვიზუალიზაციის, სემანტიკური ქსელების, სინტაქსური ანალიზისა და მანქანური თარგმანის ინსტრუმენტები.

შესაბამისად, ქართული ენა ამ მხრივაც განიცდის დეფიციტს: არ არსებობს სრულყოფილი ტერმინოლოგიური, მთარგმნელობითი ბაზები, სინტაქსური ბანკები; არ არსებობს ე. წ. „ჭკვიანი ნივთების“, ხმოვანი საყოფაცხოვრებო სერვისების სახელმწიფო ენაზე გამოყენების შესაძლებლობა, არ არის უზრუნველყოფილი ექსტრემალურ სიტუაციებში ხმოვანი ინფორმაციის (გაფრთხილება, ინსტრუქტაჟი, სამაშველო ოპერაცია...) შეუფერხებლად გავრცელება (ავტომატური თარგმნის საშუალება); არ არსებობს ანონიმური და ფსევდონიმური ტექსტების განსაზღვრის (ატრიბუციის) და გაშიფვრის (დეკოდირების) ავტომატური სისტემები; არ არის ე.წ. „დიდი ბაზები“.

ქართულენოვანი სამომხმარებლო ნიღბის (ინტერფეისის) მქონე პროგრამები ნაკლებად ვითარდება, შესაბამისად, ქართული ენის გამოყენება ამ სფეროში შეზღუდულია და მომხმარებელს არ აქვს სამუშაო ენის არჩევანის საშუალება.

ენობრივი ტექნოლოგიების განვითარებაში არსებული დეფიციტი დღითიდღე იმატებს დარგის სწრაფი და ინოვაციური განვითარებისა და ძველი, საკმაოდ ღირებული პროექტების შედეგების მოძველებისა და აქტუალობის კლების გამო.

ციფრული ჰუმანიტარიის, გამოთვლითი (კომპიუტერული) ლინგვისტიკისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულელებით ადგილობრივი საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესები საჭიროებენ მეტ მხარდაჭერას და გაძლიერებას. ასევე, ამ მიმართულებების შეუფერხებელი განვითარებისათვის მოწინავე საზღვარგარეთულ ცენტრებში სტუდენტების სწავლებისა და მეცნიერთა კვლევების ხელშეწყობას.

ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება დაკავშირებულია ინტერდისციპლინურ თანამშრომლობასა და კვლევასთან, შესაბამისად, აქტუალურია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში მაღალი კვალიფიკაციის პროგრამისტების, დეველოპერების, მონაცემთა მეცნიერებისა და სხვა ტექნოლოგიური დარგის სპეციალისტების მოზიდვა და დასაქმება.

ლექსიკოგრაფიული კვლევები

ქართულ სამეცნიერო ლექსიკოგრაფიას დიდი ტრადიცია აქვს. სხვადასხვა ჟანრის (განმარტებითი, სასწავლო, თარგმნითი, სიხშირული და სხვ.)

ლექსიკონებზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს რამდენიმე კვლევით ინსტიტუტსა და საუნივერსიტეტო ცენტრში, ამას გარდა, იქმნება დარგობრივი ლექსიკონები სხვადასხვა კომერციული თუ საჯარო უწყებების ინიციატივით. როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული პროექტია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქცია, რომლის 4 ტომია გამოსული (თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი). მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მთარგმნელობითი ლექსიკოგრაფიის სფეროში „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ (თსუ), გამოიცა ქართველური ენებისა და ქართული დიალექტების, აფხაზურის, საქართველოში გავრცელებული სხვა კავკასიური ენების სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები. 2018 წელს 13 სხვადასხვა ტიპის ლექსიკონი შეიქმნა და გამოიცა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, მათ შორის, სრულიად ახალი ტექნოლოგიით მომზადებული, კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკონები. ელექტრონული ლექსიკოგრაფიის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკოგრაფიულ რედაქტორში შექმნილი კორპუსული ონლაინლექსიკონები, 2014-2017 წლებში შექმნილი „იდიომური გამოთქმების ლექსიკონი“, ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფის მიერ პროგრამა „ლექსიკოგრაფის“ გამოყენებით შექმნილი „ქართული ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსია (ელექტრონული ქართული ლექსიკონი, 2021)

მისასალმებელია, რომ უკანასკნელ ხანებში გაჩნდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ლექსიკოგრაფიაში, შეიქმნა სასწავლო სახელმძღვანელოც – „ლექსიკოგრაფიის შესავალი“ (მარგალიტაძე, 2021)

მიუხედავად დარგში მოღვაწე მკვლევართა ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისა, არ იქმნება სათანადო რაოდენობისა და ხარისხის თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პროდუქცია. შესაბამისად, თანამედროვე ქართული და აფხაზური ლექსიკოგრაფია, როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი, არათანაბრად, არასისტემურად და არასტანდარტულად ვითარდება. ამის მიზეზია ის, რომ დღეს მოქმედ ლექსიკოგრაფიულ ცენტრებს არა აქვთ სათანადო კოორდინაცია და მხარდაჭერა, ლექსიკოგრაფის შრომა არ არის წახალისებული, არ არის სათანადოდ მხარდაჭერილი კადრების მომზადება (ა. არაბული, თ.ვაშაკიძე, 2013).

ლექსიკოგრაფიული სამუშაოს მაღალი ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც ნორმატიული, ისე ტექნოლოგიური რესურსების შექმნისა და სრულყოფის წარმატებულ პროცესს. ამიტომ აქტუალურია სხვადასხვა ტიპის ერთენოვანი და პარალელური ლექსიკოგრაფიის განვითარება. ევროპული და სხვა ენების თანამედროვე პარალელური ლექსიკონების გარეშე წარმოუდგენელია ქართული ავტომატური სათარგმნი სისტემის შექმნა.

გარდა ამისა, კორპუსზე დაფუძნებული ელექტრონული ლექსიკოგრაფია საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული, რადგანაც თვითონ კორპუსული ლინგვისტიკა საჭიროებს სათანადო ფინანსურ და აკადემიურ მხარდაჭერას.

ეტიმოლოგიური კვლევები, ეტიმოლოგიური ლექსიკონი

ფუნდამენტური კვლევების სფეროს მიეკუთვნება ეტიმოლოგიური კვლევები. კვლევების შედეგად ყოველი ენისათვის **ეტიმოლოგიური ლექსიკონი** იქმნება. მიუხედავად წინა თაობების მიერ გაწეული უდიდესი მეცნიერული შრომისა და შედეგებისა, არსებული ნაშრომები ვერ ასახავს ენის ისტორიის სრულ სურათს და ფრაგმენტული ხასიათისაა. სამწუხაროდ, არ გვაქვს სრულყოფილი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, არ გვაქვს **ისტორიული ლექსიკონის ელექტრონული ბაზა**, რომელშიც აისახებოდა ქართველურ ენათა დიაქრონიული განვითარების შედეგები. ეტიმოლოგიური ლექსიკონის თეორიული ბაზა დიდი ხანია მუშავდება მკვლევართა მიერ. აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი ამ მიმართულებით: სარჯველაძე-ფენრიხის ავტორობით „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც 1990 წელს გამოიცა, გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (რუსულ ენაზე 1964; ინგლისურ ენაზე 1990), მ. ჩუხუას „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“ 2000-2003 წლებშია გამოცემული, ჰ. ფენრიხის 2008 წელს გამოცემული „ქართველური ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (გერმანულ ენაზე), ბ. გიგინეიშვილის „ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (2016). თითოეული დასახელებული ლექსიკონი ფრაგმენტულად ასახავს ქართულის და ქართველური ენების ლექსიკურ ფონდის ისტორიას. ახალი ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისა და ბაზის შექმნა არა მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით არის გადაუდებელი ამოცანა, არამედ სახელმწიფოს პრესტიჟის საკითხიცაა.

ქართული, ქართველური ენებისა და აფხაზურის ეტიმოლოგიური ბაზა, რომელშიც აისახებოდა ენათა დიაქრონიული განვითარების შედეგები, არ არსებობს.

აფხაზური ენის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები

აფხაზური ენის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ტრადიცია დიდია.

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზური ყველაზე უკეთ შესწავლილი ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის, სიმონ ჯანაშიას, რუსუდან ჯანაშიას, თეიმურაზ გვანცელაძის, ნანა მაჭავარიანისა და უცხოელ თუ აფხაზ მეცნიერთა კვლევების წყალობით. ეს კვლევები მიმდინარეობდა არნ.

ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და თსუ კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. ამ ცენტრებს შეუერთდა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სოხუმის უნივერსიტეტის სამშვიდობო განათლების ცენტრი (აფხაზეთის კვლევის მიმართულება). სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლიდან მოქმედებს აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა, რომელსაც ანალოგი არა აქვს ენგურს აქეთ. ამ პროგრამის სტუდენტებს უკვე მე-4 წელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან უფინანსდებათ სწავლა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს უკვე რამდენიმე წელიწადია აქვს „აფხაზური ენის ხელშეწყობის პროგრამა“, რომლითაც ფინანსდება აფხაზური ენის ბეჭდური და ელექტრონული სასწავლო რესურსების შედგენა-გამოცემა, თუმცა ეს პროგრამა ვერ ფარავს ამ მიმართულებით არსებულ ყველა მოთხოვნას.

შექმნილი პოლიტიკური რეალობის გამო თითქმის აღარ არის პროფესიული კავშირი და თანამშრომლობა აფხაზ კოლეგებთან. არ არის სათანადოდ მხარდაჭერილი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები აფხაზური ენისათვის, არ არის ახალი სოციოლინგვისტური ნაშრომები, არ ხდება არსებული მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობის შესახებ კრებსითი ან სერიული ინფორმაციის უცხო ენაზე გავრცელება, ქართული აფხაზოლოგიური სკოლის მიღწევების სათანადო ინტერნაციონალიზაცია. არ არის აფხაზური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები საკმარისი: სასწავლო, თარგმნით-განმარტებითი, ფრაზეოლოგიზმების, მორფოლოგიური და სხვ.; დარგის საკადრო უზრუნველყოფა არ არის დამაკმაყოფილებელი, არ არის აფხაზური ენის ბუნებრივ გარემოში შესწავლის პირობები და არც ვირტუალური კომუნიკაციის რესურსია ამისთვის გამოყენებული, არ არის თანამედროვე სტანდარტის ელექტრონული რესურსები აფხაზური ენისათვის, არ არის დისტანციური პროგრამები და პლატფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ დაკარგული პროფესიული, სამეცნიერო და ადამიანური კავშირების აღდგენას და განმტკიცებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქართული აფხაზოლოგიური სკოლის მხარდაჭერა და მისი სტატუსისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, აფხაზური ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

აფხაზურისთვის ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები არ ემიჯნება ქართულისათვის აღწერილ ვითარებას. მდგომარეობას ამძიმებს ოკუპაციის პირობები და სახელდობრ ის, რომ არ არის აფხაზ მეცნიერებთან ერთად ენის ტექნოლოგიებზე მუშაობის საშუალება. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ჯგუფი მუშაობს ამ საკითხებზე. აფხაზურისთვის საბაზისო ენობრივი ტექნოლოგიების

შექმნის გარეშე შეუძლებელია აფხაზური ენის კვლევისა და სწავლების ამოცანების განხორციელება, რაზეც ზემოთ იყო საუბარი.

ქართველოლოგიის ცენტრები საზღვარგარეთ

საერთაშორისო თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია ქართველოლოგიური სასწავლო და კვლევითი ცენტრების არსებობა საზღვარგარეთ. დღეს ქართული, როგორც საუნივერსიტეტო საგანი, ისწავლება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტში. რაც შეეხება კვლევით ცენტრებს, ცალკეული კვლევები მიმდინარეობს ფრანკფურტის, ჰარიზის, მალმეს, მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში, თუმცა სპეციალურად ქართველოლოგიური კვლევითი ცენტრების სტატუსები მათ არ აქვთ. იენაში გამოიქვეყნა ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგია“, რომლის გამოცემაც 2018 წელს შეჩერდა.³ წლების განმავლობაში გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტისა და თსუ-ს თანამშრომლობით ტარდება სეზონური სკოლები ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით.

შთამბეჭდავი ჩამონათვალის მიუხედავად, კვლევები და უცხოეთის კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა ცალკეულ შემთხვევებს ეყრდნობა და ძირითადად არ არის სისტემური და გრძელვადიანი.

სულ ახლახან საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა ქართველოლოგიის ცენტრი ჰარვარდის უნივერსიტეტში. ეს ნაბიჯი აჩენს მომავალში ქართველოლოგიური მიმართულების მხარდაჭერის უფრო მასშტაბური და ეფექტური პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების იმედს.

ქართული, როგორც მეცნიერების ენა

ენის ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი სფერო მეცნიერებაა. ამასთან, ესაა სფერო, რომელიც, წესით, ყველაზე მეტად ნორმალიზებული და სტანდარტიზებული უნდა იყოს. დღეს, გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ასე მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერული კვლევის შედეგები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს, მეცნიერების მთავარ საურთიერთო ენად ინგლისურია გამოყენებული. ამიტომ ხშირად უკანა პლანზე იწევს და სათანადო სისრულით ან ტემპით ვერ შედის საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში სხვა ენებზე შესრულებული კვლევები.

ქართველოლოგიური კვლევები ქმნიან საფუძველს ქართულის, როგორც მეცნიერების ენის განვითარებისათვის. ქართულ ენაზე შესრულებული კვლევები

³ <https://www.kaukasiologie.uni-jena.de/research>

თავისთავად ახალი ტერმინოლოგიის შექმნასა და შესაბამისი დარგის ქართულ ენაზე განვითარებას უწყობს ხელს.

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ერთ-ერთ სამუშაო ენად ქართულის აუცილებელი არჩევა და კვალიფიციური სინქრონული თარგმანის არსებობა, აგრეთვე ორენოვანი სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება ასევე ხელს უწყობს ქართული სამეცნიერო მეტაენის განვითარებასა და ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის სწრაფ გაქართულებას. ქართული, როგორც მეცნიერების ენა აგრეთვე საჭიროებს განსაკუთრებულ ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

2.2.5. ეთნიკური უმცირესობების ენები საქართველოში

საქართველო მრავალენოვანი და მრავალენოვანი ქვეყანაა და სახელმწიფო ენის ფუნქციონირება განიხილება სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის გაუმართაობის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად გამოიკვეთა ის, რომ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და გამოყენებული მისი, როგორც სამოქალაქო ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი იარაღის, როლი საზოგადოებაში ენობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების ფონზე.

აქამდე მოქმედ სახელმწიფო სტრატეგიებში სათანადოდ ასახული იყო საქართველოს მოქალაქეთა ენობრივ უფლებები, მათ შორის, მშობლიური ენის ცოდნისა და შენარჩუნების უფლება, თუმცა დაგეგმილი პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას რიგმა ფაქტორებმა შეუშალა ხელი.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქართველია და ისინი მოსახლეობის 86.2%-ს შეადგენენ, ხოლო მოსახლეობის 13,14 %-ს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ.

ამათგან შედარებით მრავალრიცხოვანია აზერბაიჯანული და სომხური მოსახლეობა (11%), ხოლო 2%-ს შეადგენს შედარებით მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, მათ შორის, ისეთი მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფი, როგორცაა ბოშები.

ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფია აზერბაიჯანელები (6,3%), გარდა ამისა, საქართველოში ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფები, როგორებიც არიან: ოსები, აფხაზები, ბერძნები, უკრაინელები, რუსები, ასირიელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ქისტები⁴, ბეჟიტები, ხუნძები, უდიები და სხვ.⁵

⁴ ეთნიკური ჩეჩნები.

⁵ სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ეროვნული აღწერა, 2014

ცხრილი №4: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის ეროვნული აღწერა, 2014.

	სულ								
	სულ	მათ შორის მშობლიური ენით:							
		ქართული	აფხაზური	ოსური	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სხვა	არ არის მითითებული
საქართველო	3,713,804	3,254,852	272	5,698	231,436	45,920	144,812	30,742	72

ის ხარვეზი, რომელიც ახლავს 2014 წლის საყოველთაო აღწერას, არ გვაძლევს საშუალებას, ყოველი ენობრივი უმცირესობისათვის განვსაზღვროთ მშობლიური ენის ფლობის დონე, ამგვარად, დაგეგმილია საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, რათა ეს ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების დაგეგმვისათვის.

იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოგვეპოვება, მშობლიურ ენას ვერ ფლობს ეთნიკურ უმცირესობათა 3,14%. ეს მაჩვენებელი ოპტიმისტურია, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ზოგი ენა იუნესკოს მიერ საფრთხეში მყოფ ენადაა კვალიფიცირებული, სახელმწიფოს მიზანია ამ ენათა შენარჩუნებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება, ამასთან, მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, წინმსწრები ნაბიჯების გადადგმა.

აქვე გასათვალისწინებელია იუნესკოს კლასიფიკაცია საფრთხეში მყოფი ენების შესახებ: იუნესკო რამდენიმე კრიტერიუმით განსაზღვრავს საფრთხეში მყოფ ენებს. ესენია: 1) ენის თაობიდან თაობაზე გადაცემის უწყვეტობა, 2) ენაზე მეტყველთა სრული რაოდენობა, 3) პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შედარებით, 4) ენის გამოყენების სფეროების ცვლილება, 5) ენის გამოყენება ახალ სფეროებსა და მედიაში, 6) ენის სწავლებისა და ამ ენაზე განათლების მისაღებად საჭირო მასალების არსებობა, 7) სამთავრობო და ინსტიტუციური მითითებები და პოლიტიკა ენის ოფიციალური სტატუსისა და გამოყენების ჩათვლით, 8) სამეტყველო კოლექტივის წევრთა დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ, 9) დოკუმენტაციის რაოდენობა და ხარისხი. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან იუნესკო იზოლირებულად არცერთს არ განიხილავს. სწორედ კომპლექსური მიდგომითა და კვლევით დგინდება, დგას თუ

არა ესა თუ ის ენა საფრთხის წინაშე და შესაბამისად, სჭირდება თუ არა დამატებითი ჩარევა ენის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. აღსანიშნავია, რომ იუნესკოს მონაცემი სანდო და ანგარიშგასაწევია, როცა ეფუძნება მოსახლეობის საყოველთაო აღწერას ან ისეთ სპეციალურ კვლევას, რომელიც უეჭველ შედეგებს იძლევა. ერთ-ერთ პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ იუნესკოს ინფორმაციის წყარო ენობრივი მრავალფეროვნების შესახებ უმეტესად არ არის საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუციები. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ამ თვალსაზრისით არასრულ მონაცემებს იძლევა. არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი საქართველოს ენებისთვის სპეციალურად და ამომწურავად ნაკვლევი აქამდე არ არის (საფრთხეში მყოფი ენების ატლასი, იუნესკო, 2010).

სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების პირობებში უმცირესობათა ენების მხარდაჭერა ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ენობრივი უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის საქართველოს მიერ 2020 წლის 17 ივნისს მიღებული მე-3 რეზოლუციის მიხედვით, უმცირესობათა ენების სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს რეკომენდაციები ასეთია:

- საჭიროა უკეთესი სასწავლო მასალა უმცირესობათა ენებზე;
- საჭიროა მასწავლებელთა გადამზადების გაუმჯობესება კონკრეტულად მრავალენოვან განათლებაზე ფოკუსირებით;
- ამ ენებზე შედგენილ სახელმძღვანელოებში სასწავლო მასალა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ წახალისოს ტოლერანტობა და კულტურათაშორისი დიალოგი.

მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობათა ენათაგან ზოგიერთის სწავლება თუ ამ ენების სწავლების ენად გამოყენება პირველად არის შესაძლებელი შეზღუდული რაოდენობის სკოლებში, საათების რაოდენობა მცირეა და სასწავლო მასალის ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას (ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია, 2020).

პრობლემა იკვეთება უმცირესობათა ენების სწავლების კუთხითაც: ერთი მხრივ, ჩნდება მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროება, მეორე მხრივ კი – გვაქვს სახელმძღვანელოების დეფიციტი.

მოქმედი სახელმძღვანელოების სრულფასოვანი შინაარსობრივი კვლევა არ წარმოებულა, გასარკვევია, რამდენად ასახავენ კულტურულ ფონს და ემსახურებიან თუ არა სათანადოდ მოსწავლეების კულტურულ და სამოქალაქო ინტეგრაციას, ქართულ საზოგადოებაში ორმხრივი გაგებისა და ტოლერანტობის კლიმატის შექმნას. ფოკუსჯგუფში ჩატარებულმა მცირე კვლევამ გვაჩვენა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობენ ქართულ ენას და ცდილობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას, ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად ასახელებენ კულტურული ცნობადობის დეფიციტს, იმას, რომ ისინი

თითქმის არ იცნობენ საქართველოს სხვა კუთხეების წარმომადგენლებს, ასევე, ქართველმა თანატოლებმა ძალიან ცოტა იციან მათ შესახებ. ასეთი ვითარება აფერხებს მათ სამოქალაქო ინტეგრაციას და აქვეითებს ცხოვრებისა და განვითარების ხარისხს.

გარდა შედარებით მრავალრიცხოვანი ენობრივი უმცირესობებისა, ქვეყანაში არსებობს ისეთი ენებიც, რომელთა სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ შექმნილ პირობებზე. იუნესკოს საფრთხეში მყოფი ენების ატლასში საქართველოს რამდენიმე ენა კლასიფიცირებულია, როგორც აშკარად ან სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფ ენად.⁶ ენათა შენარჩუნებისათვის არ ხდება მათი თანამედროვე სტანდარტებით დოკუმენტირება და ამ ენათა მიმართ სახელმწიფოებრივი, მრავალფეროვნებით გამსჭვალული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რომელიც ამ ენათა ხშირ გამოყენებას შეუწყობდა ხელს.

არ არის განსაზღვრული საქართველოს ენობრივი (და კულტურული) მრავალფეროვნების დაცვისა და მხარდაჭერის კონცეფცია. მცირერიცხოვანი ენების კვლევა და დოკუმენტირება ერთეული სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო პროექტებით შემოიფარგლება (იგულისხმება როგორც ადგილობრივი, მაგალითად, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული). ენათა მხარდაჭერის, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების სამოქალაქო აქტიურობა თითქმის არ არსებობს.

საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა ქვეყნის ისტორიული ტრადიციითა და საერთაშორისო სამართლითაა განსაზღვრული. აღწერილი პრობლემების გაუთვალისწინებლობა ხელს შეუშლის ინტეგრაციას და ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების სურათის შენარჩუნებას.

გამოკვეთილი პრობლემაა საქართველოს ენათა შესახებ საზოგადოების არაინფორმირებულობა. არასათანადოა საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მშობლიური ენებისა და თვითმყოფადი კულტურის პოპულარიზაცია.

⁶ <http://www.unesco.org/languages-atlas/index.php?hl=en&page=atlasmap&cc2=a>

3. სახელმწიფო ენის სტრატეგიის ხედვა

სახელმწიფო ენის სტრატეგიის ხედვა გულისხმობს 2030 წლისათვის ქართული ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ქართული ენის დაცვასა და განვითარებას საკანონმდებლო და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.

სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ენას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჰქონდეს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ყველა სფეროში (საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, სკოლამდელი, საშუალო, პროფესიული, უმაღლესი განათლების სისტემაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, იურისპრუდენციაში, ადმინისტრაციულ მმართველობაში, მედიის, ეკონომიკის, ბიზნესის, საბანკო, სარეკლამო თუ მარკეტინგის სფეროებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, საზოგადოების კულტურულ თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში) გამოყენების სათანადო პირობები.

4. სახელმწიფო ენის სტრატეგიის მიზანი და ამოცანები

სახელმწიფო ენის სტრატეგიის მიზანია სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ქართული ენა, როგორც სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეთა თვითაღქმის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, სახელმწიფოსგან ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ისეთი პირობების შექმნას, რომლითაც ის მრავალენოვან მსოფლიოში ღირსეულ ადგილს შეინარჩუნებს.

სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება დღეს რამდენიმე ერთმანეთთან გადაჯაჭვულ საკითხთან არის დაკავშირებული.

სიტუაციის ანალიზისას გამოყოფილი პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გადასაჭრელად, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრა ერთი ძირითადი მიზანი და მასთან ასოცირებული ამოცანები. ისინი აერთიანებენ მთელ რიგ მიმართულებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება და განვითარება, რაც გულისხმობს ენის სწავლისა და სწავლების სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევას, ქართული ენობრივი ტექნოლოგიებისა და ენობრივი რესურსების განვითარებას, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას, ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაძლიერებას, სახელმწიფო ენის პრესტიჟის ამაღლებას როგორც ქვეყნის მოსახლეობაში, ისე მის საზღვრებს გარეთ, ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების, როგორც ეროვნული კულტურული ფასეულობის შენარჩუნებასა და დაცვას, უმცირესობათა ენებზე ზრუნვასა და სახელმწიფო ენის კონსტიტუციური უფლებების დაცვის პარალელურად მათი ფუნქციონირების ხელშეწყობას. სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის დაგეგმილია სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება, რაც გულისხმობს როგორც უკვე არსებული საკანონმდებლო ნორმების რეალური აღსრულების პირობების შექმნას, ასევე, ახალ საკანონმდებლო ინიციატივებსაც. საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგებას მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვისა და მისი ფუნქციონირების საკითხები, რომლებიც, თავის მხრივ, გადაჯაჭვულია სახელმწიფო ენის ფლობის სამოქალაქო და საჯარო ვალდებულებების საკითხთან, ყველა ეს ერთად აღებული კი უკავშირდება სახელმწიფო ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტის შექმნასა და დანერგვას და ამ სტანდარტზე დამყარებული სახელმწიფო ენის ერთიანი საგამოცდო სისტემის შექმნას.

შესაბამისად, განსაზღვრულია ის სფეროები, რომლებშიც ენის მხარდაჭერა აუცილებელი, კოორდინირებული და შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს. გავლენის ინდიკატორია ქვეყანაში სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების დონე, რომელიც განისაზღვრება ენის ფუნქციონირების

სფეროების შეფასების მიხედვით: კანონმდებლობა, ნორმალიზაცია-სტანდარტიზაცია, სახელმწიფო ენაზე სწავლა-სწავლება, ენის პრესტიჟი, მეცნიერება (ქართველოლოგია), ადამიანის ენობრივი უფლებები (სახელმწიფო ენაზე ინფორმაციის მიღების უფლება და შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე ინფორმაციის მიღების უფლება და შესაძლებლობა) და სხვ.

გავლენის ინდიკატორი ასევე მიემართება ისეთ ურთიერთმკვეთ საკითხებს, როგორებიცაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და გლობალური პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის წარმოადგენს გამოწვევებს:

- ✓ ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა – ხარისხიანი სამედიცინო დახმარება და ხელმისაწვდომი მედიკამენტები და ვაქცინები, რაც თავისთავად უკავშირდება სამედიცინო მომსახურების მიღებას სახელმწიფო ენაზე (მედიკამენტების, ვაქცინებისა თუ სხვა მომსახურების);
- ✓ ხარისხიანი განათლება – განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის სწავლებისა და სწავლის შესაძლებლობა საქართველოს მოქალაქეებისათვის. მათ შორის არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; პროფესიული და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა სახელმწიფო ენაზე საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ინტეგრაციას, კარიერულ ზრდას, პიროვნულ რეალიზაციას.
- ✓ მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა – ქართულენოვანი ინტერნეტის განვითარება, ენობრივი ტექნოლოგიების შექმნა და განვითარება, რაც გამოიწვევს მომსახურების სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტექნოლოგიურ წინსვლას, მრეწველობაში ქართულენოვანი ტექნოლოგიების დანერგვას და სხვ.
- ✓ განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფების მხარდაჭერა კანონმდებლობისა და პოლიტიკის დონეზე – ქართული ენის გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოქალაქეებისათვის.

სახელმწიფო ენის ფუნქციონირების დონის შეფასების ინდიკატორის კრიტერიუმები შემუშავდება ექსპერტების, მეცნიერების, საგანმანათლებლო სფეროს მუშაკების, რედაქტორების, ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ განიხილება და დამტკიცდება ინოვაციური შეფასებითი დოკუმენტი, რომელშიც თითოეულ განსაზღვრულ სფეროს მიენიჭება სათანადო ქულა, შესაბამისად, საბოლოოდ, შექმნილი ფორმულით გამოითვლება სტრატეგიის გავლენის მაჩვენებელი შუალედური და საბოლოო სამიზნე წლებისათვის. 2030 წლისათვის საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 80%-ით.

მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულია შემდეგი ამოცანების შესრულება:

ამოცანა 1.1. ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა

ამოცანა 1.1. გულისხმობს სახელმწიფო ენების (ქართულის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო აფხაზურის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულთან ერთად) შეუფერხებლად ფუნქციონირების მხარდაჭერასა და მათი პრესტიჟის ამაღლებას.

ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სისტემა ეფუძნება დღეს მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს (განსაკუთრებით, საჯარო სამსახურში დასაქმებისას, ან განათლების მისაღებად), ქართული ენის ცოდნა აუცილებლობად მიაჩნია, ქართული ენა ვერ ფუნქციონირებს სათანადოდ.

საინტერესოა, რომ ენის მდგომარეობის შეფასებისას საზოგადოებისათვის ყველაზე ფაქიზი საკითხი აღმოჩნდა გარე აბრების სახელმწიფო ენაზე წარმოდგენა, რისი ვალდებულებაც ამჟამადაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. ქართული ენის ნორმების დაცვის, ქართულენოვანი შესატყვისის, ქართული ფუნქციური სახელწოდების გამოყენების აუცილებლობის / საჭიროების / შესაძლებლობის შესახებ ჩანაწერს. შესაბამისად, გარე წარწერების მოგვარების მიზნით, დაიგეგმა საკანონმდებლო ცვლილებები და კანონის აღსრულებისათვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება, კერძოდ:

– რეკლამის შესახებ კანონში შევა ცვლილება, რომელიც მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, სახელმწიფო ენაზე წარწერის განთავსებისას, სრული ტრანსლიტერაციის გარდა, გამოიყენონ ალტერნატიული საშუალებები ისე, რომ დაცული იყოს კანონი და სალიტერატურო ენის ნორმებიც.

– გაიზრდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უფლებამოსილება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ზედამხედველობის თვალსაზრისით, სახელდობრ, დარღვევის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი იქნება დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინება გარე წარწერის განთავსებამდე. ეს მეწარმეებს ააცილებს დარღვევის კორექტირებისათვის გაწეულ დამატებით ხარჯებს.

– განახლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასახელმწიფო ენის გამოყენების წესი;

– შემუშავდება საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერის სახელმწიფო და არასახელმწიფო ენაზე (მათ შორის, უმცირესობათა ენაზე) შესრულების წესი;

ქართული ენის ფლობისა და ცოდნის დადასტურების სისტემის შექმნა დაკავშირებულია საკანონმდებლო ცვლილებებთან. ამასთან, საკითხი მოიცავს ქართული ენის სწავლებისა და შეფასების სისტემის დახვეწასაც. ამდენად, საკანონმდებლო ჩარჩოს ის ნაწილი, რომელიც ეხება ქართული ენის ფლობისა და დადასტურების ვალდებულებას, ვრცლად განხილულია ამოცანა 1.4-ში.

პიროვნების იდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმოებისათვის სახელმწიფო ენის სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სახელმწიფოს ენობრივ პოლიტიკას უფრო მოქნილს გახდის. საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან პარტნიორობით შეიქმნება პიროვნების სახელთა ერთიანი ბაზა, რომელიც დაეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, მათ შორის, ძირითადი პრობლემა – ბრუნვის პარადიგმის დარღვევით წარმოება – გადაწყვეტილი იქნება ბაზიდან ფორმების ავტომატური გენერირების საშუალებით. ასევე, გათვალისწინებული იქნება სხვა ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე გადმოტანის წესები (ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესები), რომელთა ნაწილიც უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ (კერძოდ, დამტკიცებულია ინგლისურის, აზერბაიჯანურის, სომხურის, სპარსულის, არაბულის, ჩინურის, იაპონურის, ესპანურის). ასევე, მთავრობის მიერ დამტკიცებული ქართული ბგერითი სისტემის ლათინურად ჩაწერის სახელმძღვანელო წესების ეფექტურად დანერგვისათვის სხვადასხვა საჯარო უწყებათა კოორდინირებით შემუშავდება სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფინანსური, სამართლებრივი, ადამიანური და სხვა რისკები.

საკანონმდებლო ცვლილებები და აღსრულების მექანიზმების შემუშავება გადაჯაჭვულია უშუალოდ ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის პროცესთან. სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია, როგორც ცალკე ამოცანა, აღწერილია ამოცანა 1.3.-ში. ამასთან, ნორმალიზაციის პროცესს წინ უძღვის შესაბამისი სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ქართველოლოგიის დარგის განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, ეს საკითხი განაალიზებულია ამოცანა 1.6.-ში.

კონკრეტულად ზემოაღნიშნულ ნორმებსა და ტრანსლიტერაციის წესებს უკავშირდება გეოგრაფიულ სახელთა სწორად დაწერილობის პრობლემაც და ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის ასევე შემუშავდება გეგმა, დროის რა პერიოდში იქნება შესაძლებელი მოქმედი სახელების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო ენის შესახებ კანონის შესაბამისად მათი შესწორება როგორც გეოგრაფიულ სახელთა აღმნიშვნელ დაფებზე, ისე სხვადასხვა

ოფიციალურ დოკუმენტაციაში, საჯარო სამსახურების ბაზებში. ამოცანა გულისხმობს:

- გეოგრაფიული სახელების დაწერილობის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტრანსლიტერაციის წესებისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმოდგენას ყველა სახის ოფიციალურ დოკუმენტში, აგრეთვე, ყველა ტიპის საცნობარო და სარეკლამო ინფორმაციაში;

- უცხოური გეოგრაფიული სახელების დაწერილობის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტრანსლიტერაციის წესების დაცვას;

- საკუთართან გაიგივებული სახელების (ბრენდის, პროდუქციის, ორგანიზაციის სახელები, აბრევიატურები და სხვ.) დაწერილობის ყველა სახის ოფიციალურ დოკუმენტში, აგრეთვე, ყველა ტიპის საცნობარო და სარეკლამო ინფორმაციაში ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმოდგენას.

- ქართულ ტოპონიმთა ერთიან, დოკუმენტირებულ კარტოგრაფიულ ბაზას, რომელიც აღჭურვილი იქნება ვიზუალიზაციის საშუალებებით და გააერთიანებს სამეცნიერო და ადმინისტრაციულ მონაცემებს საქართველოს გეოგრაფიულ სახელების შესახებ.

ინტერნეტსა და შემდეგ უკვე ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებებში ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი სახის შესანარჩუნებლად დაგეგმილია ისეთი ზედამხედველობითი მექანიზმის დანერგვა, რომელიც გააკონტროლებს ინტერნეტში გამოჩენილ ახალ სიტყვებსა და სპეციალისტების მონაწილეობით გადაწყდება, დაიშვება თუ არა ახლად შემოსული, თარგმნილი თუ შედგენილი სიტყვანი სალიტერატურო ენაში. „სიტყვის კარიბჭის“ გერმანული ანალოგი უკვე წლებია, წარმატებით ასრულებს ამ ფუნქციას გერმანული სალიტერატურო ენის დაცვის მიზნით.

სახელმწიფო ენ(ებ)ის პრესტიჟის ასამაღლებლად დაგეგმილია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში ენის საკითხების პოპულარიზაცია და იმ გამოწვევებისა თუ ღონისძიებების გაცნობა, რომლებიც სახელმწიფო ენის სტრატეგიაში იქნა გათვალისწინებული.

აფხაზური ენის პოპულარიზაციისათვის განსაზღვრულია მხოლოდ ოკუპაციის პირობებში მიღწევადი ღონისძიებები, კერძოდ, 2021-2022 წლებში დაგეგმილია აფხაზური ენის დღის აღსანიშნავად ღონისძიებების მომზადება და მთარგმნელობითი კონკურსის ორგანიზება. საზოგადოების ინფორმირებულობა და დამოკიდებულების შეცვლა აფხაზურის მიმართ ამ ენის

სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისთვის აუცილებელი კრიტერიუმებია. აფხაზური ენის ფუნქციონირების გაუმჯობესება და პრესტიჟის ამაღლება თანხვედრა სახელმწიფოს პოლიტიკას შერიგებისა და თანასწორობის მხრივ, რაც ანტისაოკუპაციო ნაბიჯებად ჩაითვლება და, შესაძლოა, ჩვენი გახლეჩილი საზოგადოებების ინტეგრაციის წინაპირობაც გახდეს სამომავლოდ.

სახელმწიფო ენათა პოპულარიზაცია და პრესტიჟის ამაღლება იქნება ერთ-ერთი კრიტერიუმი შეფასებითი სისტემისა, რომელმაც უნდა გაზომოს ენათა ფუნქციონირების დონე (ენათა ფუნქციონირების დონის მაჩვენებელი).

ამოცანის შედეგის გასაზომად აღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებელი, რომელიც 2020 წლისათვის იყო მხოლოდ 30%, 2022-ში გაიზარდა 10%-ით, 2024-ში – 20%-ით, 2026-ში მივიღებთ სულ გათვალისწინებული რეკომენდაციების 70%-ს, 2028-ში – 80%-ს, ხოლო საბოლოოდ, სამიზნე შედეგია 90%. ნიშანდობლივია ის, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ეს სამუშაო მოიცავს ქართული ენის ფუნქციონირების შესახებ სხვადასხვა სფეროში გაცემულ ენობრივ რეკომენდაციებს: როგორც გარე წარწერების სწორად დაწერილობის ან ოფიციალური დოკუმენტაციის ენობრივი გამართულობის მხრივ, ასევე ტერმინოლოგიისა თუ ენის სტანდარტიზაციის მიმართულებითაც. ამგვარად, ხსენებული ამოცანის შედეგის რაოდენობრივი ინდიკატორი, თავის მხრივ, არის სახელმწიფო ენ(ებ)ის ფუნქციონირების მხარდაჭერის შესაბამისი და მიღწევადი ინდიკატორი.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის შედგენისას გათვალისწინებულია ოკუპაციის პირობების ის რისკები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს შედეგების მიღწევას: აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრული იქნება ქართულისათვის, ვერ იქნება რელევანტური აფხაზურისათვისაც: შეუძლებელია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაციის გამო, ოფიციალურ უწყებებში, იქ, სადაც, წესით, აფხაზურის ფუნქციონირების მხარდაჭერი ღონისძიებები უნდა გატარდეს, ეფექტიანი მექანიზმები დაინერგოს. ამდენად, სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია აფხაზური ენის ფუნქციონირების დონის განსასაზღვრად სპეციფიკური, კონკრეტულად აფხაზურზე მორგებული კრიტერიუმების დადგენა და შეფასებითი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც 2022 წლისათვის აფხაზურის ენის ფუნქციონირების დონის საბაზისო მაჩვენებელს მოგვცემს. დოკუმენტის შექმნისას გათვალისწინებული იქნება ოკუპაცია და ისეთი კრიტერიუმები შეირჩევა, რომლებიც მოგვცემს საშუალებას ობიექტურად გაიზომოს აფხაზური ენის ფუნქციონირების დონე, მაგალითად, აფხაზური ენის სწავლება და სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, აფხაზურ ენაზე საჯარო ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობა და ა.შ. 2024 წლისათვის აფხაზურის ფუნქციონირება გაიზარდება საბაზისო დონესთან მიმართებით 10%-ით, 2026 წლისათვის – 15%-ით,

2028 წელს – 25%-ით, საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი კი არის 40%-ით გაზრდა. გასათვალისწინებელია ის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება, რომელიც ოკუპაციის წინააღმდეგ იქნება მიმართული და, სამომავლოდ, აფხაზეთს საქართველოს სახელმწიფო იურისპრუდენციის ფარგლებში მოაქცევს, შეცვლის შესაბამის ამოცანასა და ამოცანის შედეგის ინდიკატორს.

ამოცანა 1.2. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა

ამოცანა 1.2. გულისხმობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით სახელმწიფო ენის შესახებ კანონის აღსრულებას. კერძოდ, ამოცანის შესასრულებლად დაგეგმილია, რომ გადაიხედოს და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის ნორმები ისე, როგორც კანონმდებლობითაა განსაზღვრული. იგულისხმება, როგორც სალიტერატურო ენის გრამატიკული ნორმები, ასევე სხვადასხვა ენის ბგერითი სისტემის ქართული ბგერითი სისტემით გადმოტანის წესები. განახლება ითვალისწინებს გამოვლენილი პრობლემური საკითხების დღის წესრიგში დაყენებას, სადავო ნორმების მეცნიერულ შესწავლასა და დასკვნების გაანალიზებას, წარდგენილი ნორმის პროექტების მიხედვით ექსპერტთა კომისიის გადაწყვეტილებას ნორმათა განახლების თაობაზე, ხოლო შემდეგ საქართველოს მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენას (იხ. სქემა №1).

სქემა №1: ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დანერგვის პროცესი:



ნორმალიზაციის პროცესი არის უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესი, რომელშიც ჩართულია: სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, სახელმწიფო ენის

ექსპერტთა კომისია, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი და კვლევითი ინსტიტუტი, საზოგადოების დაინტერესებული ჯგუფები (რომელთაც ასევე შეუძლიათ აქტუალური საკითხების წარდგენა დეპარტამენტში, შემდგომი რეაგირების მიზნით) და საჯარო უწყებები, რომლებიც უშუალოდ იყენებენ ნორმებს საქმიანობის შეუფერხებლად წარმოებისათვის.

ამოცანის შედეგის ინდიკატორად განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ნორმათა რაოდენობა, რასაც სავალდებულო ხასიათი აქვს და შესაბამისად, თავისთავად გულისხმობს დანერგვას. საბაზისო მაჩვენებლად აღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნის დღიდან 2020 წლის ჩათვლით სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის სხდომებზე მიღებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (34), რომლებიც სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა წარუდგინა მთავრობას და საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 30 ივნისს დაამტკიცა. 2022 წლისათვის იგეგმება ყველა იმ ნორმის გადახედვა, რომლებიც სახელმწიფო ენის კომისიის არსებობისას (იგულისხმება საბჭოთა პერიოდი) დადგინდა და მას შემდეგ არ განახლებულა. ამდენად, საბაზისო მონაცემის ჩათვლით დამტკიცდება მინიმუმ 65 ნორმა. საბოლოო მიზნად, 2030 წლისათვის, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდება ქართული სალიტერატურო ენის სულ მცირე 150 ნორმა. მთავრობის მიერ ნორმათა დამტკიცება გულისხმობს, რომ ამ გადაწყვეტილებით ნორმათა გამოყენებას საყოველთაოს ხდის. ნორმათა დაცვა სავალდებულო იქნება საჯარო დაწესებულებების საქმისწარმოებაში, ოფიციალურ დოკუმენტაციასა და მისთ.

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში უკვე დაგეგმილია ნორმათა დანერგვის წინმსწრები (პროაქტიული) და თანადროული აქტივობები:

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით განახლდება გეოგრაფიულ სახელთა მართებული ფორმების ბაზა, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.

პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტაციაში გამოვლენილი ნორმების დაუცველობისა და სიჭრელის მოსაგვარებლად შეიქმნება და განხორციელდება სპეციალური პროექტები.

რეგულარულად მოეწყობა საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც ფართო საზოგადოებას გააცნობს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საქმიანობასა და სახელმწიფო ენის სტრატეგიის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებს.

ტრენინგები მოეწყობა საჯარო უწყებებში დასაქმებული რედაქტორებისა და კორექტორებისათვის, რათა მათ გაითვალისწინონ და იხელმძღვანელონ მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმებით.

ინტერნეტის ენობრივი სტანდარტიზაცია შეუძლებელია, თუმცა მისი გავლენის მართვა შესაძლებელია სხვადასხვა აქტიური ჩარევით, როგორებიცაა: ინტერნეტში რაც შეიძლება მეტი ქართულენოვანი მაღალი ხარისხის ინფორმაციის

განთავსება; მაღალი ხარისხის მთარგმნელი სისტემის შექმნა (რომელიც შესაძლებლობას მისცემს ქართველ მომხმარებელს საკუთარ ენაზე გასცეს და მიიღოს ინფორმაცია); მართლწერის შემმოწმებელი მაღალი ხარისხის სისტემის არსებობა, რომელიც ინტერნეტში დაწერილი ტექსტის მარტივად რედაქტირების საშუალებას მოგვცემს.

ნორმალიზაციის პროცესის თანამედროვე მიდგომებით წარმართვის საწინდარია ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი ორთოგრაფიული ბაზისა და ქართული ენის მუდმივგანახლებადი განმარტებითი ლექსიკონის არსებობა.

კარგად ორგანიზებული, ტექნოლოგიურად გამართული და აკადემიურად სანდო ბაზა უნდა დაედოს საფუძვლად ახალი ნორმატიული კრებულებისა თუ ლექსიკონების შექმნას, და რაც მთავარია, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ქართული ენის ნორმების დამტკიცებას.

შეიქმნება ქართული ენის განმარტებითი ენის ლექსიკონის მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფცია და მისი განახლების რეალური გრაფიკი. **კონცეფცია** განსაზღვრავს დაფინანსების სახეს, სამუშაო ჯგუფის მოცულობას და საბოლოო შედეგის ვადებს. ასევე, განიხილავს ყველა იმ პრობლემას, რომელიც ხელს უშლის განმარტებითი ლექსიკონის განახლების რეგულარული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და დასახავს მათი აღმოფხვრის გზებს.

თუ ამჟამად პროცესი მხოლოდ ინსტიტუციური (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის) პროგრამული დაფინანსებით წარმართება, რაც აშკარად არ არის საკმარისი ასეთი მასშტაბური სამუშაოს შედეგადად და გონივრულ დროში ჩასატარებლად, სახელმწიფო ენის სტრატეგიის ფარგლებში საკითხი ქვეყნის ენობრივი პოლიტიკის ნაწილად განიხილება და დაისმება მისი არა მხოლოდ საინსტიტუტო, არამედ, მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების აუცილებლობა. განმარტებითი თუ ორთოგრაფიული ლექსიკონების ინტერნეტსივრცეში განთავსება, მათი მუდმივი განახლებისა და საყოველთაო მოხმარების უზრუნველყოფისათვის კონცეფციას საფუძვლად დაედება ევროპული გამოცდილება (მაგალითად, მსგავსი პროდუქტი დიდი ხანია არსებობს გერმანული ენისათვის – დუდენი, ლატვიური ენისათვის მომზადებული – HUGO.lv და სხვ).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის მხარდასაჭერი მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფო ენის პორტალის შექმნა. სახელმწიფო ენის ინტერნეტპორტალი, სხვა კომპონენტებთან ერთად, გააერთიანებს ყველა მაღალი სახელმწიფო ლეგიტიმაციის მქონე ნორმატიულ, სასწავლო, სამეცნიერო რესურსს – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებულ ნორმებსა და სტანდარტებს, აგრეთვე სხვა ნორმატიულ ან აღწერით ბაზებსა და ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, რომლებიც სახელმწიფო ენის სწორად გამოყენების სხვადასხვა ასპექტს უზრუნველყოფს. სახელმწიფო ენის პორტალზე განთავსდება დეპარტამენტის ეგიდით გამოსული ან დეპარტამენტის გრიფინიჭებული

ლექსიკონები, სიტყვარები, დეპარტამენტის ყოველწლიური ნორმატიული გამოცემები – ბიულეტენები. ეს იქნება სივრცე, სადაც დაინტერესებულ პირს, სხვა ინფორმაციასთან ერთად, შეეძლება იპოვოს როგორც მეცნიერული, აკადემიური რესურსი ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის მიმართულებით, ასევე ტექნოლოგიური მხარდაჭერა (პროგრამები, ხელსაწყოები, გაფართოებები, აპლიკაციები და სხვ.), რომელიც ქართულ სალიტერატურო ენის მართებულად გამოყენებას გაუადვილებს.

ამოცანა 1.3. ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარება

სახელმწიფო ენის სტრატეგიის ფარგლებში, ამოცანა 1.3. გულისხმობს ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შექმნის, თარგმნის, დადგენისა და დამკვიდრების რეგულირებას შესაბამისი ეროვნული სტანდარტის მიღებით.

ტერმინოლოგიის განვითარება, ზოგადად, ენის განვითარების აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ენას ჰქონდეს რაც შეიძლება მეტ სფეროში ფუნქციონირების შესაძლებლობა. ამასთან, ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია არის ნაწილი სალიტერატურო ენის მონოლითურობის, ერთიანობის შენარჩუნებისათვის.

როგორც სიტუაციის ანალიზის ეტაპზე გამოიკვეთა, ამ მიმართულების მთავარი გამოწვევაა ტერმინოლოგიის არაერთგვაროვნება, აგრეთვე, ხშირად, ტერმინოლოგიის შექმნისას მეთოდოლოგიური საფუძვლის უქონლობა. სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია ISO-ს ტერმინოლოგიური მუშაობისა და მეთოდებთან დაკავშირებული სტანდარტების თარგმნა და ეროვნული სტანდარტების მომზადება (2022 წლისათვის იგეგმება ორი ძირითადი სტანდარტის ყიდვა და თარგმნა საქსტანდარტთან პარტნიორობით: ISO 704:2009(en) Terminology work — Principles and methods, ISO 860:2007 Terminology work — Harmonization of concepts and terms); შესაბამისად, ეროვნული სტანდარტის განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტზე დაფუძნებით. ეროვნული სტანდარტის მთავრობის მიერ დამტკიცების შემდეგ იგი განკუთვნილია საყოველთაო მოხმარებისათვის.

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისა და ჰარმონიზაციის აუცილებლობა განპირობებულია არა მხოლოდ სახელმწიფო ენის შეუფერხებელი ფუნქციონირების, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობისას ქართული ენის ჩართვის მოთხოვნით. ევროსაბჭოს წევრობა და ევროკავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობების განვითარებისკენ სწრაფვა ქვეყანას ავალდებულებს თანამედროვე საერთაშორისო ტერმინოლოგიური და მთარგმნელობითი პოლიტიკის მოთხოვნების გათავისებასა და ათვისებას.

2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და მისი განუყოფელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერამ ქვეყნის ფუნქციონირების მთელი რიგი სფეროები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, მათ შორის, შეიძლება ითქვას, ქართული ენაც.

საქართველოს მთავრობის ხედვა ევროინტეგრაციასთან მიმართებით არის ის, რომ სამთავრობო უწყებები კოორდინირებულად მუშაობდნენ მიზნის მისაღწევად.

ასოცირების შეთანხმების განხორციელების დაგეგმვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის არსებული მექანიზმებიდან უმნიშვნელოვანესია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისია, რომლის ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფიც კურირებს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიასა და მის თარგმნას. ამავე დროს, ცალკეული სამინისტროების ცალკეული სტრუქტურები მუშაობენ ევროკოდების, სხვადასხვა დარგობრივი ტერმინოლოგიური სტანდარტების ქართულად თარგმნასა და ჰარმონიზაციაზე.

საკანონმდებლო დონეზე ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის პროცესის ხელმძღვანელად და კოორდინატორად სწორედ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი იგულისხმება, ამასთან, სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიის სტანდარტები დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

ევროკავშირთან თუ საქართველოს სხვა პარტნიორ ორგანიზაციებსა და ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობების გაღრმავებამ ტერმინოლოგიის შექმნის ახალი ტემპი შესთავაზა დარგის სპეციალისტებს. ტემპი და ტერმინთა რაოდენობა სწრაფად მზარდია. ამდენად, ეს რეალობა კიდევ უფრო რთულს ხდის ქართულ ენაზე ტერმინოლოგიური სიჭრელის აღმოფხვრასა და ცალკეული დარგების ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარებას.

სახელმწიფო ენის სტრატეგიაში გათვალისწინებულია რიგი აქტივობები ამ ამოცანის შესასრულებლად. კერძოდ, **შეიქმნება ტერმინოლოგიის ექსპერტთა კორპუსი**, რომელიც იმუშავებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ ტერმინთა შემოწმებისა და დადგენის პრინციპებზე დაყრდნობით და შესრულებულ სამუშაოს განსახილველად წარუდგენს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას. ამავდროულად, სხვადასხვა საჯარო თუ კერძო პირი, რომელიც მუშაობს ქართულენოვან ტერმინოლოგიაზე, ტერმინოლოგიის ეროვნული სტანდარტის დამტკიცების შემდგომ ვალდებული გახდება, ტერმინების თარგმნისა თუ დადგენისას იხელმძღვანელოს ზემოხსენებული სტანდარტით. იმისათვის, რომ შექმნილი ტერმინოლოგია გახდეს საყოველთაო მოხმარებისა, მან უნდა გაიაროს სპეციალური ექსპერტიზა, ხოლო შემდეგ

დამტკიცდეს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ. დამტკიცებული ტერმინები გამოქვეყნდება სპეციალური ბიულეტენების სახით.

გარდა ამისა, საკითხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, წინასწარი მოკვლევით იკვეთება ტერმინოლოგიის მიმართულებით ადამიანური რესურსის სიმწირე. შესაბამისად, დაგეგმილია ამ პრობლემის მასშტაბური კვლევა და შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც ტერმინოლოგთა და ტერმინოლოგ-მთარგმნელთა დეფიციტს აღმოფხვრის.

2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილია ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზის სახელმწიფო კონცეფციის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედება სახელმწიფო დონის ბაზის შექმნასა და მის საყოველთაო გამოყენებას, ამასთან, ევროკავშირის ტერმინოლოგიურ ბაზებთან ჰარმონიზაციის პროცესს, მაგალითად, ევროტერმბანკში ეროვნული სტანდარტის მიხედვით შემუშავებული, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ დამტკიცებული ქართულენოვანი ტერმინოლოგიის ჩართვას. შემუშავდება ასევე ტერმინთბანკის ფინანსური მხარდაჭერის მოდელი.

ამოცანა 1.3.-ის შედეგის ინდიკატორად განისაზღვრა ტერმინოლოგიური სტანდარტის მიხედვით დამტკიცებული ტერმინების რაოდენობა. საბაზისო მონაცემი ვერ გვექნება, რადგანაც ჯერ თვითონ ეროვნული სტანდარტი არ არსებობს, თუმცა 2030 წლისათვის 30000 ტერმინის დამტკიცება არის ნაგულისხმევი, რაც მიღწევადია უწყებების კოორდინირებული მუშაობითა და სათანადო ფინანსური უზრუნველყოფით. ისეთი ენისათვის, როგორც ქართულია, ამ რაოდენობის ქართული ტერმინები ენის განვითარების, სიცოცხლისუნარიანობის გაზრდის ნიშანი იქნება.

ამოცანა 1.4. ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე

სახელმწიფო ენის პრესტიჟის ამაღლება და შეუფერხებელი ფუნქციონირება ცხოვრების ყველა სფეროში პირდაპირ არის დაკავშირებული მისი სწავლების ხარისხთან.

სახელმწიფო ენის სტრატეგია აერთიანებს ქართულის სწავლების რამდენიმე მიმართულებას და ამოცანად სახავს ქართულის ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობას. კერძოდ, გათვალისწინებულია ქართული, როგორც მშობლიური ენა და მისი სწავლების სპეციფიკა განათლების ყველა საფეხურზე; ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) და მისი სწავლების სპეციფიკა, გამოვლენილი პრობლემები და პრობლემათა გადაწყვეტის გზები ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში; ასევე ნაგულისხმევა ქართული უცხოელთათვის, ამ შემთხვევაშიც ქართულის სწავლების

მეთოდოლოგია, რესურსები მიმართულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; ქართული საჯარო მოხელეთათვის – ამ შემთხვევაშიც მობილიზებულია ყველა ის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსი, რომლებიც საჯარო მოხელეთა და სტატუსის მსურველთა სახელმწიფო ენის ფლობის დონეს აამაღლებს.

სახელმწიფო ენის ერთიანი საგამოცდო სისტემა

როგორც სიტუაციის ანალიზისას გამოირკვა, დღეს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ცოდნის ვალდებულებისა და ენის სწავლის სათანადო შესაძლებლობის ჰარმონიულ სისტემას. ამგვარად, დაგეგმილია საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება და დახვეწა (ვრცლად იხილეთ ამოცანა 1.1.-ში); შემუშავდება სახელმწიფო ენის ერთიანი საგამოცდო სისტემის ადმინისტრირების წესი ყველა პასუხისმგებელი და დაინტერესებული უწყების მონაწილეობით.

ამომზადდება ევროპაში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული რეკომენდაციების ჩარჩოს (CEFR) მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის ფარგლებში. ქართული ენის ფლობის დონეების 2019 წელს დამტკიცებული ზოგადი სტანდარტის საფუძველზე შეიქმნება სტანდარტის ვრცელი აღწერილობა.

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა მოიცავს იმ კრიტერიუმთა ერთობლიობას, რომლითაც განისაზღვრება ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი დონის მიხედვით. დოკუმენტი შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C2 – საფუძველზე.

სტანდარტზე დაყრდნობით მომზადდება ერთიანი გამოცდის მეთოდოლოგიური და აკადემიური კომპონენტები, კერძოდ:

- ქართული ენის ფლობის დონეების სტანდარტის დეტალური სასწავლო აღწერილობა;
- სტანდარტზე დაყრდნობით საგამოცდო ტესტების სტრუქტურული და შინაარსობრივი კონცეფცია;
- დონეების მიხედვით საგამოცდო ტესტები.

ერთიანი საგამოცდო სისტემის ჩამოყალიბებით და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება კანონთა ჰარმონიული აღსრულება და აღმოფხვრილი იქნება ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ ენის ცოდნის ვალდებულებასა და ენის ცოდნის დადასტურებას უკავშირდება. მეორე მხრივ, გამოცდის შინაარსობრივი კომპონენტის შექმნით

პასუხისმგებელ უწყებათა შეთანხმებული მუშაობის შედეგად ამუშავდება გამოცდის ჩატარების, ენის ცოდნის შეფასებისა და შემდგომ დადასტურების (სერტიფიცირების) სისტემა.

საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის შედეგად გაიზრდება ასევე სახელმწიფო ენის ერთიანი გამოცდის მოსარგებლეთა რაოდენობა და სამიზნე ჯგუფები, კერძოდ, თუ ამჟამად მხოლოდ საჯარო მოხელეთა მცირე ნაწილს აქვს ქართული ენის ცოდნის დამდასტურებელი სერტიფიკატის ფლობის ვალდებულება, საკანონმდებლო ცვლილებებისა და უწყებათა შორის კოორდინირებით, გამოცდას ჩააბარებენ სახელმწიფო ენის ცოდნის დადასტურების მიზნით საჯარო სკოლების მასწავლებლები, საჯარო მოხელეთა დიდი ჯგუფი და ქართული ენის ცოდნის დონის შემოწმების მსურველნი, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების მოქალაქეები.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება

საქართველოს მოქალაქეების იმ ნაწილისათვის, რომელთათვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა, სახელმწიფო ენის შესწავლა პრინციპული საკითხია. ამ საკითხს აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და მის გადაწყვეტაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ინსტიტუციების გარდა, აქტიურად არიან ჩართულნი არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები. ქართული ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი გარანტიები შეიქმნა განათლების თითქმის ყველა საფეხურისათვის: სკოლამდელი, პროფესიული, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლების დონეები გათვალისწინებულია და ამ მიმართულებებით მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა ეროვნული გეგმის ფარგლებში. დარგში დასაქმებულმა ინსტიტუციებმა გააფართოვეს ბენეფიციარების წრე და მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული ენის სწავლების წილი არაფორმალურ სეგმენტში. დღეს ქართული ენის სწავლების საკითხებს სისტემურად უძღვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რამდენიმე დეპარტამენტი და ამავე სამინისტროს შემადგენლობაში არსებული სსიპები (ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამმართველო და სხვ.)

აღსანიშნავია ასევე არასამთავრობო სექტორის აქტიურობა ქართული ენის სწავლებაში (მაგალითად, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობის ცენტრის ღონისძიებები და ა.შ.).

სახელმწიფო ენის სწავლება უშუალოდ უკავშირდება ზემოთ განხილულ ერთიანი საგამოცდო სისტემის შექმნასა და დანერგვას.

ამავდროულად ამოცანის ფარგლებში იგეგმება საქართველოს მოსახლეობის ამ ნაწილისათვის ქართული ენის სწავლების მოტივაციის გაზრდა, რაც ებმის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, პრესტიჟის ამაღლებას.

დაგეგმილია რიგი აქტივობები, როგორებიცაა, ქართული ენის სწავლების მხარდასაჭერი რესურსებისა და გზამკვლევების შექმნა, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება, არაფორმალური განათლების მიმართულების ღონისძიებების გააქტიურება და მხარდაჭერა;

ამოცანის მიზანია ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გაძლიერება მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამავდროულად იგულისხმება სამიზნე აუდიტორიის გაზრდაც და ყველა იმ უწყებაში, რომლებშიც ეთნიკური უმცირესობები აღირიცხება, ქართული ენის სასწავლო კურსების მხარდაჭერა.

ქართულის სწავლება საზღვარგარეთ

ქართულის ენის სწავლება საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებში არაფორმალური განათლების სფეროს მიეკუთვნება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან გაგრძელდება უცხოეთში მყოფ თანამემამულეებში ქართული ენის სწავლების ინსტიტუციური მხარდაჭერა და კიდევ უფრო ინტენსიური გახდება კავშირი სამინისტროსა და ქართულ საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს შორის და ასევე, უშუალოდ ქართულ საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს შორის. პირველ ყოვლისა, გაგრძელდება და განახლდება სასწავლო რესურსებით საკვირაო სკოლებისა და ქართული ენის შემსწავლელი კურსების უწყვეტი მომარაგება, ჩატარდება ქართული ენის პედაგოგთა პროფესიული გადამზადების კურსები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ქართველოლოგიური ცენტრებისა და ქართული სასწავლო კურსების მხარდაჭერა.

ქართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოქალაქეებისათვის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის ქართული ენის სასწავლო რესურსები შეიქმნება ასაკობრივი და საგანმანათლებლო საფეხურისა და ტიპის გათვალისწინებით;

დამტკიცდება სურდო თარჯიმნების სერტიფიცირების პროგრამა და ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაიზრდება სურდო თარჯიმანთა რაოდენობა.

შეიქმნება კონცეფცია სპეციალურ საჭიროებათა პირთათვის ენობრივი სერვისების შექმნისა და დანერგვის შესახებ.

სახელმძღვანელოების შექმნის მხარდაჭერა

როგორც აღინიშნა, განათლების ნებისმიერ საფეხურზე საჭიროა სათანადო სასწავლო რესურსების, მათ შორის, თანამედროვე სტანდარტებითა და მეთოდოლოგიით შექმნილი სახელმძღვანელოების არსებობა.

დღეს, საქართველოს საჯარო სკოლებში მიმდინარე „ახალი სკოლის მოდელი“ ხელს უწყობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის დანერგვას.

განათლების უმაღლეს საფეხურზე ქართული ენის სწავლების მხარდაჭერის პირობა იქნება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის სპეციალური სახელმძღვანელოების შექმნა, რომელიც დაეფუძნება სტუდენტთა საჭიროებებსა და ინტერესებს.

ამოცანის შედეგის ინდიკატორებად განსაზღვრულია რამდენიმე ურთიერთკავშირში მყოფი და თანაც სხვადასხვა მიმართულების მომცველი დებულება:

ამოცანის შედეგის პირველი ინდიკატორი გულისხმობს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამის (1+4) ფარგლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა თანაფარდობას ბაკალავრიატდამთავრებულთა რაოდენობასთან. ეს ინდიკატორი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ეთნიკური უმცირესობები ზემოაღნიშნულ პროგრამას წარმატებით ასრულებენ, თუმცა რამდენად წარმატებულია მათი სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, სათუთა დღეს არსებული კვლევით. 1+4 პროგრამის ქართულ ენაში მოსამზადებელი 60 კრედიტიანი პროგრამის დასრულება სწავლების შემდგომ ეტაპზე არსებული გამოწვევების დასაძლევად აბიტურიენტების დიდი ნაწილისთვის არ არის საკმარისი, შესაბამისად, ამ მაჩვენებლის გაზრდა გვიჩვენებს რეალურად ამ ჯგუფის ენის სწავლების იმ დონეს, რომლითაც შეუძლიათ ბაკალავრიატი დაასრულონ. საბაზისო მაჩვენებელია 29,8%, საბოლოო, 2030 წლის სამიზნე მაჩვენებელი კი 95,8%-ია, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამის ბენეფიციართა უმრავლესობა დაასრულებს ბაკალავრიატს და აიღებს შესაბამის დიპლომს.

სახელმწიფო ენის ერთიანი საგამოცდო სისტემის დანერგვა და სახელმწიფო ენის ფლობის დონის გაუმჯობესება გაიზომება სერტიფიცირებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობის თანაფარდობით საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობასთან. საჯარო მოხელეები შეადგენენ ჯგუფს, რომელსაც უშუალო ვალდებულება აქვს სახელმწიფო ენის ფლობასა და დადასტურებაზე. ამჟამად საბაზისო მაჩვენებელი არ გვაქვს, რადგან თვითონ გამოცდა არ არსებობს, გამოცდის რეალურად ამუშავების შემდეგ, 2024 წელს 5% იქნება ის მაჩვენებელი, რომელსაც დაეყრდნობა შემდეგი საშუალო და საბოლოო მაჩვენებლები. 2030 წლისათვის

სახელმწიფო ენის დეპარტამენტს გაცემული ექნება სერტიფიკატები საჯარო მოხელეთა 80%-ზე, – ეს იქნება საბოლოო სამიზნე თანაფარდობა სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ საჯარო მოხელეთა შორის.

გარდა საჯარო მოხელეებისა, ქართული ენის ფლობის ერთიან საგამოცდო სისტემას ეყოლება სხვა მოსარგებლენიც, მათ შორის, არაქართულენოვანი სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ენობრივი ბარიერის გამო არ აქვთ პროფესიული ზრდის შესაძლებლობა, რის გამოც ისინი არ არიან ინტეგრირებულნი და ვერ ერთვებიან სრულფასოვნად სასწავლო პროცესში. სწორედ მათი რაოდენობრივი ზრდა იქნება ამ ამოცანის შედეგის მესამე ინდიკატორი: 2024 წლისათვის, საგამოცდო სისტემის ამუშავებისას, ნავარაუდევია სერტიფიცირებული მინიმუმ 300 მოსარგებლე, 2030 წლისათვის დაგეგმილია მინიმუმ **6000** სერტიფიკატის გაცემა.

დღეს ერთიანი ეროვნული გამოცდები არის ის სისტემა, რომლითაც სარგებლობენ უმაღლესში სწავლის გაგრძელების მსურველები. ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას ყოველწლიურად აბარებს დაახლოებით 35 000 აბიტურიენტი, მათ მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული შეფასების საბოლოო ქულა ერთგვარად განსაზღვრავს საშუალო განათლებამიღებულ მოქალაქეთა სახელმწიფო ენის ფლობის დონეს. 2020 წლის საბაზისო მაჩვენებელია 39 ქულა, ნავარაუდევია, რომ სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შედეგად სკოლებში ქართული ენის სწავლების დონე და შესაბამისად ცოდნის დონეც აიწევს და შემდგომ საშუალო მაჩვენებლებად გვექნება: 2022 წელს – 45, 2024 წელს – 48, 2026 წელს – 50, 2028 წელს – 55 და საბოლოოდ, 2030 წლისათვის საშუალო ქულა იქნება 60.

ამოცანა 1.5. აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა

აფხაზური ენის დაცვისა და განვითარებისათვის სახელმწიფო ენის სტრატეგიაში განსაზღვრულია მისი სწავლების ხელშეწყობა. აფხაზური ენა ისწავლება განათლების საშუალო და უმაღლეს საფეხურებზე, არსებობს ასევე აფხაზოლოგიის მიმართულება ზოგ ქართულ უნივერსიტეტში, თუმცა აფხაზური ენის პრესტიჟის ამაღლებისათვის, ენის ტრანსმისიის ფუნქციის გაძლიერებისათვის დაგეგმილია არაფორმალური განათლების ხელშეწყობი ღონისძიებები.

ოკუპაციის გათვალისწინებით, აფხაზური ენის სწავლებისათვის გამოყენებული იქნება ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები, რაც აფხაზური ენის სწავლების მსურველს ხელოვნური ბარიერების დაძლევის საშუალებას აძლევს. შექმნილი რესურსებით სარგებლობა შეეძლება როგორც ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზური ენის შესწავლის მსურველებს, ასევე საქართველოს

ფარგლებს გარეთ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს, რომელთაც სურთ მშობლიური ენის შენარჩუნება. ამასთან, აფხაზური ენის შესწავლის მხარდაჭერა ითვალისწინებს რესურსების თანამედროვე სტანდარტებით შექმნას, რაც ენის სწავლებას უფრო ადვილს და ხელმისაწვდომს გახდის ყველასთვის; სწავლების ენა იქნება, როგორც ქართული, ასევე ინგლისური, აგრეთვე, მასალა შეთავაზებული იქნება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანით (IPA) იმისათვის, რომ ქართულის არმცოდნე მომხმარებელმაც შეძლოს აფხაზური ენის შესწავლა.

ამოცანის შედეგი გაიზომება აფხაზური ენის შემსწავლელთა რაოდენობის მიხედვით ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა საფეხურზე. აქ იგულისხმება, როგორც საუნივერსიტეტო კურსების მხარდაჭერა, ასევე იმ სკოლებში აფხაზურის ენის სწავლების გაძლიერება, რომლებშიც უკვე ისწავლება აფხაზური, როგორც საგანი. გარდა ამისა, არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილია სეზონური სკოლებისა და ინტერნეტრესურსების, მათ შორის, დისტანციური სასწავლო კურსის ორგანიზება. დისტანციური კურსის პარალელურად შეიქმნება სხვა სასწავლო ენობრივი რესურსები, კერძოდ, აფხაზური ენის სასწავლო ლექსიკონის ელექტრონული, ინტერაქციული ვერსია, რომელსაც საფუძვლად დაედება სახელმწიფო ენის დეპარტამენტში შექმნილი კორპუსზე დაფუძნებული სასწავლო სიხშირული ლექსიკონების კონცეფცია და ტექნოლოგიური მოდელი.

ფორმალური განათლების მიმართულებით ნაგულისხმევია აფხაზური ენის სასკოლო სახელმძღვანელოების სრული გრიფირება მომდევნო წლებში.

2021 წლისათვის იმ საუნივერსიტეტო და სასკოლო კურსებზე დარეგისტრირებულთა რაოდენობა არის 170, რომელიც აღებულია საბაზისო მაჩვენებლად. იმის რისკების გათვალისწინებით, რომლებიც ახლავს აფხაზურის ენის სწავლების გაძლიერებას, გამოთვლილია შუალედური და საბოლოო მაჩვენებლები.

ამოცანა 1.6. ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა

ამოცანა 1.6 გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური კვლევების ხელშეწყობასა და მხარდაჭერის გაძლიერებას.

სამეცნიერო კვლევები, რომლებიც მიმართულია ქართულის, ქართველური ენების, აფხაზურისა და საქართველოს ენობრივი სიტუაციის შესწავლისაკენ, საფუძველი უნდა გახდეს შემდეგი ნაბიჯებისა, რომლებიც განათლებისა და კულტურის სფეროში გადაიდგმება. გარდა წმინდად მეცნიერული, ფუნდამენტური ხასიათის კვლევებისა, ენის მეცნიერული შესწავლის შედეგები

საჭიროა გახდეს საყრდენი ენობრივი დაგეგმვის, ენის სწავლებისა და ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით.

ამოცანით განსაზღვრულია ქართული ენის დიალექტების კვლევისა და დოკუმენტირების მხარდაჭერა და წახალისება; ისტორიულ-ეტიმოლოგიური ბაზისა და ლექსიკონის შექმნის მხარდაჭერა; დარგობრივი ლექსიკოგრაფიის განვითარების სისტემური ხელშეწყობა, კოორდინირება და ერთიანი 10-წლიანი კონცეფციის შექმნა ამ დარგის განვითარებისათვის; ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება-მხარდაჭერა, კერძოდ, ენობრივი რესურსების მონაცემთა ელექტრონული ბაზების შექმნა, რომლებიც გამოიყენება ენობრივი პროგრამული უზრუნველყოფის (ენობრივი კომპიუტერული პროგრამების) დასამუშავებლად: კორპუსები, სამეტყველო სიგნალებისა და ტექსტების აგრეგატები, ელექტრონული ლექსიკონები, მონაცემთა ბაზები და სხვ.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მონაწილეობით მომზადდება და გამოიცემა: 1. „გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი რედაქცია; 2. „უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი რედაქცია.

ნორმალიზაციის პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვისათვის აუცილებელია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში არსებული ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიული ბაზის განვითარება, ბაზის საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა „თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი რედაქცია (ბეჭდური და ელექტრონული სახით); პროგრამული ინსტრუმენტის მოდიფიკაციის გზით მომზადდება და გამოიცემა აგრეთვე „ქართული ენის შესიტყვებათა ლექსიკონი“ და „ქართული ენის აბრევიატურათა ლექსიკონი“.

ციფრული ჰუმანიტარიისა და გამოთვლითი (კომპიუტერული) ლინგვისტიკის მიმართულელებების გაძლიერების მიზნით სტუდენტებისა და მეცნიერთა საზღვარგარეთ სწავლებისა და კვლევების დაფინანსება; ენობრივი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება; ენობრივი ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტის სამდივნოსა და საკოორდინაციო საბჭოს შექმნის მხარდაჭერა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გამოაცხადებს კონკურსს ქართული და აფხაზური კვლევების მხარდაჭერის მიზნით და კონკურსის პირობები თანხვდება სახელმწიფო ენის სტრატეგიის პრიორიტეტებს.

ამოცანის შესაბამისად განისაზღვრა ამოცანის შედეგის შემდეგი ინდიკატორები:

1. საქართველოში მოქმედი სამეცნიერო ფონდების მიერ მითითებულ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური კვლევების რაოდენობის ზრდა – სტრატეგიის

განხორციელების ვადაში, 2030 წლისათვის მინიმუმ 50 პუბლიკაცია უნდა გამოქვეყნდეს ქართველ მეცნიერთა მიერ. აღნიშნული ინდიკატორი პირდაპირ არის დაკავშირებული რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან, მიზნობრივად დაფინანსებული პროექტების რაოდენობა უზრუნველყოფს იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას, რაც სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდაზეც იქონიებს გავლენას.

2. მეორე ინდიკატორია სამეცნიერო ჟურნალების რანჟირების პორტალზე (SJR) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რანჟირების მაჩვენებლის ზრდა 2030 წლისათვის – საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ათეულში მოხვდება. 2021 წლის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რანჟირების სისტემაში საქართველო მე-18 ადგილს იკავებს, სტრატეგიის ამოცანის მიხედვით ორ-ორწლიანი შუალედური შედეგებით, საქართველოს ადგილი ყოველი შუალედური შედეგის შემდეგ ორი ერთეულით უნდა გაუმჯობესდეს, რაც სახელმწიფოს მიერ, კერძოდ კი, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი გრანტების ფარგლებში დაფინანსებული პროექტებისა და, შესაბამისად, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ზრდით, საქართველოს ადგილს გაუმჯობესებს ამ სისტემაში.

ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები ტექნოლოგიური რესურსების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია.

უპირველესად შეფასდება ენობრივი ტექნოლოგიების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა: რა პროექტები არის დაწყებული, მიმდინარე და დასრულებული ენის ტექნოლოგიების მიმართულებით, რა შედეგები აქვს განხორციელებულ პროექტებს და როგორია ამ შედეგების მდგრადობა.

რადგანაც არ არის განსაზღვრული არსებული ენობრივი რესურსების სწორი განვითარების, კოოპერაციის, ინტეგრაციის პოტენციალი, იურიდიული და ტექნოლოგიური საფუძველი, გადაწყდა, რომ ტექნოლოგიების სფეროს ცალკე, სახელმწიფოებრივად ერთიანი მიდგომა სჭირდება. ამგვარად, შეიქმნება პოლიტიკის დამოუკიდებელი დოკუმენტი, რომელიც ასახავს ქართული ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების იურიდიულ, ფინანსურ, სამეცნიერო და სასწავლო საჭიროებებს, მიზნებსა და საბოლოო, სავარაუდო შედეგებს, რომლებიც გავლენას იქონიებს ქართული ენის განვითარებაზე, რადგანაც გლობალური ტექნოლოგიების ეპოქაში ქართულს სჭირდება შესაბამისი მხარდაჭერა.

მნიშვნელოვანი საკითხია და ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას ებმის ენობრივი ტექნოლოგიების როლის განსაზღვრა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ზოგად კონცეფციაში.

სახელმწიფოს მიზანია წლების განმავლობაში დარგში დაგროვილი ინტელექტუალური რესურსის მართვა, მიღწეული შედეგების განზოგადება. ენობრივი რესურსების შექმნას ლინგვისტისა და კომპიუტერული მეცნიერების სპეციალისტის გაერთიანებული თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა უდევს საფუძვლად. ეს თანამშრომლობა იქნება არა ერთჯერადი, არამედ მიზნებიდან გამომდინარე ხანგრძლივი, მდგრადი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი.

დაგეგმილია ასევე საუნივერსიტეტო პროგრამებში ენობრივი ტექნოლოგიებისა და ციფრული ტრანსფორმაციის საკითხების მხარდაჭერა, ამ მიმართულებით სასწავლო-გაცვლითი პროგრამების გაძლიერება.

2020 წლის 3 მარტს ევროკომისიის მიერ მიღებული პოლიტიკური დოკუმენტით „2020 წლის შემდგომი აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკა“ განსაზღვრული აღმოსავლეთის პარტნიორობის 5 გრძელვადიანი პოლიტიკური მიზნიდან მე-4 გრძელვადიანი მიზანი ასეა ფორმირებული - „ერთად მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციისთვის“, რაც თვალსაჩინოს ხდის, რომ ამ საკითხის დროული გადაწყვეტა მეტად გააძლიერებს და გაამყარებს 2024 წელს ევროკავშირის ნამდვილ წევრობაზე საქართველოს მთავრობის მიერ გასაკეთებელ ოფიციალურ განაცხადს. (2020 წლის შემდგომი აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკა, 2020)

ევროპის ენობრივი თანასწორობის საკვანძო საკითხია ციფრული თანასწორობა – ენათა თანასწორუფლებიანი არსებობა ციფრულ ეპოქაში. 2018 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „ენათა თანასწორობა ციფრულ ეპოქაში“. რეზოლუციის შემდგომ დაგეგმილი პროგრამებით 2030 წლისათვის გამიზნულია სრული ციფრული თანასწორობა, რისთვისაც ევროკავშირის ქვეყნები სხვადასხვა პროექტებსა და სტრატეგიებს ამუშავებენ. ენის ტექნოლოგიური განვითარების შეფასებისათვის შემუშავებულია მეტანეტის META-NET – (მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიების ალიანსის კავშირი) სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ ვალდებულება, წარადგინონ ქვეყნის ანგარიში ამ მიმართულებით – თეთრი წიგნი. სტანდარტის მიხედვით ენის ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერა ფასდება ოთხ განსხვავებულ სფეროში ხუთბალიანი სისტემით:

1 საუკეთესო მხარდაჭერა; 2 კარგი მხარდაჭერა; 3 საშუალო მხარდაჭერა; 4 ფრაგმენტული მხარდაჭერა; 5 სუსტი ან არანაირი მხარდაჭერა.

კრიტერიუმები კი არის:

1. მანქანური თარგმანი – არსებული ტექნოლოგიების ხარისხი, ენობრივი წყვილების რაოდენობა, რომელთაც ფარავს მანქანური თარგმანი, ლინგვისტური სფეროებისა და მახასიათებლების დაფარვა, პარალელური კორპუსების ზომა და ხარისხი, აპლიკაციათა რაოდენობა და ნაირგვარობა;

2. მეტყველების დამუშავება: მეტყველების ამოცნობისა და სინთეზის არსებული ტექნოლოგიების ხარისხი, სფეროთა დაფარვის დონე, არსებული

კორპუსების რაოდენობა და ზომა, ხელმისაწვდომი აპლიკაციების ნაირგვარობა და რაოდენობა;

3. ტექსტის ანალიზი: არსებული ტექნოლოგიების (მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა) დაფარვის მასშტაბი და ხარისხი, ენობრივი თავისებურებებისა და სფეროების დაფარვა, ხელმისაწვდომ აპლიკაციათა რაოდენობა და ნაირგვარობა, ანოტირებული კორპუსების ზომა და ხარისხი, გრამატიკებისა და ლექსიკური რესურსების ხარისხი და დაფარვა;

4. რესურსები: ზეპირი მეტყველების, ტექსტური და პარალელური კორპუსების ზომა/ხარისხი, გრამატიკებისა და ლექსიკური რესურსების დაფარვა/ხარისხი.

კრიტერიუმებისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით ქართული ენობრივი ტექნოლოგიების მხარდაჭერის საბაზისო მაჩვენებლად განისაზღვრა – სუსტი. 2024 წლისათვის ერთი დონით აწევა ივარაუდება, 2026-ში შენარჩუნდება პროგრესი, 2028 წელს დაგეგმილია, რომ მხარდაჭერა ერთი ნიშნულით გაუმჯობესდეს, ხოლო საბოლოო სამიზნედ ნაგულისხმებია კარგი მაჩვენებლის მიღება.

ამოცანა 1.7. საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერა

ამოცანის შედეგის ინდიკატორად განსაზღვრულია სწორედ ეს მაჩვენებელი: საბაზისო მდგომარეობით ეთნიკურ უმცირესობათა დაახლოებით 96,5%-მა იცის მშობლიური ენა (აქ ცდომილების ალბათობას განაპირობებს აფხაზური ენის მონაცემების უქონლობა და გამოკითხულთა მცირე ნაწილის მიერ კითხვაზე პასუხის გაუცემლობა). სახელმწიფო ენის სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მცირედით გაზრდის და შეგვანარჩუნებინებს მაჩვენებელს. საბოლოოდ, (2026 წლისათვის) მიიღწევა 98%-იანი შედეგი. 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია სპეციფიკური სასწავლო თარგმნითი ლექსიკონების პორტალის შექმნა, რომელიც იქნება ინტერაქციული: მომხმარებელს თავად შეეძლება, მოითხოვოს სასურველი სიტყვის დამატება. პორტალის ადმინისტრატორი და სპეციალისტი უზრუნველყოფენ ამ სიტყვის სათანადო ლექსიკოგრაფიულ დამუშავებას და სალექსიკონო სტატიის ჩართვას ლექსიკონში. ამასთან, სახელმწიფო ენის სტრატეგიის ფარგლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის კონცეფციის მომზადებისას გათვალისწინებული იქნება ენათა დოკუმენტირების აუცილებლობა და მხარდაჭერა.

5. სახელმწიფო ენის სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო

სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) 2021-2030								
მიზანი 1.	სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა						მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:	3, 4, 5,9, 10,16
გავლენის ინდიკატორი 1.1: (IMPACT Indicator 1.1):	ქვეყანაში სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების დონე	წელი	სამიზნე	სამიზნე			დადასტურების წყარო (Sources of Verification):	
			საბაზისო	შუალედური	შუალედური	საბოლოო		
		მაჩვენებელი	2020	2024	2028	2030	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შეფასებითი დოკუმენტი	
			N/A	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 20%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 60%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 80%-ით		
ამოცანა 1.1: (OBJECTIVE 1.1):	ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა							
			სამიზნე					

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1 (OUTCOME Indicator 1.1.1)	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებელი		საბაზისო	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	დადასტურების წყარო(Sources of Verification):
		წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზა	
		მაჩვენებელი	30%	40%	50%	70%	80%	90%	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები	
რისკები:	პანდემია, არასაკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი									
ამოცანის შედეგის	აფხაზური ენის ფუნქციონირების დონის მაჩვენებელი		საბაზისო	სამიზნე	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	დადასტურების წყარო(Sources of Verification):

ინდიკატორი 1.1.2 (OUTCOME Indicator 1.1.2)		წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზა	
		მაჩვენებელი	N/A	დადგენილია საბაზისო დონე	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 10%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 15%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 25%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 40%-ით	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები	
რისკები:	ოკუპაცია; სამიზნე ჯგუფის დაბალი ინტერესი									
ამოცანა 1.2: (OBJECTIVE 1.2):	სალიტერატურო ქართული ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი	საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმების რაოდენობა	წელი	საბაზისო	სამიზნე					საბოლოო	დადასტურების წყარო (Sources of Verification):
				შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური		სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
			2020	2022	2024	2026	2028	2030		

1.2.1: (OUTCOME Indicator 1.2.1)									ტის ვებგვერდი
	მაჩვენებელი	34	დამტკიცებულია მინიმუმ 65 ნორმა	დამტკიცებულია მინიმუმ 90 ნორმა	დამტკიცებულია მინიმუმ 105 ნორმა	დამტკიცებულია მინიმუმ 120 ნორმა	დამტკიცებულია მინიმუმ 150 ნორმა		matsne.gov.ge
რისკები	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა								
ამოცანა 1.3: (OBJECTIVE 1.3):	ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარება								
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.3.1 (OUTCOME)	ტერმინოლოგიური სტანდარტის მიხედვით დამტკიცებული ტერმინების რაოდენობა	წელი	საბაზისო	სამიზნე					დადასტურების წყარო (Sources of Verification):
			2020	შუალედური 2022	შუალედური 2024	შუალედური 2026	შუალედური 2028	საბოლოო 2030	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები

Indicator 1.3.1)		მაჩვენებელი	0	2500 ტერმინი	5000	10000	15000	30000	სახელმწიფო ენის პორტალი	
რისკები	არასაკმარისი ფინანსური რესურსი; დარგობრივი უწყებების ნაკლები ინტერესი, პანდემია									
ამოცანა 1.4 (OBJECTIVE 1.4.):	ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.1 (OUTCOME Indicator 1.4.1)	1+4 პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა თანაფარდობა ბაკალავრიატდამთავრებულთა რაოდენობასთან	მაჩვენებელი	საბაზისო	სამიზნე	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	დადასტურების წყარო (Sources of Verification):
		წელი	2019	2022	2024	2026	2028	2030		სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კვლევითი დოკუმენტი
		მაჩვენებელი	29,8%	35,8%	45,8%	59,8%	75,8%	95,8%		
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია									
				სამიზნე						

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.2 (OUTCO ME Indicator 1.4.2)	სერტიფიცირებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობის თანაფარდობა საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობასთან		საბაზისო	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	დადასტურების წყარო (Sources of Verification):
		წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030	სახელმწიფო
		მაჩვენებელი	N/A	0	5%	30%	60%	80%	ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული სერტიფიკატები
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია								
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.3 (OUTCO ME Indicator 1.4.3)	ქართული ენის ფლობის ერთიანი საგამოცდო სისტემის სხვა მოსარგებლეთა (გარდა საჯარო მოხელეებისა) რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე					დადასტურების წყარო (Sources of Verification):
		წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030	სახელმწიფო
		მაჩვენებელი	N/A	0	სერტიფიცირებულია მინიმუმ 1000 პირი	სერტიფიცირებულია მინიმუმ 2000 პირი	სერტიფიცირებულია მინიმუმ 3000 პირი	სერტიფიცირებულია მინიმუმ 6000 პირი	ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული ქართული

									ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატები
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია								
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.4.4; OUTCOME Indicator 1.4.4)	ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტთა შეფასების საშუალო ქულა	წელი	საბაზისო	სამიზნე					დადასტურების წყარო (Sources of Verification):
			2020	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	გამოცდების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში
			2022	2024	2026	2028	2030		
მაჩვენებელი	39	40	42	45	46	47			
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია								
ამოცანა 1.5(OBJECTIVE 1.5):	აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა								

ამოცანის შედეგის ინდიკატორი	აფხაზური ენის შემსწავლელთა რაოდენობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა საფეხურზე	წელი	საბაზისო	სამიზნე					დადასტურების წყარო(Sources of Verification):
			2020	შუალედური 2022	შუალედური 2024	შუალედური 2026	შუალედური 2028	საბოლოო 2030	
1.5.1: (OUTCOME Indicator 1.5.1)		მაჩვენებელი	170	200	250	300	350	500	სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შეგროვებული მონაცემების ანალიზის ანგარიში (enadep.gov.ge)
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია								
ამოცანა 1.6.:	ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა								

(OBJECTIVE 1.6):									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.1 OUTCOME Indicator 1.6.1)	საქართველოში მოქმედი სამეცნიერო ფონდების მიერ მითითებულ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური კვლევების რაოდენობა	წელი	ისტ	სამიზნე					დადასტურების წყარო(Sources of Verification):
				შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	
		2010-2020	2022	2024	2026	2028	2030	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ანგარიში	
		მაჩვენებელი	50	დამატებით 2	დამატებით 5	დამატებით 15	დამატებით 20	50	საქართველოს პარლამენტის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგი
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია								
				სამიზნე					

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.2: (OUTCOME Indicator 1.6.2)	ქართული ენობრივი ტექნოლოგიების დონე საერთაშორისო სტანდარტის (META-NET) მიხედვით		საბაზისო	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	შუალედური	საბოლოო	დადასტურების წყარო(Sources of Verification):
		წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030	სახელმწიფო	ენის დეპარტამენტის კვლევითი დოკუმენტი
		მაჩვენებელი	სუსტი	სუსტი	ფრაგმენტული	ფრაგმენტული	საშუალო	კარგი		
რისკები:	საჯარო სამსახურების არასათანადო ინტერესი, არასაკმარისი ფინანსური რესურსი, აკადემიური წრეების არასაკმარისი ჩართულობა, პანდემია									
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.6.3: (OUTCOME Indicator 1.6.3)	სამეცნიერო ჟურნალების რანჟირების პორტალზე (SJR) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რანჟირების მაჩვენებელი		საბაზისო	სამიზნე					დადასტურების წყარო(Sources of Verification):	
		წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030		
		მაჩვენებელი	მე-18 ადგილი	გაუმჯობესებულია მინიმუმ 1 საფეხურით	გაუმჯობესებულია მინიმუმ 2 საფეხურით	გაუმჯობესებულია მინიმუმ 3 საფეხურით	გაუმჯობესებულია მინიმუმ 4 საფეხურით	საქართველო შესულია აღმოსავლეთ ევროპის	SJR-ის ვებგვერდი	

							რანჟირების ათეულში
რისკები :	დაბალი ინტერესი, არასაკმარისი ბიუჯეტი, პანდემია						
ამოცანა 1.7: (OBJECTIVE 1.7):	საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ენების სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერა						
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.7.1: (OUTCOME Indicator 1.7.1)	მშობლიური ენის ცოდნის პროცენტული მაჩვენებელი ენობრივ უმცირესობათა წარმომადგენლებში		საბაზისო	სამიზნე			დადასტურების წყარო (Sources of Verification):
		წელი	2014	2022	2024	2026	
	მაჩვენებელი	97%	97%	98%	100%		სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
რისკები :	დაბალი ინტერესი, არასაკმარისი ბიუჯეტი, პანდემია						

6. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება

2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილია სამთავრობო უწყებათაშორისი საბჭო, რომლის მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო უწყებების საქმიანობის კოორდინაცია ენობრივი პოლიტიკის მიმართულებით. საბჭო შეიკრიბება წელიწადში ორჯერ.

2021-2030 წლების სახელმწიფო ენის სტრატეგიის (ერთიანი პროგრამის) შემმუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს შემადგენლობაში არიან: სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე (საბჭოს თავმჯდომარე); საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე; საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე; სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე.

ამავდროულად შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უშუალოდ კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიის განხორციელებისას პრობლემებისა და გამოწვევების დადგენასა და უწყებათაშორისი საბჭოს შესთავაზებს პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალურ, ეფექტურ გზებს. სამუშაო ჯგუფიც ასევე იკრიბება წელიწადში 2-ჯერ.

სტრატეგიის განხორციელებისათვის ასევე გათვალისწინებულია სამუშაო სხდომების, შეხვედრებისა და კონსულტაციების ორგანიზება. საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, საბჭო გამართავს თემატურ სამუშაო შეხვედრებს, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე სამეცნიერო, საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

სახელმწიფო ენის სტრატეგიის (ერთიანი პროგრამის) და შესაბამისი სამოქმედო გეგმების ეფექტურად განხორციელებისათვის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბაზაზე შექმნილია სტრატეგიის სამდივნო, რომელიც კოორდინაციას უწევს პოლიტიკური და ტექნიკური დონის ჯგუფთა

ჰარმონიზებულ მუშაობას სტრატეგიის დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების სახელმძღვანელო სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგიის განხორციელების ინსტრუმენტია ორწლიანი სამოქმედო გეგმები (2021-2022; 2023-2024; 2025-2026; 2027-2028; 2029-2030); სტრატეგიის მიზნისა და შვიდი ამოცანის შესაბამისად, ლოგიკურ ჩარჩოში განსაზღვრულია ის პასუხისმგებელი უწყებები, რომელთა კომპეტენციის ფარგლებშიც შედის შესაბამისი აქტივობები.

სტრატეგიის განმახორციელებელი უწყების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა უწყებასთან შერწყმის ან რამდენიმე უწყებად გაყოფის შემთხვევაში, სტრატეგიის შესაბამისი ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს მისი უფლებამონაცვლე უწყება.

სტრატეგიის, როგორც შემუშავების, ისე განხორციელების პროცესში საკოორდინაციო საბჭო/სამდივნო არის ღია კონსულტაციებისათვის, რჩევებისათვის, შენიშვნებისათვის. სტრატეგიის განხორციელების შუალედური პერიოდები და სამოქმედო გეგმების შედგენის დრო ეფექტურად იქნება გამოყენებული შესაბამისი, აუცილებელი ცვლილებებისათვის დაინტერესებული მხარეების უშუალო მონაწილეობით.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თუ გამოვლინდა, რომ აუცილებელია ლოგიკურ ჩარჩოში ცვლილების შეტანა, როგორც შედეგების ინდიკატორების მოდიფიცირების, ისე აქტივობათა გამრავალფეროვნების ან დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისით, შესაბამისი ინფორმაცია განიხილება უწყებათაშორისი საბჭოს სხდომებზე და მომზადებული ცვლილებები მაკოორდინებელი ორგანოს მიერ წარედგინება მთავრობის ადმინისტრაციას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით ხარისხის კონტროლი (მუხლი 10). მიღებული რეკომენდაციებისა და დასკვნის მიხედვით, ცვლილებები წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად.

7. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო

სახელმწიფო ენის სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასების ჩარჩო ჩამოყალიბებულია სამოქმედო გეგმებისთვის დადგენილი ოფიციალური მოთხოვნების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოთია განსაზღვრული.

სტრატეგიის მონიტორინგის კოორდინატორი იქნება სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელიც შეითავსებს სტრატეგიის განხორციელების სამდივნოს ფუნქციას.

სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს ნაწილში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნისა და ამოცანების შეფასებისთვის გავლენისა და შედეგის ინდიკატორები, რომლებიც დაფუძნებულია ენობრივი პოლიტიკის ეფექტიანობის კრიტერიუმებზე. მონიტორინგის პროცესში მიღებული მონაცემები დამუშავებული და ასახული იქნება აქტივობების განხორციელებისა და ამოცანების შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით.

ცხრილი №3: მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების კალენდარი და პასუხისმგებელი უწყებები.

აქტივობა	დრო	პასუხისმგებელი უწყება
ანგარიში სახელმწიფო ენის სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობის სტატუსის შესახებ	2021 წლის დეკემბერი და შემდეგ ყოველ 3 თვეში ერთხელ	სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი განმახორციელებელი უწყებები
ანგარიში ყველა აქტივობის საერთო პროგრესის შესახებ (პროგრესანგარიში)	ყოველ 3 თვეში, თითოეულ აქტივობის სტატუსის შესახებ ანგარიშის მიღებისას	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
ამოცანის შედეგების ინდიკატორების შესახებ წლიური მონიტორინგის ანგარიში (წლიური ანგარიში)	2022 წლის დეკემბერი	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

შუალედური შეფასების ანგარიში	2024 წლის იანვარი და 2028 წლის იანვარი	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
საბოლოო შეფასების ანგარიში (საბოლოო ანგარიში)	2030 წლის დეკემბერი	სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

სტატუსანგარიში მომზადდება კვარტალურად, განმახორციელებელი უწყების მიერ, სახელმწიფო ენის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობისთვის. ანგარიში წარედგინება სახელმწიფო ენის დეპარტამენტს. განმახორციელებელი დაწესებულებისგან სტატუსის შესახებ ანგარიშის მიღების შემდეგ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მოამზადებს პროგრესანგარიშს, რომელშიც შეჯამებული სახით მიეთითება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა აქტივობის საერთო პროგრესის დონე. ანგარიში პროგრესის შესახებ მომზადდება სამ თვეში ერთხელ პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მე-7 დანართით გათვალისწინებული სტანდარტის მიხედვით.

გარდა ამისა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მოამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელშიც მოცემული იქნება მონიტორინგის შედეგები, პროგრესი ამოცანის შედეგის ინდიკატორებთან მიმართებით;

რადგანაც სახელმწიფო ენის სტრატეგია განსაზღვრულია 10-წლიანი პერიოდით, შერჩეულია ოთხი შუალედური პერიოდი; საბოლოო შეფასება კი სტრატეგიის განხორციელების პერიოდის ბოლოს – 2030 წელს განისაზღვრა.

სტატუს-, პროგრესის და შუალედური შეფასების ანგარიშები გამოქვეყნდება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდზე enadep.gov.ge; ანგარიშები ასევე წარედგინება უწყებათაშორის საბჭოს, სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიას და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომელთა უშუალო ჩართულობა გამოიკვეთება სტრატეგიის განხორციელების პროცესში. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩასართავად გამოყენებული იქნება შემდეგი ინსტრუმენტები: სამდივნოს ელფოსტით შენიშვნებისა და წინადადებების მიღება, ოფიციალური კორესპონდენციის მიღება, ანგარიშების საჯარო პრეზენტაცია და დისკუსია და სხვ.

თითოეული შუალედური შეფასების დროს მიღწევების დინამიკის შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანია დროის, გარემოს და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განწყობის, კონტექსტის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც შეფასდება ამოცანების აქტუალობა, განხორციელების რეალურობა და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შევა სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს სტრუქტურაში.

ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია, 2020

მ. ზაკალაშვილი, ქ. დათუკიშვილი, ნ. ლოლაძე, ელექტრონული ქართული ლექსიკონი (მონაცემები მოპოვებულია 2021 წელს). <https://www.qanmarteba.ge/>

თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ელექტრონული ლექსიკონები მონაცემები მოპოვებულია 2021 წელს. <https://www.ice.ge/liv/liv/index.php>

ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მონაცემები მოპოვებულია 2021 წლის ოქტომბერში. <https://public.oed.com/updates/#>

გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010.

მ. კერკი. (1997). Cherchi, Marcello. 1997. Verbal tmesis in Georgian, Part II. Annali del Dipartimento di Studi del Mondo Classico e del Mediterraneo Antico Sezione Linguistica 19, p. 63–137.

კვლევის ანგარიში - საქართველოს მომავალი. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, თბილისი, 2021. https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Future%20of%20Georgia/Final%20FoG_Geo_08_04_2021.pdf

ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები. თბილისი, 2004.

ლიეტუვის რესპუბლიკის კანონი ტერმინთბანკის შესახებ. ვილნიუსი, 2003 წლის 23 დეკემბერი. <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalAct/lt/TAD/TAIS.248131>

თ. მარგალიტაძე, ლექსიკოგრაფიის შესავალი, თბილისი, 2021

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018. თბილისი. 2020. [https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20\(1\).pdf](https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf)

მულტილინგვური განათლების პროგრამის დებულება, თბილისი, 2020. <https://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/2010/Agvisto/672.pdf>

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, 2015, ივნისი 1). http://gov.ge/files/411_49540_864551_239.pdf

პრინციპები და რეკომენდაციები მოსახლეობისა და განსახლების აღწერის შესახებ. 2017. https://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/Series_M67Rev3en.pdf

სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, 2020, დეკემბერი, http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია, 2021, ივლისი 13.//smr.gov.ge: https://smr.gov.ge/uploads/Files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/danarti_1.pdf

საფრთხეში მყოფი ენების ატლასი, იუნესკო. 2010.
<http://www.unesco.org/languages-atlas/en/atlasmap.html>

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ. (2017 წლის 17 მაისი).
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31840?publication=28>

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, თბილისი, 2020.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1>

საქართველოს კონსტიტუცია, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.
საქართველოს მომავალი - კვლევის ანგარიში, CRRC საქართველო. თბილისი:
https://crrc.ge/uploads/tinyMCE/documents/Future%20of%20Georgia/Final%20FoG_Geo_08_04_2021.pdf.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, თბილისი, 2014.
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/568/mosakhleobis-2014-tslis-saqoveltao-aghtsera>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2002.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025,
http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf

საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, 2015 წლის 22 ივლისი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=4>

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია 2020-2023.
www.geostat.ge/ka/modules/categories/659/sakartvelos-ofitsialuri-statistikis-erovnuli-sistemis-ganvitarebis-strategia-2020-2023

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი II. (2019-2020).
<http://enadep.gov.ge/index.php?m=42&news=159&lang=>

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები. თბილისი, (2018, 2019).

სახელმწიფო შეფასება - ქართული, როგორც მეორე ენა (VII კლასი). გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი. 2018.
<https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/Georgian%20as%20Secund%20Language%20019.pdf>

საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული ლექსიკონები, მონაცემები მოპოვებულია 2021 წელს. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/>
ტერმინთბანკი, მონაცემები მოპოვებულია 2021 წელს. <http://termbank.ge>

ლ. ქავთარაძე, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, თბილისი, 2020

ქართული როგორც უცხო ენა. თბილისი, 2021). www.geofl.ge

ლ. ქაროსანიძე, ტერმინოლოგია და სახელმწიფოებრივი აზროვნება, თბილისი, 2019 [http://termbank.ge/wp-](http://termbank.ge/wp-content/uploads/2019/04/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A8%E1%83%98)

[content/uploads/2019/04/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A8%E1%83%98](http://termbank.ge/wp-content/uploads/2019/04/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A8%E1%83%98)

ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიძე, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, თბილისი, 2015.

2020 წლის შემდგომი აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკა.

https://eeas.europa.eu/sites/default/files/1_en_act_part1_v6.pdf

Languages of the World. (2021). Retrieved from <https://www.ethnologue.com/country/GE>

The Oxford Handbook of Case (Vol. 18). (2012). Oxford University Press,. Retrieved July 24, 2020,

<https://www.oxfordhandbooks.com/view/10.1093/oxfordhb/9780199206476.001.0001/oxfordhb-9780199206476>

დანართი №1: SWOT-ანალიზი

S-მლიერი მხარეები	W-სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> - ქართული ენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსი; - სახელმწიფოს მზაობა და ნება დაიცვას ენობრივი/კულტურული მემკვიდრეობა და უზრუნველყოს ენის სრულფასოვანი ფუნქციონირება; - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრთა მაღალი კვალიფიკაცია; - სახელმწიფო ენის ცოდნის დონის შეფასების მექანიზმების არსებობა; - ნორმალიზაციისა და სტანდარტიზაციის დარგის სპეციალისტთა პროფესიონალიზმი და ენთუზიაზმი; - ლინგვისტთა და სხვა დარგების კვალიფიციურ სპეციალისტთა შორის თანამშრომლობის სურვილი და მზაობა; - სპეციალისტთა მხრიდან სიახლეებისა და განვითარების სურვილი; - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სპეციალისტთა უფასო კონსულტაცია ენობრივ საკითხებთან დაკავშირებით. 	<ul style="list-style-type: none"> - სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის არაეფექტური აღსრულება; - სახელმწიფო ენის დაცვის მექანიზმების არქონა; - ხარვეზი რეკლამის შესახებ კანონში; - სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე როგორც ქართულენოვან, ისე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მოსახლეობაში; - საქართველოს თითოეული მოქალაქის მიერ სახელმწიფოსთან თანაბარი ურთიერთობისა და მისგან სრულფასოვანი მომსახურების მიღების შესაძლებლობის არასაკმარისი უზრუნველყოფა/მხარდაჭერა; - საქართველოში გავრცელებული ენების სტატუსის განსაზღვრის, მათი არსებობის დაცვისა და შენახვის (დოკუმენტირების) საკანონმდებლო საფუძვლების მოუწესრიგებლობა; - საქართველოს ტერიტორიაზე ენათა სიმრავლის შენარჩუნებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის არასაკმარისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერა; - წიგნიერების დაბალი დონე; - ინტერნეტში ქართული ენის მიმოქცევის უკონტროლობა;

	<ul style="list-style-type: none"> - აფხაზური ენისა და კულტურის სწავლების, კვლევისა და პოპულარიზაციის ნაკლები მხარდაჭერა; - ენის ტექნოლოგიების განვითარების დაბალი დონე; - ქართველოლოგიური ფუნდამენტური კვლევების ინტერნაციონალიზაციის არასათანადო მხარდაჭერა; - კერძო სექტორის ნაკლები ინტერესი, რასაც თან სდევს სახელმწიფო სექტორთან თანამშრომლობის სურვილის არქონა (არასაკმარისი თანამშრომლობა); - ფინანსური რესურსების უკმარისობა.
O-შესაძლებლობები	T- საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> - სამეცნიერო დაწესებულებების ერთიანი ქსელის შექმნა და შეთანხმებულად მუშაობა; - სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკურ უმცირესობებთან კომუნიკაციის დეფიციტის აღმოფხვრის მზაობა; - მოტივაციის ამაღლება საკადრო განვითარების მიმართულებით; - ერთიანი ელექტრონული ბაზების შექმნა ტერმინთბანკის (Term bank) ჩათვლით, რომელიც მოიცავს ქართულ ენაზე ისტორიულად და დღეს მოქმედ ტერმინებს; - ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონის შექმნა - ქართველური ენობრივი მრავალფეროვნების სტატუსის განსაზღვრა და მისი, როგორც არამატერიალური კულტურული 	<ul style="list-style-type: none"> - ქართული ენა „მწირი“ ენობრივი რესურსების ენებს მიეკუთვნება. - UNESCO-ს მონაცემებით აფხაზური საფრთხეში მყოფი ენაა; - სახელმწიფო ენა არაპრესტიჟულია; - ბარბარიზმებითა და უცხოური ენების სხვა გავლენების შედეგად ზიანდება ენა; - სკოლამდელ ასაკში სახელმწიფო ენის ბაზა არ მტკიცდება; - ქართული ენის სპეციალობის კონკურენტუნარიანობის დაბალი ხარისხი სხვა დარგებთან შედარებით. - ახალგაზრდა სპეციალისტთა ნაკლებობა.

<p>მემკვიდრეობის მონაპოვრის დაცვა და შენარჩუნება.</p> <ul style="list-style-type: none"> - ტექსტური კორპუსების, მონაცემთა ბაზების განახლებისა და განვითარების მხარდაჭერა და შესაბამისი დარგის სპეციალისტთა მოზიდვა; - საკუთარ (პირთა და გეოგრაფიულ) სახელთა ერთიანი ბაზის შექმნა საქართველოს ს სამინისტროსთან თანამშრომლობით; - სახელმწიფო ენის პრესტიჟის ამაღლებისათვის კომპლექსური ღონისძიებების გატარება როგორც საკანონმდებლო, ისე ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი აქტივობებით; - საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების დამკვიდრება; - საერთაშორისო ლინგვისტურ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; - საერთაშორისო ორგანიზაციების (UNESCO, ISO და სხვ.) გამოცდილების გაზიარება; - ახალგაზრდა კადრების მომზადების შესაძლებლობა; - ქართული და აფხაზური ენების დისტანციური სწავლების პროგრამების განხორციელება; - ენის საყოველთაო გამოცდის დანერგვა. 	
---	--